

652
1974

1
36986320
303 30000000



1 9 7 4 2

შინაარსი

ქართული

კოფია, პროზა

3. ლორია — ახლოგლეზი	
გოთბრობა	3
მს. მუბვია — ლექსები	25
მ. გორგილაძე — გუბაგულის	
წყალდიდობა გოთბრობა	
დასასრული	29
გ. მათაძე — ლექსები	50
ე. დავითაძე — მე ისევ გოვალ	
ლექსი	53

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

მ. ხალვაში — „გიორგი ლომ- ნიძე“ სამ ოკბანეში	55
---	----

ახალი თარგმანები

რ. გამათოვი — ლექსები	
თარგმანი გ. სალუქვაძის	64

პრიტიკა და კუბლიცისტიკა

მ. მურიძე — ანტონ ფურცელაძე და დიმიტრი პისარევი	68
--	----

წ ე რ ი ლ ე ბ ი

შ. სორდია — სიტყვათა მყარი შენაერთის სტრუქტურის ძი- რითადი საკითხები	81
--	----

წ ი გ ნ ის თ ა რ ო

ბ. ფუტყარაძე — ამ წერილებს მართველი მკითხველი პირვე- ლად გაეცნობა	87
კ. ზანიძე — კეთილი სიტ- ყვა სიკეთის მთესველზე	93

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირისა და
აზარის განყოფილების
ორგანო

გ ა თ უ მ ი — 1974

მარტი — აპრილი

ქ. მარტის საბ. რეგ. სსრ
სახელმწიფო რეზერვუმი

რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.
მდივანი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონი — 33-71.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.4.74, საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 1501, ემ 00822, ქალაქის ზომა 60×90, ტირაჟი 2.040.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარბოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9
(ლუქსემბურგის, 20).

აჭარის უშრნალ-გაზეთების გამომცემლობა

პარანე ლოკი

ს ხ ლ მ ბ ლ მ ბ ო

ვერ გაუმართლა იმედი არჩილ თიბაძემ თავის მოკეთებებს, ნათესავებს, სახლიკაცებსა და ახლობლებს, რომლებიც მისი ავტორიტეტისა და თანამდებობის მოშველიებით თავიანთი პირადი საქმეების მოჭახრაკებას ფიქრობდნენ.

პირველი იმათგანი იყო ბეჟან დარახველი და მისი მეუღლე ქალბატონი ვერშინა. მართალია, საჩუქრის სახით ქრთამის შეთავაზება რაიკომის მდივანმა აპატია, მაგრამ პროკურორს დავალება მისცა, რაც შეიძლება მოკლე ხანში დაემთავრებია დარახველის საქმე და სასამართლოსათვის გადაეცა, ხოლო, თუ ამას საქმე მოითხოვდა, გასამართლებამდე დაეპატიმრებია.

მეორე გახლდათ კირილე კოკილაშვილი, რომელიც ყოფილი რაიკომის მდივნის უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ მისი განკარგულებით მას საკარმიდამო ფაქტობიდან ზედმეტი ჩამოაჭრეს. მან არჩილის მოშველიება მოიწადინა, მაგრამ უარი რომ მიიღო, ძალიან ნაწყენი დარჩა და თიბაძეების ოჯახს დაემდურა. არჩილს კი პირდაპირ უსაყვედურა: მოკეთე, ნათესავი და ახლობელი იყავი და ეს ეჭოთი საქმე კი უნდა გაგეკეთებია ჩემთვისო.

— თქვენ მართალი ხართ, ბიძაჩემო, ნათესავები, მოკეთებები, ახლობლები ერთმანეთს გვერდით უნდა ვედგეთ, ვშველოდეთ, ვეხმარებოდეთ... მეც ამის იმედით წამოვედი მშობლიურ რაიონში სამუშაოდ, ჩემიანები არიან, მომეხმარებიან, მასწავლიან, კანონს არ დამაჰრვევინებენ-მეთქი, მაგრამ... — უკმაყოფილოდ ჩაიქნია თავი არჩილმა.

— მერე, რომელი კანონი დაგარღვევით შენ, ბიძია? — იწყინა კი-

რილემ. — რაცხა ერთი ნაწეკვი მიწის წამომატება გთხოვე... იმდენი სა-
ქმე კაცს კაცისათვის კი გაუყეტებია.

— ერთი ნაწეკვი თქვენ, ერთი მეორეს, ერთი მესამეს და ასე ჩა-
მორიგდებოდა მთელი კოლმეურნეობის ქონება და...

— კარგი, მასე იყოს. — არ დაამთავრებია სიტყვა კირილემ მდი-
ვანს, სწრაფად წამოდგა და კაბინეტიდან გამოვარდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მის საკარმიდამო ნაკვეთს კუთვნილ-
ზე მეტი ჩამოაჭრეს, კირილეს ხმა არ ამოუღია, ნაღვლიანად შეათვალი-
ერა თავისი ხელით გაშენებული ხეები და თვალეზში მომდგარი ცრემლი
მოიწმინდა.

რაც შეეხება ახალგაზრდა კომეტა გოგლაძეს, მისი საქმე აღრე დაა-
მთავრა მილიციამ. ხულიგნობისა და დებოშის თაობაზე შედგენილი საქმე
სასამართლოს გადაუგზავნა, ხოლო დამნაშავე დააპატიმრა. ეს ამბავი მა-
ინცდამაინც საწყენად არ დარჩენია სამამულო ომის ინვალიდს, კომეტას
მამას ერასტის, რომელიც პირადად ინახულა არჩილმა და დახმარება შე-
პირდა.

— არა, შვილო, არ გემდური, რომ ჩემი უღირსი შვილის გამოქომა-
გება არ იკისრე. — უთხრა რაიკომის მდივანს გოგლაძემ. — ღირსია სა-
სჯელის, მაგრამ... მამა ვარ, შვილო, ჩემი სისხლი და ხორცია, მებრალე-
ბა, გული მეწვის. თუ რამე შესაძლებელია დაეხმარე... არა, პატიმრობი-
დან განთავისუფლებას არ გთხოვ... იქ, იქ, სადაც იქნება, შეუწყონ ხელი
გამოსწორებაში, სწორ გზაზე დადგომაში.

— გპირდები. მამაშვილურად გპირდები! — დაამშვიდა ერასტი არ-
ჩილმა და გამოეთხოვა.

განაწყენებული და უკმაყოფილონი არჩილს მეტი გაუჩნდა რაიონში,
ვიდრე აღზინდელ ხელმძღვანელებს: ამათ შორის იყვნენ სახლიკაცები,
თომას ნაცნობ-მეგობრები, ნათლია-ნათლულები და ერთი სიტყვით,
ისინი, რომლებსაც რაიმე ურთიერთობა კი ჰქონიათ თომა თიბაძის ოჯახ-
თან.

თუ აღზინდელ რაიკომის მდივანს საყვედურობდნენ სიმკაცრისათ-
ვის, გულგრილი მიღებისათვის, მომთხოვნელობისათვის, არჩილს უბრა-
ლოდ წარბის შეხრასაც დანაშაულად უთვლიდნენ.

ბევრი აშკარად საყვედურობდა: თანამდებობამ გადარია, გააყოყოჩა,
აღარავის არაფრად აგდებს, უკადრისობსო, მაგრამ არჩილი ასეთ საყვე-
დურებს ყურადღებას არ აქცევდა.

— შენ, შვილო, სახალხო საქმეს ნუ უღალატებ, უდანაშაულო ადა-
მიანს ნუ აწყენიებ, სიმართლეს ნუ დაუკარგავ კაცს და დანარჩენის ნუ
გეშინია. — გაამხნევა ერთ საღამოს თომამ შვილი, როცა იგი უგუნე-
ზოდ მივიდა სახლში.

— ხომ ჯობდა ამ რაიონში წამოსვლაზე უარი მეთქვა და სადმე სხვა-
გან წავსულიყავი? არც მე მეყოლებოდა ამდენი მომღუწევი და არც
ჩვენს ოჯახს.

— ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ თუ ჩვენიანსა და ჩვენს კუთხეს არ
მივეშველეთ... არა, ხალხის აზრი და სულისკვეთება უფრო დიდია, ვი-
დრე თითო-ოროვას შეუგნებელი გამოხდომა. — და თომამ საკმაო მა-
გალითებით დაუსაბუთა თავისი შეხედულება.

— ესენი ვიცი, მამაჩემო. — შეეკამათა არჩილი მამას, — მაგრამ
თქვენც, ჩემი მოძოვლებიც, რომ სოფლის სალაპარაკოდ გაგზადეთ!

— მართალი ხარ, შვილო, მაგრამ მე და მამაშენს მაინც გვეამაყება
შენისთანა 'შვილი, — იმედიანად უთხრა ნატომ ჩაფიქრებულ ვაჟს. —
თუ ჩვენი ახლობლების ერთი ნაწილი გვსაყვედურობს, დანაჩენი და
მასთან ერთად მთელი რაიონის მოსახლეობა ჩვენს მხარეზეა.

— მართალია! — დაუდასტურა მეუღლეს თომამ. — ხალხს მართა-
ლი და პატიოსანი ხელმძღვანელი უყვარს, თუნდაც იგი მკაცრი იყოს.

ამ თემაზე საუბარი და კამათი ხშირი იყო ოჯახში, რომელსაც ზოგ-
ჯერ გარეშე პირებიც ესწრებოდნენ, მონაწილეობდნენ და თავიანთ აზრს
გამოთქვამდნენ.

* * *

საკმაო მითქმა-მოთქმისა და საყვედურების შემდეგ, როგორც იქნა
შეიქმნა ნორმალური პირობები. რაიონის ხელმძღვანელის კაბინეტის კა-
რებს თანდათან ჩამოშორდნენ ნაცნობ-მეგობრებ-ახლობლები, რომლე-
ბიც დიდი ხნის განმავლობაში მთელ დღეს აქ ატარებდნენ.

პირველ დღეებში თიბაძე ზედმიწევნით ფაქტო დემოკრატიზმს გა-
ჰყვა. მისი ნახვის ყველა მსურველის მიღება და გაცნობა დააპირა. ფიქ-
რობდა, ამით მასებთან უფრო შეცდლებ დაახლოვებასო, მაგრამ სინამ-
დვილემ არ გაუმართლა. მთელი დღის სამუშაო საათები ახლობლების
მიღებასა და მათი წუხილის მოსმენას მოუწია და ბევრი საჭირობოტო
საქმე გაუკეთებელი დარჩა. ახლა დარწმუნდა, რომ ასე არ გამოდგებო-
და და...

— მიმართეთ რაიონმასკომს. — აძლევდა მიმართულებას საბინაო
მშენებლობის საქმეზე მისულ მოქალაქეებს.

— შეიტანეთ განცხადება განათლების განყოფილებაში...

— მოთხოვეთ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას...

და...

განიტვირთა არაპირდაპირი საქმისაგან რაიკომი, მთელი მისი პაპ-
რატი.

რაიონი თავისთავად ერთი პატარა სახელმწიფოა თავისი ადმინისტრაციული ერთეულებითა და დაწესებულებებით. მისი ხელმძღვანელი მეტად დაკვირვებული, გამოცდილი და ავტორიტეტული პიროვნება უნდა იყოს.

განსაკუთრებით ავტორიტეტის მოპოვებაა ძნელი. ოდნავი გადახრა სამართლიანი გზიდან და იგი დაცემულია.

არჩილმა იცის, რომ ეს ასეა, იცის რომ...

„მოსამართლე რომ დაითვრება, ეპატიება ლოთებს სასჯელი“.

ამიტომ უნდა იყოს ხელმძღვანელი სპეციაკი, მომთხოვნი და სამართლიანი.

რაიონი, რომელშიც არჩილ თიბაძეს უხდება მუშაობა, ადრიდანვე განთქმული იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვით. ერთ დროს ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი რაიონის მოსახლეობა მოკლე ხანში დაწინაურდა, სწავლა-განათლებას დაეუფლა და შეძლებული გახდა. ჭაქონება და სიღარიბე არავის ტანჯავს, ჩაუცმელი არავინ დადის, ბევრს საკუთარი მანქანაც უდგას ეზოში, მაგრამ...

გაშლილ სოციალისტურ შევიბრებასთან ერთად, ფარულად, შეუმჩნევლად, ეკონომიურად ერთმანეთის გასწრებისა და უკან ჩამოტოვების ლტოლვა შეინიშნება. წვრილბუთუაზიული თვისებები კიდეც მუდავნდება მოსახლეობის ერთი ნაწილის საქციელში.

რაიკომის ახალმა მდივანმა ეს ტენდენცია პირველი დღიდანვე შენიშნა და გადაწყვიტა მისი აღმოფხვრა, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ერთია და შესრულება მეორე.

ამაზე ბევრს ფიქრობდა არჩილი და ხშირად თავის ჩანაფიქრს მშობლებს და მეუღლეს უზიარებდა, რომლებიც მიუდგომლად და მოურიდებლად ეუბნებოდნენ თავიანთ აზრს.

ერთ საღამოს, როცა თიბაძეების ოჯახში ნავახშმევს, შინაური საუბარი ჩამოვარდა, ოჯახის ახალგაზრდა რძალი პატარების დაძინების შემდეგ დედამთილს გვერდით მიუჯდა და...

— გეწყინება დედაჩემო, სამსახური რომ დავიწყო?

ნატომ სიყვარულით გადმოხედა რძალს:

— შენი წამოშველება გვკირდება, შვილო?! — ახლა თომამ მიაქცია ყურადღება რძლის ნათქვამს.

— არა, მამა, მატერიალურად არა გვიკითხს რა, მაგრამ... იცით, როგორ მენატრება სკოლაში შესვლა და თვალებცქრიალა ბავშვების გადახედვა. თექვსმეტი წელიწადი ვსწავლობდი, მრავალნაირ მეცნიერებას

ვეუფლებოდი და ბოლოს... ვიჯდე ოჯახში და... პატარების მოვლასაც არ მანებებს დედაჩემი. — ნატოს ხელს დასწვდა, ასწია და ეამბორო.

ნატოს შეებრაღა ახალგაზრდა ქალი.

— თუ კი სურვილი გაქვს და რომელიმე სკოლაში მოეწყობი, საწინააღმდეგო აჩაფერი მაქვს. — უთხრა ნატომ და რძალი გულში ჩაიკრა.

— სკოლები გადატვირთულია, ჩემო თინიკო. — არჩილმა არ მოიწონა მეუღლის აზრი. — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები საკმაოდ გვყავს, ამას გარდა, უხერხულია ჩემგან... ხომ იცი ზრას იტყვიან, რას იფიქრებენ... შენ რას იტყვი, მამაჩემო?

— არა, თინამ რომ სამსახური დაიწყოს, ამაში ცუდი არაფერია. პატარებს მე და ნატოც კარგად მოვუვლით, მაგრამ... — მეტი ვერაფერი თქვა თომამ, ჯერ შვილს შეხედა, შემდეგ რძალს და გაჩუმდა.

— სამუშაოს თვითონ ვიშოვი. — იმედიანად თქვა თინამ. — განათლების განყოფილებაში მივალ, ვთხოვ...

— არა, არა, თუ ქალი ხარ ასეთი რამ არ ჩაიდინო. თუ რამე გამოჩნდება, მე თვითონ... — კვლავ უარპყო ცოლის წინადადება არჩილმა.

— კარგი, ბატონო, კარგი. ოღონდ შენ ნუ გაჯავრდები და...

— ნუ გეშინია, შვილო. — ისევ თომამ იკისრა ზრდის გამხსნელება. — მე თვითონ გაგიწყობ საქმეს. მართლაც ჭამა-სმასა და ჩაცმა-დახურვაზე ხომ არაა საქმე. უშრომლად აღამიანმა როგორ უნდა გაძლოს. ის კი არა, მეც უნდა გავიჩინო რაიმე უფრო სასარგებლო და საჭირო საქმე.

— როგორ, არ გყოფნის ამ საკარმიდამოზე მუშაობა? — გაუღიმა არჩილმა მამას. — შენც ხომ არ გინდა ზედმეტი ნაკვეთი მოგიზომონ?

— არა, შვილო, არა. ყველაფერი საკმარისად მაქვს და ყველაფრით კმაყოფილი ვარ. თქვენ მყავდეთ კარგად და სხვა არაფერი მინდა. — და თომა დასაწოლად გავიდა.

...რაიკომის პირველი მდივნის მეუღლის განზრახვა განათლების განყოფილების გამგემ რომ გაიგო, არ ესიამოვნა. მაშინვე პედაგოგთა საბჭოს შტატს გადახედა და ვერაფერი აღმოაჩინა. რაიონის ცენტრში ორი დაწყებითი და ერთი საშუალო სკოლა არსებობდა, ერთი აგრონომიული ტექნიკუმიც, მაგრამ ეს სკოლები თავიდანვე მომზადებული კადრებით იყო შევსებული. არც საათების შემცირება შეიძლებოდა, არც მოკლებ-მომატება, მაგრამ...

— რა ვქნათ, კოსტა, რაიკომის მდივნის მეუღლეა, გავლენიანი პედაგოგი. უარს ვერ ვეტყვით, ვერც უბრალო მასწავლებლობას შევთავაზებთ. — გაუმხილა კადრების განყოფილების უფროსს რაიონის განათლების განყოფილების გამგემ.

— ეს ვერ მითხარი კარგი ამბავი! — შეწუხდა კოსტა. — რაღვითი მასწავლებლის ადგილს რომ დაგვჯერდებოდეს, რა გვიშავს, გავწირავდით ვინმეს. მაგრამ სკოლის დირექტორობა რომ მოგვთხოვოს? ან სასწავლო ნაწილის...

— ერთი სიტყვით, რთული პრობლემის წინაშე ვდგავართ ჩემო ძმაო. — ნაღვლიანად ჩაიქნია ხელი განყოფილების გამგემ. — ალბათ ამ დღეებში დაგვჯერკავს და...

არჩილს განათლების განყოფილებაში არ დაუჩქრევს, არავინ შეუწყუხებია, მაგრამ...

— შეიძლება?

— მობრძანდით. — დამხედურმა თვალი შეავლო ახალგაზრდა ქალს. ქალი შევიდა, ხელჩანთიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო და...

— სათხოვაჲი მაქვს თქვენთან...

— დაბრძანდით. — სავარძელზე ანიშნა მასპინძელმა, ქაღალდი გამოართვა და დახედა: — დაიგვიანეთ პატივცემულო... ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ადგილი არა გვაქვს თავისუფალი... — და ცოტა პაუზის შემდეგ მაგიდის უჯრა გამოაღო და ჩაიხედა: — ხომ არ ისურვებთ მახლობელ სოფლის არასრულ საშუალოში... ავტომანქანები რეგულარულად დადიან... მაგ საგნის პედაგოგი სწორედ ამ დღეებში გადის დეკრეტულში და... შემდეგ ვნახოთ, შეიძლება არც დაბრუნდეს...

— თანახმა ვარ, ბატონო. — და ახალგაზრდა ქალმა განათლების განყოფილების გამგეს პასპორტი და სათანადო საბუთები წარუდგინა.

განყოფილების გამგემ დოკუმენტები დაათვალიერა, საქმეთა მმართველს გადასცა და რამდენიმე წუთის შემდეგ ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი მაყვალთის სოფლის სკოლაში დროებით მასწავლებლად დანიშნვის ბრძანებით გაისტუმრა.

* * *

სოფელ მაყვალთის სკოლაში ახალგაზრდა მასწავლებლის მისვლა მოულოდნელი არ ყოფილა. სწორედ სამი დღის წინ აცნობა სკოლის დირექტორმა განათლების განყოფილების გამგეს, ამ სკოლის მასწავლებელი ვარვარა კეთილაძე დეკრეტულში მიდის და მის ადგილას ვინმე გამოცდილი პედაგოგი გამოგვიგზავნეთო.

— მობრძანდით, დაბრძანდით! — კეთილად შეხედა სკოლის დირექტორი ახალ მასწავლებელს. შემდეგ სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი იხმო და ახალმოსულ პედაგოგს გაესაუბრა.

რამდენი ხანია პედაგოგად მუშაობს, რა განათლება აქვს მიღებული

ლი, სად მუშაობდა აქამდე, ოჯახური მდგომარეობა, საჭიროებს თუ არა სოფელში საცხოვრებელ ბინას და...

— მოგწონთ ჩვენი სკოლა? — ამ საკითხითაც დაინტერესდა დირექტორი.

— დიახ, მომწონს. — და შემდეგ უპასუხა:

მესამე წელია პედაგოგად მუშაობს, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, მუშაობდა თელავის რაიონში, შემდეგ თბილისში, ქმარ-შვილიანია, ამ სოფელში ბინას არ საჭიროებს, რადგან რაიონის ცენტრში ცხოვრობს. ყოველდღე ავტობუსით ივლის.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი. — დაუჯდათ ახალგაზრდა მასწავლებლის სიტყვა-პასუხი. შემდეგ შრომის წიგნაკი გამოართვეს და...

თინა პავლეს ასული კომბალაძე ბრძანებაში გაატარეს...

ერთი თვე ისე გავიდა, რომ თინა კომბალაძის ოჯახური თუ პირადი ცხოვრებით არავინ დაინტერესებულა. ხედავდნენ, მოდიოდა თავის დროზე, ატარებდა მეცადინეობას, საუბრობდა კოლეგებში. იყო მხიარული და კმაყოფილი. ყველას თავი შეაყვარა და დაიმეგობრა.

და სწორედ ამ დამეგობრებამ და შეყვარებამ გამოიწვია ის, რომ ერთ დღეს...

აფორიაქდა მთელი სკოლა. აწრიალდა ხელმძღვანელობა, აწკრიალდა ტელეფონი:

— დათიკო ბრძანდებით?

— დიახ. — ისმის პასუხი ტელეფონში.

— რა გვიქენით ამხანაგო დათიკო, ვინ გამოგვიგზავნეთ ეს?

— ვინა ხართ? ვისზე მეკითხებით?

— მე ვარ, ამხანაგო დათიკო, პორტილე ჯაში, სოფელ მაყვალთის სკოლის დირექტორი.

— რა იყო, ამხანაგო პორტილე, რა გინდა?

— რა იყო, ამხანაგო დათიკო და... რა გვიქენი ეს, ვინ გამოგვიგზავნე კაცი?

— ვისზე ლაპარაკობ, თუ კაცი ხარ, გამაგებინე. ვინ გამოგვიგზავნე, რომ არ ვიცი? ამიხსენი რაშია საქმე?

— რაშია, ამხანაგო დათიკო და... თქვენ ხომ გამოგზავნეთ ჩემთან მასწავლებელი ქალი თინა კომბალაძე? არ გახსოვს? ორი თვის ამბავია.

— მერე?

— მერედა, ვინ არის ეს ქალი?

— როგორ, ახლა კითხულობ, ვინ არის? აქამდე სად იყავი? როგორც მახსოვს, შენ კი აქებდი კარგი ქალია, კარგი პედაგოგიო?

— ყველაფერი არის, მაგრამ იცით თქვენ ვინ არის ეს ქალი? ვისი ცოლია? რომელი ოჯახის წევრია?

— მართალი გითხრა, მაგით არ დავინტერესებულვარ. შენ თუ რამეზე გჭირდება მისი ოჯახური პირობების გაგება, ვინ გიშლის, გამოკითხე, გაიგე... შენ ის მითხარი, როგორი პედაგოგია, როგორი მასწავლებელი.

— უკეთესს ვერ ინატრებდი, ამხანაგო დათიკო, მაგრამ არ იკითხავ ვისი მეუღლეა? — დაიჩემა სკოლის ხელმძღვანელმა.

— კიდეუ შენსას იძახი. რაშია საქმე, მითხარი ერთი, ვისი ცოლია?

— ვისი ამხანაგო დათიკო და...

— რას ამბობ?! ჩვენი რაიკომის მდივნის? არ გადამრიო! ტყუილი იქნება. ვინ გითხრათ? თვითონ თქვა? პირადად გითხრა? ქალებისთვის უთქვამს? კაი ერთი, თუ კაცი ხარ. იხუმრებდა ვინმე... როგორ? პირადად შეამოწმე, თუ კაცი ხარ.

და შემოწმებით დადასტურდა, რომ თინა კომბალაძე რაიკომის პირველი მდივნის არჩილ თიბაძეს მეუღლეა, რომ იგი პირადად მისულა განათლების განყოფილებაში და სამუშაო უთხოვია, ხოლო განყოფილების გამგეს იგი მაყვალთის სოფლის სკოლაში გაუგზავნია...

სულ აერდაერია თავში განყოფილების გამგეს ყველაფერი. ხუმრობაა ასე უპატივცემულოდ მოეპყრა ხელმძღვანელი ამხანაგის ოჯახობას!

არა, რატომ მაშინ ვერ მოიფიქრა ეკითხა, ვისი მეუღლე ბრძანდებოდა, ვის ოჯახში ცხოვრობოდა, თქვენი ქმარი სად მსახურობსო? ეს კი არა, წესიერი საუბარიც არ გაუმართავს. უბრალოდ მიაჩეჩა ხელში დანიშვნის ბრძანება და გაისტუმრა... მას შემდეგაც არ დაინტერესებულა ამ მასწავლებლის ბედით... ერთხელ მანქანით მომავალი ქვეითად მომავალ თინას შეხვდა გზაზე და მანქანაც არ გაუჩერებია, მასწავლებელ ქალს არ მისალმებია, მანქანით წაყვანა არ შეუთავაზებია.

ეჰ, გამოუსწორებელი საქმეა.

კადრების განყოფილების უფროსი იხმო და კარგა ხანს ეთათბირა:

— მიდი, ბოდიში მოუხადე, გააცანი მდგომარეობა და...

— პატიება ვთხოვო?

— ნურც მაგას დაიხარებ... ბოლოს და ბოლოს, საყვედურს გეტყვის...

— საყვედურს რომ მაკმარებდეს...

და მაინც გადაწყვიტა ენახა რაიკომის პირველი მდივანი.

არჩილი საქმეებში იყო გართული, მაგრამ განათლების განყოფილების გამგის მისვლა რომ მოახსენეს, მაშინვე მიიღო.

— თქვენთან გამოსაჩენი პირი არა მაქვს, ამხანაგო არჩილ, მაგრამ იმედია... არა, პატიებაც არ შემიძლია გთხოვოთ... — ენა ებოროტებოდა გამგეს.

— რაშია საქმე, ამხანაგო დავით? — სავარძელზე ანიშნა მდივანმა.

სტუმარი დაჯდა. დაჯდა, როგორც ბრალდებული საბრალდებულო სკამზე. ხელები წინ დაიწყო და თავი ჩაჰკიდა.

— ცუდი ამბავი ხომ არაფერია, ამხანაგო დავით. — განყოფილების გამგის ასეთი საქციელი არ დაუჯდა მდივანს.

— ამაზე მეტი ჩემთვის ცუდი რა უნდა იყოს. — ჩაილაპარაკა განყოფილების გამგემ.

— რა მოხდა ასეთი? სკოლებში ხომ ყველაფერი რიგზეა?

— ეჰ, სკოლებში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ...

— პირადად თქვენ? ოჯახში ხომ კარგად?

— მადლობელი ვარ, მაგრამ...

— თუ კაცი ხარ „უმაგრამოდ“ მელაპარაკე. რაშია საქმე? — გაუღიმა არჩილმა.

— რაშია, ამხანაგო არჩილ და...

რაც აწუხებდა და რის სათქმელადაც იყო მოსული, ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა.

— ვერ გამოვიჩინეთ სიფხიზლე, ვერ გაუწიეთ ანგარიში შექმნილ მდგომარეობას... — ისეთ რაღაცეებს მიედ-მოედვა არჩილის სტუმარი, რომ რაიკომის ხელმძღვანელი გააკვირვა.

— თქვენ ის მითხარით, ამ ახალი მასწავლებელი ქალის სამსახურში დანიშვნით ხომ აჩავენ დაზარალებულა? სხვისი თანამდებობა ხომ არ დაუკავებია? ვინმეს თქვენთვის საყვედური ხომ არ უთქვამს?

— ვინმე არ დაზარალებულა, არც სხვისი ადგილი დაუკავებია, მაგრამ ვინც ეს ამბავი გაიგო, ყველა საყვედურს მეუბნება. ნუთუ უკეთესი ადგილი ვერ იპოვნე, იმ მივარდნილ სოფელში რომ არ გაგეგზავნაო?... ჰოდა, ახლაც იმიტომ მოვედი თქვენთან, რომ თქვენი მსჯავრი მოვისმინო.

— მერე, რას იზამ? — გაეღიმა არჩილს.

— შეცდომას გამოვასწორებთ, ამხანაგო არჩილ.

— მაინც როგორ?

— შესაფერ ადგილზე დავნიშნავთ, უკეთეს პირობებს შევუქმნით... ამის შესახებ მოვილაპარაკეთ კოლეგებმა... აფერ ჩვენი ქალაქის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელის ადგილი თავისუფლდება და...

— რატომ თავისუფლდება?

— პენსიაში გადის, ამხანაგო არჩილ და...

— ალვასი გადის პენსიაში? იგი ხომ ჯერ...

— არა, მას არ უთხოვია, მაგრამ... ერთი წელი უკლია, რომ შევეთვაზოთ და კარგი გაცილებაც მოვუწყოთ... არა, ამას ჩვენ მოვაგვარებთ.

— ივარგებს, გამოდგება ჩემი მეუღლე მაგ თანამდებობაზე?

— რას ბრძანებთ. — გულზე მოეშვა განყოფილების გამგეს. — დავეხმარებით, ხელს შევუწყობთ. — გათამამდა დავითი. — ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც მოგახსენეთ. ალვასის გაცილებას მოვუწყობთ, თქვენს მეუღლეს მის ადგილას გავაფორმებთ... ნუ გერიდებათ, ამას ჩვენ ისე მოვაგვარებთ, რომ... რას გვეტყვით, ყველაფერი თქვენს ჩაუჩველად რომ მოვაგვაროთ?

— რას გეტყვით? რაიკომის ბიურო განიხილავს თქვენს საკითხს და ვნახოთ რას იტყვის. — უცებ აენთო ეს დინჯი კაცი. — როგორ, ისეთ დამსახურებულსა და გამოცდილ პედაგოგს შეეღწეოთ იმისათვის, რომ რომელიმე ხელმძღვანელი მუშაკის ოჯახობას ასიამოვნოთ? ასეთი განზრახვისათვის პირადად გეუბნები საყვედურს, ხოლო თუ მსგავს ფაქტს ექნება ადგილი, წინასწარ გაფრთხილებ, დატოვებ თანამდებობას. გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო არჩილ! — ყუჩები აეწვა განყოფილების გამგეს. — მაშ, ვეცდებით... — უნდოდა ეთქვა მახლობელ სოფელში მანც გადმოვიყვანოთ, მაგრამ ვერ გაბედა...

— თქვენ ამხანაგო, საქმეს მიხედეთ, კადრებს მოუარეთ. უსამართლოდ ნურავის აწყენინებთ და დაჩაგრავთ. გასაგებია? მაშ, ნახვამდის! — და სწრაფად გამოისტუმრა.

— ღმერთო, ჩემო, რა კაცი ყოფილა ეს! — უამბობდა რაიკომის პირველ მდივანთან შეხვედრის ამბავს დავითი თავის კოლეგებს. — ასეთი ვინმე არც მინახავს და არც შემხვედრია.

— ყველა კომუნისტი მასეთი უნდა იყოს, ჩემო ბიძია! — ჩაერია საუბარში განყოფილების მთავარი ბუღალტერი თეოფილე სურგულაძე. — აბა, ბიძია, ერთმანეთას ძმაბიჭობით რომ აჭახრაკებთ საქმეს, ისაა ვაჟკაცობა? ვენაცვალე მაგის მშობლებს. შვილი გავზარდეთო, იმათ უნდა თქვან.

— კაი ერთი, ბიძია თეოფილე, ძმაბიჭობისა და ამხანაგობის მოსპობ შენ? — შეეღწა განყოფილების ინსტრუქტორი, ახალგაზრდა კაცი.

— მართალია. — დაუდასტურა ახალგაზრდას მეორემ. — კაცი თუ კაცს არ უშველის და დაეხმარება. რაღა ფასი აქვს მაშინ ნაცნობობას, მეგობრობასა და ნათესაობას?

— დახმარება დახმარებას გააჩნია. — საანგარიშო განზე გადადო თეოფილემ. — დახმარება უნდა ყველა გაჭირვებულს, დაზარალებულს, მაგრამ არა სხვის ხაჯზე, არა კანონის გვერდის ავლით.

თეოფილეს მაშინ ბევრი შეეკამათა, ბევრმა არ მოიწონა მისი აზრი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რაიკომის პირველი მდივნის საქციელი კეთილშობილების მაგალითად ჩასთვალეს.

* * *

რაიონის კულტურის სახლის დარბაზი ხალხით იყო სავსე. დიდი ხანია ასეთი შეკრება არ ჩატარებულა რაიონში და მას ყველა ინტერესით ადევნებდა თვალ-ყურს.

შეკრებაზე მოწვეულნი იყვნენ მოწინავე კომუნისტები და კომკავშირელები, საწარმოთა და მეურნეობათა ხელმძღვანელები, მუშები, კოლმეურნეები.

ზოგი ამბობდა ამ შეკრებას დიდი მნიშვნელობა აქვს, აქ ბევრი რამე გამოძღვანდება და გაკრიტიკდებაო, მაგრამ ზოგი უიმედოდ ჩაიქნევდა ხელს: კრებების გეგმა არა აქვს რაიონის ხელმძღვანელობას შესრულებული და იმის ანგარიშში მოიწვიესო.

მაგრამ შეკრება მეტად საქმიანი გამოდგა. გააკრიტიკეს არა მარტო რიგითი მუშაკები, პასუხისმგებელი ამხანაგებიც. მათ შორის რაიკომის ხელმძღვანელები. თუმცა თიბაძის პიროვნებას არავინ შეხებია, მისი აუგი არავის უთქვამს გარდა ერთისა, რომელმაც მუშაობის სტილი დაუწუხა, ზედმეტ მომთხოვნელობას იჩენს, ყველას ერთი ჯოხით მიერეკებაო.

— მართალია, ამხანაგებო, — დაიწყო კრიტიკით შეწუხებულმა ჩაის მეურნეობის დირექტორმა სევასტი მელაძემ. — ჩვენ გავგაჩნია ნაკლები, მაგრამ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. თუ ხარისხში ჩამოვრჩებით, სამაგიეროდ რაოდენობას ხომ ვამეტებთ. ჩვენში დაჩრჩეს, ამხანაგებო, და სახელმწიფოსათვის რაოდენობრივ მაჩვენებელს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ხარისხს.

დარბაზში რეპლიკები გაისმა:

— რაოდენობას რა მნიშვნელობა აქვს, თუ ხარისხი არ ვარგა!

— ვის უნდა უხარისხო პროდუქცია?!

და მოკამათეს სიტყვა შეაწყვეტინეს.

სხვებიც გამოვიდნენ. ვინ მკაცრად, ვინ მოკრძალებით, მაგრამ სათქმელი ყველამ თქვა.

— ვერ გამიგია, ამხანაგებო, ჩვენი სავაჭრო დაწესებულებები რატომ გადაიქცნენ სპეკულანტების მომპარაგებელ ობიექტებად, — თქვა აგურის ქარხნის მუშამ. — გავიხედავ, მოზიდავენ საქონელს, შეიტანენ საწყობებში, ფიქრობ, საცაა მალაზიებში გამოიტანენ გასაყიდად, მაგრამ... მალაზია ცარიელია, ხოლო წინა დღით მოტანილ საქონელს სპეკულან-

ტები ყიდიან. ასეა ჩვენს უნივერსიტეტში. როცა ამხანაგ პოლიტიკოსებს მართეთ საჩივრით, მან ყურადღება არ მოგვაქცია.

— სიცრუეა! — წამოიძახა ვილაცამ დარბაზიდან და ყველამ იქით-კენ მიიხედა. — ჩვენს უნივერსიტეტს გარდამავალი დროშა აქვს მიღებული გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის!

— ვიცით, ვიცით, როგორი გეგმების შესრულებისათვის გაქვთ მიღებული ჯილდოები! — ალაპარაკდა დარბაზი.

— ამხანაგებო, მე აქ ვლაპარაკობ მშრომელი მოსახლეობის მომსახურებაზე და არა საქონლის გასაღებაზე, რომელსაც კარგად ახერხებენ გადამყიდველებიც. — განაგრძო მოკამათემ.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ადგილზე შეწერიალდა. მოითხოვა სიტყვა, მაგრამ თავმჯდომარემ შეაჩერა.

— მოითმინეთ, ამხანაგო პოლიტიკარებო, თუ ძალიან გსურთ, მოგცემთ სიტყვას, მაგრამ არა გვეგონია იმართლოთ თავი, — უთხრა მას და სიტყვა ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშა ქალს მისცა.

— ჩვენს ფაბრიკაში, ამხანაგებო, ყველაფერი რიგზე არაა. ბევრი წუნი გვაქვს, ბევრ უხარისხო საქონელს ვუშვებთ. ფაბრიკის ხელმძღვანელობა უფრო მეტად თავისიანების მომადლიერებაზე ფიქრობს, რაც კარგი და ხარისხიანი პროდუქცია გამოდის, უკანა კარებიდან გადის შეუმჩნევლად. ხშირად რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაობს არ ეჩივება არაფერს, ფაბრიკიდან მუქთად მიაქვს საქონელი.

— მართალია!

— სწორია!

— ცილისწამებაა!

— სიცრუეა!

და დარბაზში ხმაური ატყდა.

ყველას ეგონა, რომ რაიკომის ხელმძღვანელი კრიტიკული შენიშვნებით გამოსულ ამხანაგებს შეაჩერებდა, შენიშვნას მისცემდა, მაგრამ არჩილი იჯდა თავისთვის, ხელში ფანქარი ეჭირა და ხანდახან რაღაცას ჩაიწერდა ხოლმე.

ბოლოს სიტყვა კრიტიკით შეურაცხყოფილებმაც აიღეს. მოიწადინეს შენიშვნების თავიდან აცილება, გამკრიტიკებლებს ცილისწამებლები უწოდეს, ზოგმა მუქარასაც კი მიმართა, მაგრამ დარბაზში ატეხილმა შეძახილებმა და ხმაურმა ბევრ მათგანს ჩაუგდო ენა და აიძულა უფრო მორიდებული ყოფილიყო.

თათბირის დასასრულს არჩილიც გამოვიდა. კრიტიკით განაწყენებული ხელმძღვანელები მისგან წამოშველებას მოელოდნენ, განსაკუთრე-

ბით, რაიკომის მუშაკები, რომელთა მიმართ საკმაო საყვედურები ითქვა, მაგრამ რაიკომის ხელმძღვანელმა არ გაამართლა მათი იმედი. პირიქით, ყველაზე მკაცრად მათ წინააღმდეგ გაილაშქრა.

ხელმძღვანელი ამხანაგის მცირე დანაშაულიც კი მოუთმენელია, ვიდრე, რომელიმე რიგითი მუშაკისაო. — თქვა მან.

ღიახ, ხელმძღვანელების მაგალითზე უნდა იზრდებოდნენ მასები, მათგან სწავლობდნენ მუყაით მუშაობას, დისციპლინას, თავმდაბლობას, კეთილშობილებას, პირდაპირობას...

და რამდენიმე გადაგვაჭებული ხელმძღვანელის გვარის დასახელებასაც არ მორიდებია.

— კრიტიკის არ უნდა გვეშინოდეს, ამხანაგებო. — თქვა დასასრულს მან. — კრიტიკის უგულუბელყოფამ მიიყვანა ბეჟან დარახველი სასამართლომდე, იქიდან კი საბატიშრომდე, კრიტიკის მოდუნებამ დააყენა ჭაჭი-აშვილი მცდარ გზაზე. ამიტვეა გამოწვეული ის, რომ რაიონში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მიმთვისებლობას, გაფლანგვას, მექრთამეობას, ხულიგნობას, სახელმწიფო ქონების განიავებას, უპასუხისმგებლობას... მართალი იყვნენ აქ გამოსული ამხანაგები, რომლებიც მოკრძალებით, მაგრამ მაინც გვაჭაიტიებდნენ.

და თათბირის მონაწილეებისათვის ნათელი გახდა რაიკომის ახალი ხელმძღვანელის პოზიცია.

— სამართლიანი კაცი ყოფილა!

— პირდაპირი...

— მიუდგომელი...

— თავისიანებიც კი არ დაინდო მამაცხონებულის შვილმა...

— ჰო, კაცო, მკვიდრი ბიძაშვილიც პასუხისგებაში მიუტია ციტრუსების უნებართვოდ გატანისათვის...

ასე უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს ერთმანეთს თათბირიდან შინისაკენ მიმავალნი.

— ვნახოთ, სანამდე შეინარჩუნებს თავის პირდაპირობას!

— მალე მომაყენებს მანქანას უცხოური ავეჯის წასადებად!

— არც მისი მეუღლე დაგვტოვებს უყურადღებოდ! როგორც ამბობენ, მის ქალბატონს ოქროსულობა ჰყვარება.

— აი, მაშინ უნდა მოაგონო მისი „სამართლიანი კრიტიკა“.

ასეთი საუბარიც ჰქონდათ თათბირის ცალკეულ მონაწილეებს. ერთისათვის რომ მისაღები და სამართლიანი იყო არჩილის შეხედულება, მეორესათვის უაზრობა იყო.

კაცი კაცია, გული გულია, მუცელი მუცელია, ყველაფერს თავისი მოთხოვნილება აქვს.

კრიტიკა და პირდაპირობა მაშინ უყვარს კაცს, როცა ღარიბია და არაფერი გააჩნია, როცა რიგითი მუშაა და არა ხელმძღვანელი.

— სწორია! — კვერს უკრავდნენ ამ სიტყვების მთქმელს თანამოაზრენი, რომელთა რიცხვი აზრს თუ ისე დიდი იყო.

თითო-ორი გაჩეწარი და ვიგინდარა რას იტყოდა და რას ფიქრობდა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მშრომელი მოსახლეობა ხომ მხარს უჭერდა და იცავდა თათბირის მიერ მიღებულ დადგენილებასა და დასახულ ღონისძიებებს.

* * *

მეორე დღეს რაიონული გაზეთი „წინსვლა“ დაწვრილებით იხილავდა თათბირის ანგარიშს, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა კრიტიკულ გამოსვლებს, ამხილებდა ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელებს, რომელთა შესახებ თათბირზე არაფერი თქმულა.

— ცილისწამებაა!

— შეუტაცხოფაა!

— პირადი ინტერესია!

შეწუხდნენ და შეწრიადნენ გაზეთის ამ გამოსვლით შეუტაცხოფილნი.

კიდევ უფრო შეაშფოთა ისინი კორესპონდენტი შაკარიაშვილის წერილმა.

— ვინ ოხერია ეს შაკარიაშვილი?! — იყვირა რაიონის მომარაგების უფროსმა გაბრიელ გიაშვილმა და წამოვარდა: — მე მას ვუჩვენებ, როგორ უნდა პატიოსანი მუშაკის აზუჩად აგდება... როგორ. მაგის გასაკრიტიკებელი ვარ ამოდენა თანამდებობის პიროვნება! — და ტელეფონს დასწვდა.

— გისმენთ! — თავაზიანად უპასუხა რედაქციის მუშაკმა. — ვინ ბრძანდებით?

— ვინცა ვარ ის აზაა შენი საქმე! გამოცხადდეს ჩემთან თქვენი გაზეთის კორესპონდენტი შაკარიაშვილი!

რედაქციის მუშაკმა ყურმილი დადო.

გაბრაზებული გიაშვილი მაშინვე მანქანაში ჩაჯდა და რაიონული გაზეთის რედაქციაში მივიდა, პირდაპირ რედაქტორის კაბინეტში შეიჭრა.

— შენა ხარ რედაქტორი?

— დიახ, მე გახლავარ. — წამოდგა ახალგაზრდა კაცი.

— მე მინდა თქვენი კორესპონდენტის შაკარიაშვილის ნახვა.

— აზ გახლავთ... დაბრძანდით! — სავარძელი შესთავაზა რედაქტორმა. — რაზე გნებავთ?

— თქვენ კი უნდა იცოდეთ რაზეც მნებავს. — აღელვება დაეტყო სტუმარს. — რომ გამოუდგია კალამი მხარზე და რაც ენაზე მოადგება იმას წერს, ვინ მისცა ამის ნება?! იცის თუ არა, ვინ არის მის მიერ გაცემული რედაქციური გაბრიელ გიაშვილი? რა თანამდებობა უჭირავს მას და ვის მიერ არის ამ თანამდებობაზე დანიშნული?

— როგორ არ იცის! — მიუგო რედაქტორმა. — მისთვის ცნობილია როგორც თქვენი თანამდებობა, ისე თქვენი ვინაობა და საქმიანობაც. თუ მის წერილში გაცემული ხარტ თქვენ და არასამართლიანად მიგაჩნიათ, დაწერეთ პასუხი და გამოგიქვეყნებთ.

— როგორ, ვიღაც მკლანელ შაკარიაშვილს ვუპასუხო?! სულ დავიმცირო თავი?! გამოვეთიშო ტოლ-ამხანაგებს?! — მაგიდაზე დაჰტრა ხელი. — მიჩვენებთ თუ არა თქვენ შაკარიაშვილს?

— ცოტა წესიერად, ამხანაგო! — წამოდგა რედაქტორი. — აქ რედაქციაა და არა სამიკიტნო, სადაც თქვენ ხშირად ერთობით.

— რაო?! — აღრიაღდა გაბრიელი. — თქვენც იმეორებთ...

— კი არ ვიმეორებთ, ვადასტურებთ.

— ვინა ხართ თქვენ?! — უმატა ხმას სტუმარმა.

— ჩვენ ვართ პრესის წარმომადგენლები... ჩვენი გაზეთი...

— ვაფურთხებ მე თქვენს გაზეთს! არასოდეს მე იგი არ წამიკითხავს. დიახ, არასოდეს. არც წავიკითხავ! — გაცოფდა გიაშვილი.

— პატივცემულო მოქალაქე! — ველარ მოითმინა რედაქტორმა. — თქვენ იმყოფებით გაზეთის რედაქციაში და თავდაჭერა გმართებთ. თუ ჩვენს გაზეთს არ კითხულობთ, — თქვენი ნებაა, აჯობებდა დღესაც არ წაგეკითხათ...

— არც წავიკითხავდი, რომ არ ეთქვათ თქვენზე წერიაო. — არ დაამთავრებია სათქმელი გაბრიელმა.

— აი თურმე რაში ყოფილა საქმე. — გაელიმა რედაქტორს. — ვეცდებით ჩვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი გაგხადოთ.

— უზრდელი! უსინდისო! — და გიაშვილი გაბრაზებული გაგარდა გარეთ, მანქანაში ჩაჯდა და რაიკომისაკენ გასწია.

არჩილი კაბინეტში დაუხვდა, მაგრამ არა ისე კმაყოფილი და გაღიმებული, როგორც ჩვევოდა. უბრალოდ ჰკითხა, როგორაა საქმეო და ჩვეულებრივ ფანქარი ხელში შეათამაშა.

— რაღა როგორაა კაცო. — უნებართვოდ ჩამოჯდა გაბრიელი. — ასე უნდა აიშვან თავი ამ ლაწირაკებმა? მაგათი გასაქიქებელი ვართ ჩვენ? ამ ხნის კაცი, დამსახურებული პიროვნება, ამდენი ქების სიგელისა და მადლობის პატრონი?!

— რაშია საქმე? — ახლა მიაქცია ყურადღება არჩილმა.

— კაცო, მე რომ ამას გამიბედავენ, შენს მეგობარსა და ახლობელს, სხვას რას უზამენ? ერთი მითხარი, გამარკვეუ, მაგი ბიჭბუჭებია ამ რაიონის ბატონ-პატრონი და ხელმძღვანელები თუ ჩვენ ვართ? — აღელვებას ვერ ფარავდა გიაშვილი.

— არ მესმის რის შესახებ მელაპარაკები, ვინ ბიჭბუჭებია, ვინ ვინღარები!

— შენ, რასაკვირველია, სად გაქვს იმდენი დრო და მოცალეობა მაგათი ნაჯღაბნი წაიკითხო, რომ აჩ ეთქვათ, მეც არ წავიკითხავდი, მაგრამ... შენზე წერილი და... მერე, არ იტყვი რა მოუჩმახავთ?! თუ ჩვენს რაიონში ასეთი ამბავი ხდებოდა და ხდება... — ჯიბიდან გაზეთი ამოიღო. — წაიკითხე ერთი თუ ძმა ხარ. ნახე, როგორ მოთხრილია მთელი რაიონის ხელმძღვანელობა. შეიძლება ჩვენს დროში ასეთი რამის დაწერა? რას იტყვიან საზღვარგარეთ რომ წაიკითხავენ? აჩ მოგვეჭრა თავი! ა, ნახე ერთი. — გაზეთი გაუწოდა.

— წაკითხული მაქვს. — გაზეთისათვის არც შეუხედავს მდივანს.

— მერე?

— ძალიან დამაფიქრებელი ფაქტია.

— მასეთი დამაფიქრებელი ფაქტი ბევრი ექნებათ მაგათ გამოქვეყნებული. — გამხნედა გაბრიელი.

— როგორ, ჩვენი რაიონის გაზეთს არ კითხულობ? — პირდაპირ შეხედა გაბრიელს მდივანმა.

— გაზეთს როგორ აჩ ვკითხულობ, მაგრამ... ერთი სიტყვით, შენ საჭიროდ მიგაჩნია ასეთი წერილების გამოქვეყნება? ამ დროს, ამ პერიოდში, როცა რამდენიმე თვეა მხოლოდ ხელმძღვანელობ რაიონს, ჯერ კიდევ არ გაცნობიხარ კარგად რაიონის ავ-კარგს? სად იყვნენ აქამდე?

— ჰო, ამაში მართალი ხარ! — დაეთანხმა მდივანი. — აქამდეც უნდა ეწერათ, აქამდეც უნდა გამოეაშკარაებინათ მუშაობის სუსტი მხარეები...

— გიშველა ღმერთმა. მაგას ვამბობ მეც. სად იყვნენ აქამდე, მაგრამ იცი რაშია საქმე? — და გაბრიელმა თავისი შეხედულება გააცნო.

გაიგეს, რომ გაბრიელ გიაშვილი ნათესავი და ახლობელია არჩილის, მისი სახელის გატეხა არჩილის სახელის გატეხასაც ნიშნავს და...

— ორივეს წინააღმდეგ გამოილაშქრეს. — დაასკვნა გაბრიელმა.

— ასე ფიქრობ?

— სხვანაირად არ შეიძლება ვიფიქროთ... იცი, რამდენი მტერი და ავად მხსენებელი გყავს...

— დიახ, ვიცი, მყავს ავად მხსენებელი, მძრახველი, მაგრა...
— მერე, რას აპირებ? ამ მჯღაზნელებს აუწევს თუ არა ყველაფერი?
— ვნახოთ! რაიკომის ბიურო გაარჩევს წეჩილში აღნიშნულ ფაქტებს და თუ სიცრუე გამოდგება და ფაქტები არ დადასტურდება...

— კაცო, დასადასტურებელი რაა აქ. — ფერი ეცვალა გაბრიელს. — შეუცდომელი და უნაკლო დედამიწაზე არავინ დაიარება, მაგრამ... შენ აზრით, რას იტყვის ბიურო? შენ ხომ მთავარი ხელმძღვანელი ხარ?

— ბიუროს აზრს წინასწარ ვერ გეტყვი, არ ვიცი უმრავლესობა ვის დაუჭერს მხარს, მაგრამ ჩვენი რაიონის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გაზეთის მხარეზეა.

— პირადად შენ, რაიკომის ხელმძღვანელი?

— გაზეთი ჩვენი რაიკომის ორგანოა. — მოკლედ მიუგო არჩილმა.

— თუ კი ასეა... — ენა დაება გაბრიელს. წამოდგა და გავიდა.

— ასეა, ასე, პატივცემულო გაბრიელ. — უკან გააყოლა არჩილმა, მაგრამ გაბრიელს არ გაუგონია, იგი ამ დროს ბუტბუტით ჩადიოდა კიბეზე.

* * *

რაიკომის ბიურო შუადღისას იკრიბებოდა.

— ვის შესცვლიან?

— ვის მოხსნიან?

— ვის დასჯიან?

წინასწარ არაფერი იცოდნენ, მაგრამ...

ბევრი კარგ რამეს არ მოელოდა, ძველი და ახალი ცოდვების აჩრდილი მაფრთხობელასავით დაჰყვებოდა უკან და მოსვენებას არ აძლევდა.

დაუნდობელი ვინმეა, არც ხათრი იცის, არც მეგობრობა, არც მოყვრობა და ახლობლობა. გაგონილა ამგვარი რამე?

აბა, ვინ წარმოიდგენდა, ისეთ ახლობელსა და ნათესავს, როგორიც მისთვის თემურ ზონარაძე იყო, სამსახურიდან გაათავისუფლებდა. მერე, რისთვის? უნივერსალის საწყობიდან გამოტანილი უცხოური ავეჯი შინ მანქანით მიუტანა და, რადგან თვითონ არჩილი შინ არ იყო, დედამისს დაუტოვა:

— არჩილს გადაეცი, ამჯერად ასე იყოს და შემდეგ სხვა იქნებაო.

ნატომ არ იცოდა რაში იყო საქმე და ავეჯის მიღებაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ ეს ამბავი თომაძე რომ გაიგო, მაშინვე ტელეფონით არჩილს აცნობა და საყვედურიც დაუმატა. რატომ იკადრე, ასეთი საქმე რატომ გააკეთებინე იმ გაიძვერასო.

— რა იყო მამა, რომელ ავეჯზეა ლაპარაკი? — გაიკვირვა არჩილმა. თომამ უთხრა რაშიაც იყო საქმე.

— აა, გასაგებია. — და მაშინვე ზონარაძე გამოიძახა.

ზონარაძე შექებას, მადლობას, წამახალისებელ სიტყვას მოელოდა, მაგრამ...

— რა ავეჯი მიგიტანია შენ ჩემს ოჯახში?!

— ახლა მივიღეთ, ბიჭო, ორი კომპლექტი და... თუ ჩემიანს არ ვახვე-
დრებდი... — ცბიერად გაუღიმა უნივერსალის გამგემ.

— ერთი მე მომიტანე, მაგრამ მეორე?

— ვისაც მეტყვი, იმას მიუტან, ჩვენს ხელში არაა.

— რომ გითხრა, კოლმეურნე კასიანე თავაძეს მიუტანე-მეთქი?

— თავაძეს ვინ მისცა მაგისთანა ავეჯის ყიდვის თავი?! იცი როგო-
რი?

— რა ღირს?

— ათას შვიდასია გასაყიდი ფასი, მაგრამ... ხუთი ათასს არავინ და-
გალაპარაკებს.

— მერე მე ვინ მომცა ამდენი თანხა?

— შე კაცო, ახლა ჩემსა და შენს შორის ასეთ ჩამეზე ილაპარაკება?
თუ რამე ისეთი სასიკეთო მოვა...

— მე და შენ გავინაწილოთ... კარგი საქმეა. — გაუღიმა არჩილმა.

— აბა, ბიჭო... — რაღაცა კიდეც უნდა ეთქვა, მაგრამ...

— შენ აქ ბიჭობიას თავი დაანებე და ახლავე ის ავეჯი უკანვე გა-
დაზიდე, თორემ... — წამოდგა არჩილი.

— ამხანაგო არჩილ, ბატონო...

— ერთ საათში შინ ვიქნები და მანამდე მოასწარი იმ ნივთების წა-
ღება, თორემ!..

— ბატონო არჩილ, ამხანაგო არჩილ, პატივცემ...

— დამეკარგე აქედან!

და ზონარაძე სწრაფად გამოვარდა კაბინეტიდან და განკარგულების
შესასრულებლად გაიქცა.

მესამე დღეს უნივერსალის გამგის ადგილი კომკავშირელმა გოგონამ
ნანიკო ქალღიშვილმა დაიკავა.

ამის შემდეგ საშიში კაცი გახდა არჩილ თიბაძე, მკაცრი, სასტიკი,
მრისხანე.

...იმ დღეს რაიკომის ბიურომ ბევრი საკითხი განიხილა, მათ შორის
მომარაგების დარგის ხელმძღვანელის გაბრეხელ ვიღვილის საჩივარი რა-
იონულ გაზეთში მისი შეურაცხყოფელი წერილის გამოქვეყნების გამო.

შეურაცხყოფილი ხელმძღვანელი მოითხოვდა, დაესაჯათ ავტორი შაკარიაშვილი.

პირად საუბარში არჩილიც შეპირდა, ბიუროზე განვიხილავთ მაგ საკითხსო.

გიაშვილი გამარჯვებულის პოზით იჯდა სავარძელზე და სიძულვილით იხედებოდა გაზეთის რედაქტორისაკენ, რომელთანაც ამ რამდენიმე დღის წინ მწვავე შეკამათება მოუხდა.

განყოფილების გამგემ გიაშვილის განცხადება წაიკითხა.

რაიკომის პირველმა მდივანმა შეკრებილთ გადახედა და შემდეგ რედაქტორს ჰკითხა, რას ემყარებოდა რედაქცია, როცა ასეთ მასალას აქვეყნებდა.

— ფაქტებს, მართალსა და უტყუარს. — მიუგო რედაქტორმა. — ამხანაგმა გიაშვილმა გვითხრას, გამოქვეყნებული მასალებიდან რომელს უარპყოფს?

— რას იტყვი? — გადახედა მდივანმა გიაშვილს.

— მე მიმაჩნია, რომ ასეთი წერილის გამოქვეყნება შეურაცხყოფაა არა მარტო ჩემი, არამედ მთელი რაიონისა და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელობისა.

— ჩვენს შეურაცხყოფაზე ჩვენ ვიტყვით. — შეაჩერა არჩილმა. — შენ ის გვითხარი, აქვს თუ არა გარღვევები თქვენს დაწესებულებას მომარაგების დარგში, მაჩთლა განიავებულია თუ არა იმდენი თანხა? გაცემულია თუ არა კერძო პირებზე ისეთი პროდუქცია, რომელიც რაიონის მოსახლეობისათვის იყო გათვალისწინებული?

— მაგრამ წერილში ხომ რაიკომის ხელმძღვანელობაზეც არის ლაპარაკი... — შეეცადა გიაშვილი საკითხის სხვა მიმართულებით დაძვრას.

— აკი გუუბნებით, ჩვენი შეურაცხყოფისათვის ჩვენ ვაგებინებთ პასუხს რედაქციას, მაგრამ თქვენ, თქვენ რას მოითხოვთ მისგან!

გაბრიელმა მიმოიხედა, იქნებ ვინმე გამოემქომაგოსო, მაგრამ ასეთი ვერავინ შენიშნა.

— გასაგებია, ამხანაგებო! — და მდივანმა სხვებს მისცა სიტყვა. გიაშვილს ვერავინ წამოეშველა. გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს რამდენიმე ახალი ფაქტი დაემატა და...

დადგენილების პროექტის ერთი მუხლი ამბობდა: საქმე გადაეცეს პროკურატურას.

* * *

იმ დღეს შედარებით თავისუფალი დრო ჰქონდა რაიკომის პირველ მდივანს. დიდი ხანია ასეთი შეღავათი არ მიუტიათ მისთვის მთხოვნელებს.

ახირებულია ზოგიერთი. ის საკითხი, რომელიც შეუძლია ადგილობრივ სოფლსაბჭოში, კოლმეურნეობის გამგეობაში, რაიონის სახლში, რომელიმე დაწესებულებაში მოაგვაროს, უსათუოდ რაიკომამდე და ისიც რაიკომის პირველ მდივანამდე უნდა მიიტანოს. უსათუოდ ზემოდან უნდა დაიწყოს საჩივარი იქნება იგი თუ თხოვნა. ბევრს ჩვეულებად აქვს გადაქცეული ხელმძღვანელი ამხანაგის მონახულება და გასაუბრება. შემდეგ იქიდან დაბრუნებული ქვეყანას მოსდებს, როგორ მიიღო იგი უფროსმა და რა შეპირდა.

არჩილმა პირადად და მისმა კოლეგებმა ბევრი ახსნა-განმარტება ჩაატარეს, მაგრამ საჩივრებისა და განცხადებების წერას დაჩვეულ პირებს, ძალიან ცოტას თუ ააღებინეს ხელი ჩვეულებაზე.

ამ მოყვრობ-ნაცნობ-მეგობრობ-ახლობლობიამ ხომ სულ გააჭირვა საქმე. როგორ უნდა თქვას კაცმა, მაგრამ არჩილ თიბაძის ამ რაიონში ხელმძღვანელ თანამდებობაზე გამოგზავნამ, პირველ ხანებში ძალიან ბევრს ააღებინა სინდისზე ხელი. იმის იმედით, რომ თიბაძე მისი ნათესავია, ახლობელია და შეუძლია ზოგი რამ აპატიოს, სამარცხვინო საქმე ჩაადენინა. წინა წელთან შედარებით კანონისა და წესრიგის დარღვევების ჰოცენტები გაიზარდა ამ ახლობლების წყალობით, მაგრამ არჩილმა ეს დროულად შენიშნა და დაუნდობლად ეკვეთა მათ. უფრო სასტიკად ისინი დასაჯა, რომლებმაც მისი ავტორიტეტის გამოყენებით გზას აუხვიეს.

ამ გარემოებამ თომა თიბაძის, აქამდე ყველასათვის საყვარელ ოჯახს ბევრი ახლობელი ჩამოაშორა, ზოგი გადაჰკიდა კიდეც, მაგრამ...

— ნუ გეშინია, შვილო! — ამეძებდა თომა შვილს. — ისინი, რომლებიც მაგისტვის ჩამოგშორდნენ და ჩვენთან კავშირი გაწყვიტეს, არც ჩვენთვისაა საჭირო, ჯანდაბას მათი თავი, ახლობელი და მოყვარე იმისთვის უნდა ადამიანს, რომ კეთილ საქმეში უშველოს, თორემ...

— მაგრამ უკეთესი ხომ იყო მამაჩემო ამ ჩვენს რაიონში სამუშაოდ არ წამოვსულიყავი? ისიც ასეთ თანამდებობაზე? რამდენს გაუცრუვდა იმედი, რამდენი დაბედურა და გამინაწყენდა!

— ჰო, ასეთ რამეზე საჭიროა იფიქრონ ჩვენმა ხელმძღვანელებმა. — ჩაფიქრების შემდეგ თქვა თომამ. — როგორც ვატყობ, ახლა იმდენი მომდურავი არა გვყავს ჩვენი ახლობლებიდან, პირველად რომ შეინიშნებოდა.

— რასაკვირველია, არა. ბევრი ბოდიშის მოხდით მხედება, კეთილად მესალმება, მაგრამ ხომ არიან ისეთებიც. — დარახველი, მისი მეუღლე, ჭაჭიაშვილი, გიაშვილი და სხვები ჩამოთვალა არჩილმა.

— შვილო, ისინი რომ არ დაგესაჯათ, მაშინ დამნაშავენი თქვენ ნებოდით. საქმე ისაა, უდანაშაულო კაცი არ დასაჯო, თორემ დამნაშავეის დასჯა მოყვრებსა და მოკეთებებს გაგიმრავლებს.

— ეჰ, რა ვიცი! — ჩაილაპარაკა არჩილმა. — დამნაშავეის დასჯა საჭიროა და აუცილებელი, მაგრამ... ყველაზე მთავარი ადამიანის გარდაქმნა-გამოსწორებაა.

— აი ეს მართალია შვილო. — დაუდასტურა თომამ და ესიამოვნა, რომ მისი შვილიც იმ აზრის ყოფილა ადამიანის გამოსწორება-გარდაქმნის შესახებ, როგორც პირადად თვითონ იყო და არის.

მამა-შვილის საუბარი მუდამ საქმიანად იწყებოდა და მთავრდებოდა.

* * *

— თქვენთან ერთი მოქალაქეა, პატივცემული არჩილ! — მოანსენა მდივანს პირადად მდივანმა ქალიშვილმა.

— შემოვიდეს!

კაბინეტში კარგად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, არჩილს თავი დაუკრა და გაჩერდა.

— გთხოვთ! — სავარძელზე ანიშნა არჩილმა.

უცნობი ცოტა ხანს შეყოვნდა და დაჯდა.

— რაზე შეწუხებულხართ? — მოეწონა ახალგაზრდა არჩილს.

— თქვენ მე ვერ მიცანით. — მწარედ გაელიმა სტუმარს. — მე... მაპატიეთ. მე ერასტის ვაჟი ვარ...

— ერასტის? ერასტი...

— გოგლაძის.

არჩილს გოცებისაგან თვალები გაუფართოვდა. ერასტი გოგლაძის ვაჟი, კომეტა გოგლაძე ერთ წელზე მეტია პატიმრობაშია, რომელიდაც კოლონიაში იხდის სასჯელს, თმა-წვერებ მოშვებული უზრდელი ბიჭი, სპეკულანტი, ხულიგანი, გაიძვერა.

— დიახ, ის გახლავარ. — თქვა სტუმარმა და სახეზე სიწითლე მოედო — ბავშვობისას თქვენი სკოლის ამხანაგი, მეგობარი... მაგრამ შემდეგ...

— კომეტა? — მოიგონა არჩილმა.

— ჰო, სამწუხაროდ კოტე კომეტად შევცვალე... — თავი დაჰხარა გოგლაძემ. — მაპატიეთ, რომ მოვედი და დროს გართმევთ. მამაჩემმა მიჩიო, თორემ თქვენთან მოსვლას ვერ გავბედავდი... სამი წლის ნაცვლად ერთი მაკმარეს... გამომიშვეს... მინდა... — ველარ თქვა რა უნდოდა.

— რა გსურს? — თანაგრძნობით შეხედა არჩილმა.

— სხვაგან წავიდოდი სადმე. პროფესია მაქვს, ლუკმაპუტის პატიოსანი შრომითაც ყველგან ვიშოვნოდი, მაგრამ ომის ინვალის მარტოხელა მამა მებრალეობა. — გული აუთრთოლდა კოტეს.

— რა პროფესიას ფლობ? — კარგა ხნის ფიქრის შემდეგ შეეკითხა არჩილი.

— მძღოლის უფლება მაქვს მოპოვებული...

— გაქვს საამისო საბუთები?

— რასაკვირველია. ექვსი თვე უფროსის მანქანას ვმართავდი.

არჩილს კმაყოფილებით გაეღიმა:

— ხომ არ გეწყინება რაიკომის მანქანის მძღოლად რომ... არა, იქნებ შეურაცხყოფად მიიღო ჩემი წინადადება... ნუ დამეჩილები.

— მაგრამ თქვენ იკადრებთ ნასამართლევი კაცი მძღოლად იყოლიოთ? — ახლა შეხედა პირველად თვალებში მდივანს სტუმარმა. — მენდობით?

— ის კაცი, რომელიც თავის შეცდომა-დანაშაულს პატიოსანი შრომით გამოისყიდის, მუდამ სანდო და საიმედოა. — არჩილი წამოდგა — მომეცი ხელი!

და ერთმანეთს ხელი ჩამოაჭრევს.

— რაც ამ რაიონში ამ წლინახევრის მანძილზე გამიკეთებია, იმას ყველას ეს სჭარბობს. — თქვა არჩილმა და კაბინეტიდან მიმავალ გოგლაძეს თვალი გააყოლა. — ახლობლები, ჩემი ახლობლები. — დაუმატა მან — ისე კი ძალიან ძნელი ყოფილა ახლობლებში მუშაობა! — ჩაილაპარაკა და კმაყოფილი შინისაკენ წავიდა, რათა მამისათვის ეს ამბავი ეხარებინა.

ბ ხ ა ლ ს ა ხ ლ შ ი

— დავლოცოთ სახლი! — ყანწი ასწიეს —
 მას შრომის მაღლი საძირკვლად უდევს...
 და შემებრაღა ქოხი პაწია,
 ჩემი ფერადი სიზმრების ბუდე;

ჩემი ფიქრების თავშესაფარი,
 ჩემი სიმღერის სიგრძე და სიგრცე,
 ისე გამჭრაღა, როგორც ზღაპარი
 და გკოცნი მისგან დარჩენილ ფიცრებს.

შენ, ჩემო ძმაო, ხომ არ ბრაზდები,
 (რა ვქნა, თუ გულმა ასე ინება?)
 ახირებული ჩემი აზრები
 ხომ არ გიფუჭებს განწყობილებას?

ხომ არ გგონია, ვარ უმადური,
 ან ვერ ვარჩევდე კარგს და უჩიგოს?
 შენი ზეიმი გულს არ მინთებდეს,
 ჩემი ფიქრი და გულიც კრულ იყოს!

სახლი, ალალი გარჯით ნაგები
 შეგერგოს ტკბილად, ჩემო ძამიკო,
 მართლაც კარგია, მაჩთლაც საჩეები...
 მაგრამ ის ქოხი მაინც სხვა იყო!

მას ჩემთვის ჰქონდა გადანახული.
 როგორც სიცოცხლის თბილი დინება —
 დედის ალურსი ანდამატური,
 მამის ულვაშში ჩაღიმელება.

მას ჩემთვის ჰქონდა ჰანგი ღვთიური
განსაცდელის და წუხილის დროსაც,
შეუბღალავი და მაგიური
იღვენებოდნენ კედლები ლოცვად.

ჭუჭრუტანებში ბზინავდა ვერცხლი —
გაუმხელელი ნატვრის ფანტელი,
პირველი ხილვა,
პირველი ლექსი,
პირველი გზნება და ჟრუანტელი.

რა დამრჩა მათგან,
ჩრითაც ვხარობდი?
რომ ფრთებს შლი
და მყარ ბუდეს იკეთებ.
და მინდა, ცის და მიწის წყალობით,
არ მოკლებოდეს შენ სახლს სიკეთე.

* * *

გაჩენის დღიდან ასე მჯეროდა,
შენს ძლიერებას რომ ვცე თაყვანი,
შენთვის სანთელი ხელში მჭეროდა,
შენთვის მახვილიც ხელში მჭეროდა,
უნდა მერწია შენთვის აკვანიც.

მე უნდა შევხვდე მაისს სხივფერადს,
გულზე დავიდნო თოვლის ფიფქებიც;
მე უნდა ვიქნე შენი სიმღერა,
მე უნდა ავხსნა შენი ფიქრები.

შენთვის ავენთო,
შენთვის ვიმძლავრო,
შენ გებუღბულო, შენ გესაუბრო,
სამშობლოვ, ჩემო დასაფიცარო,
მამულო — ჩემო ტკბილო საუფლოვ.

დადუმებულან
საყვარელი ჩემი ქარები,
ფეხზე ამდგარი თვლემენ ბორცვები.
მოვიპაჩები,
ფეხაკრეფით მოვიპარები,
რომ თოლიები არ დაგიფრთხო,
შენზე მლოცველნი.

ვდგავარ,
გიცქერი,
ხან რასა გთხოვ,
ხან რას შეგჩივი,
შეიშმუშნები,
აქაფდები რძისფერ ზვირთებად,
მოგსხლტება ტალღა
და, ზღაპრული ოქროს თევზივით,
ათას სიხარულს ერთად მპირდება.

* * *

მზის ღიმილს მოჰყვა
სუსხი და თქეში,
შავი ღრუბლების ურცხვი თარეში.
ამაღამ მთვარემ დაჰკარგა გეზი
და ჩაიძირა ლუსკუმ ღამეში.

ზეცას შეხსნია საავდრო ღილი,
ძრწის ქარიშხალი
მთიდან ველამდე...
იქნებ იმ ბავშვსაც გაუკრთა ძილი,
გუშინ რომ თვლემდა საქანელაზე?

ვაითუ, მტრედო, უმწეოდ ფრთას შლი,
გაშინებს ღელგმა თავზე დამტყდარი,

იქნება მინდვრად მარტოკა დარჩი
განდგომილი და მიუსაფარი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქნებ ვარდს აღნობს
- ცრემლების ცვარი,
ვერ უმკლავდება ყინვის არშიებს.
იქნებ იმ სარკმელს აწვალებს ქარი,
მე რომ ათასში გამოვჯიჩიე?

მაგრამ ჭირვეულ მარტის ამინდებს
რა პასუხს მოსთხოვ, არსთა განმრიგევ?
მაშ გაუმარჯოს დილას ხვალინდელს,
კაცს და ბუნებას რომ შეარიგებს.

* * *

დავალ,
ყვავილები ღიმილს მთავაზობენ,
გული ოცნებებით
ისევ დამიქარგეს...
რომ არ შემხვედროდი
არსად,
არასოდეს,
რომ არც მენახე და
ალარც დამეკარგე;
ფიქრებს უწყინარებს,
ფიქრებს მიაბიტებს
შუქი დასდგომოდით —
შუქი შენმიერი,

რომ მე ვყოფილიყავ
შენით მოიბედე,
შენით ფრთებშესხმული,
შენით ბედნიერი,
და რომ აღმაფრენით
მზესთან მოკამათეთ
გზები გაგვეცვითა
ერთად სიარულით, —
მე ვერ გავიგებდი,
რაა მოღალატე,
მე ვერ მივხვდებოდი,
რაა სინანული.

მიხეილ გოჩილიაძე

გუბაშვილის წესდობობა

III

გავიდა ხანი.

ივლიანე გადარჩა, მაგრამ ისე იყო დასუსტებული, ოთახში ძლიერ
ღაღიოდა.

უჯრედს არ დამჩნევია ივლიანეს ავადმყოფობა, პირიქით, მელიტონმა
უფრო გამოაცოცხლა მუშაობა, ახალგაზრდები შემოიკრიბა, პატარა წრე
ჩამოაყალიბა და წერა-კითხვის სწავლება დაუწყო. ისინი ერთად შრომო-
ბდნენ, ერთად ერთობოდნენ, სადღაც უღრან ტყეში მიდიოდნენ და სრო-
ლაში ვარჯიშობდნენ. სროლის ექო შორს იფანტებოდა.

ტყიდან ბიჭებთან ერთად დაბრუნებულ მელიტონს ერთხელ ახმახი
ბიკტორ სიხარულიძე შემოხვდა.

— მელიტონ, ამ ცხვირმოუხოცავ ბაღნებს რომ დასდევ, სხვა საქმე
არაფერი გაქვს?

ბიჭებმა მტრულად შეათვალიერეს ენაკვიმატი ბიკტორი.

— შენ რამ შეგაწუხა, ბიკტორ?

— არაფერმა, ისე გკითხე. მინდოდა გამეგო, თურქებთან, ან ინგლი-
სელებთან საბრძოლველად ხომ არ ემზადებით? — ახალგაზრდებს თვა-
ლი გადაავლო და გესლით ჩაიხიბითა.

— საქმემ თუ მოითხოვა, თურქებსაც შევებრძოლებით, აბა, რამიშ-
ვილივით კარებს კი არ გავუღებთ.

* დასასრული. დასაწყისი იხ. „ჭოროხი“ № 1.

— ო, მაგარი ბიჭები ხართ. აბა, მაჩვენე შენი თოფი.
ქანვისაგან გადაყვითლებული და ღუგლუგმორყეული შაშხანა ხელში შეათამაშა.

— სად ნახე, ბიჭო, აგი საფრთხობელა?

— ნასაკირალი აწერია ზედ, — ამაყად გასცა პასუხი დათო სიხარულიძემ.

— უყურე შენ, ისტორიული თოფი ყოფილა. ბიძიკო, ამით აპირებ თურქების შეშინებას?

— თურქები ისევ თუ გამოჩნდებიან, კარგ შაშხანას შენგან ვითხოვ. ბიკტორ ბიძია, შენ არ დაგჭირდება, ტყეში გაიქცევი დასამალავად, — ვალში არ დარჩა დათო.

მოსწრებული პასუხი ბიკტორს მდუღარესავით გადაედვარა, შეურაცხყოფილმა ბიჭს თვალები დაუბრიალა, შაშხანა მიუგდო და იქაურობას გაშორდა.

საღამოს მელიტონი აკაკი სიხარულიძემ დაიმარტოხელა.

— ბიკტორას ერიდე, რამე არ მოგიწყოს.

— რა გაიგე ისეთი?

— ვილაცას შენზე ხმა დაურხევია, რუსეთიდან ბოლშევიკების მიერ საგანგებო დავალებით არის გამოგზავნილიო, გითვალთვალებენ. ბიკტორას დაუტრაბახია, მიყუროს, რა დღეს წავკიდებო. არ ვიცი, რა აქვს განზრახული.

* * *

ჭიშკარს ცხენოსნები მოადგნენ, ერთს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა, ეტყობოდა, უფროსი იყო. სხვები მილიციის ფორმით იყვნენ. მელიტონის დედა შეფიქრიანებული მიეგება სტუმრებს.

— ქალო, შენი შვილი სად არის? — მკვახედ იკითხა სამოქალაქო ტანსაცმლიანმა.

— ყანაშია, ბატონო, დავუძახო?

— ჩქარა, ჩქარა, ახლავე აქ გაჩნდეს!

მელიტონის დედა სახლს მიეფარა. ორიოდ წუთში მელიტონიც გამოჩნდა. მან იცნო ერობის თავმჯდომარე დომენტი თავბერიძე და მისი თანმხლებნი. უდროოდ დროს სტუმრობა ცუდად ენიშნა. ეზოში არ შემოუბატუებია. რაზე შეწყუხებულხართო, ჰკითხა.

— მაგას ქე მიხვდებოდით, ახლა, შენ. — მედიდურად უთხრა ერობის თავმჯდომარემ.

— მართალი გითხრათ, ვერაფერს მივხვდი, — უკან არ დაიხია მე-
ლიტონმა.

— შენზე ნამეტანი ცუდი ხმები მოგვდის.

— რაში მდებენ ბაბას, ბატონო დომენტი? — გაიკვირვა ქორიძემ.

— რაში და ხალხს ჭკუა-გონებას ურევსო, მთავრობის საწინააღმდე-
გო აგიტაციას ეწევაო, ახალგაზრდობას წითლებზე შეთხზული ზღაპრე-
ბით წამლავსო. ბიძიკო, მამაშვილურად გაფრთხილებ, გონს თუ არ
მოხვალ და შენსას მაინც არ დაიშლი, იცოდე, თავი ოხრად დაგრჩება.

— ბატონო დომენტი... — წამოიწყო მელიტონმა, მაგრამ თავბერი-
ძემ მაშინვე შეაწყვეტინა.

— არ დამიწყო ახლა თავის მართლება. მე ვიცი, რასაც ვამბობ. შენ,
ქალო, მაგ შენს შვილს მიხედე, თორემ მზის სინათლეს ვერ ეღირსება.
შეიძლება ბაწარშიც გააყოფინონ თავი. კარგად დაიმახსოვრეთ ჩემი სიტ-
ყვა.

ერობის თავმჯდომარემ ცხენი მედიდურად შემოატრიალა, დაწული
მათრახი ჰაერში შეათამაშა და შუკაში დაეშვა. მას სხვებიც მიჰყვნენ.

მიტკალივით გადაფითრებულ ქალს მუხლებმა უღალატა. მელიტონ-
მა დედას ხელი შეაშველა და ხის ჩრდილში გრძელ მოჩრზე დასვა. ქალს
სახე ცივი ოფლით დაეცვარა, ტუჩები გაუღუპრდა, სუნთქვა შეეკრა,
ჰაერი არ ყოფნიდა.

— დედა, დამშვიდდი, გამაგრდი, რა მოხდა ისეთი. — მელიტონმა
აცხცახებულ ხელზე მიუალერსა.

ქალმა სული ზომ მოიბრუნა, შვილს უსაყვედურა.

— ა, ხომ გეუბნებოდი ფათერაკს გადაეყრები-მეთქი. გული მიგრძ-
ნობდა რაღაც საშინელს და კიდეც ამიხდა. იქაურ უბედურებას გადა-
ურჩი და ახლა მეზობლებს გინდა მოაკვლევინო თავი? შევარდნაძე და
დოლიძე შენზე კარგი ვაჟკაცები იყვნენ, მარა, ხომ გახსოვს რა დღეც
წაჰკიდეს.

— ნუ გეშინია, დედა, უბატონოდ ხმას ვერ გამცემენ. ახლა სხვა
დროა.

— თვალებს ნუ მიხვევ, ბიკტორასფერ თავზეხელაღებულს ქვეყანაზე
რა გამოლევს, ერთ ტყვიას შენთვისაც გამონახავენ. ოჯახს ნუ დაჰქცევ,
შვილო. — დედას ცრემლები მოერია.

— რას ამბობ, დედა, ისეთს რას ვაკეთებ?

— რა ვიცი, რას აკეთებ, ან სად დადიხარ. თუ არაფერი დაგიშავებია,
რადას გეშუქრებიან?

მელიტონმა თავი ვერ იმართლა, ტკბილი სიტყვებით სცადა დამშ-
ვიდება.

— გამიგონე, ბიჭო, გაიხედე სოფელში, ისეთი გოგოებია, ვარსკვლავს ეთამაშებიან, სანამ ცოცხალი ვარ, რძალი მაღირსე.

— ჰო, კარგი, დედა, გულს ნუ გაიტეხ. შვილის კი არა, შვილიშვილის ქორწილს მოესწრები. აგურ ომი დამთავრდება, ქვეყანა დამშვიდება, მამაჩემი გამოჩნდება და გულიც გაგიმაგრდება.

* * *

კომიტეტიდან ცნობა მოვიდა, გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადეთო. იარაღს კი პირდებოდნენ, მაგრამ უარი შემოუთვალეს.

უჯრედის ხელმძღვანელთა ვიწრო თათბირზე გადაწყდა ჩოხატაურის ერობისა და მილიციის საწყობიდან შაშხანები გაეტაცნათ.

ოპერატიული გეგმა მელიტონმა შეიმუშავა. გეგმის ყველა დეტალის დაზუსტებით გული რომ იჯერა, შემდეგ ივლიანეს გააცნო.

— ჩვენზე ეჭვი რომ არ აიღონ, ეს ოპერაცია ახალგაზრდებს მივანდოთ. სამი შეიარაღებული კაცი გუშაგებს უსისხლოდ აპყრის იარაღს. მათ პირს ჩვრებით ამოუვსებენ, შაშხანებს შეკრავენ, ვაზნებს ბოხჩებში ჩაყრიან, ცხენებს აჰკიდებენ და მთებისკენ გასწევენ. ეს მოხდება ღამის სამ საათზე. სხვა სამი ახალგაზრდა ცხენებზე აჰკიდებს ხილს და ნაშუალამევს სამტრედიის გზას დაადგება ისე, რომ ღამის სამ საათზე ჩოხატაურში გაიარონ. ეს უნდა მოხდეს შაბათს, ნაშუალამევს. გამვლელთა ყურადღებას სამტრედიისაკენ მიმავალი ჯგუფი მიიპყრობს, მდევრებიც მათ გამოუდგებიან. ნესტორის მამას კვირას ასაფლავენ, მე და ზოგიერთი სხვა, ვისზეც შეიძლება ეჭვი აიღონ, ღამეს ნესტორის ოჯახში გავტეხთ. ივლიანემ გეგმა მოიწონა.

ყველაფერი ისე აეწყო, როგორც მელიტონმა გაითვალისწინა. სამტრედიისაკენ წასულ ცხენოსნებს რიონის ხიდზე შემოათენდათ. ხიდზე დაისვენეს, თამბაქო შეახვიეს, გუშაგებს ასანთი სთხოვეს, ხილით გაუმასპინძლდნენ, რიონში თევზს თუ იჭერთო, იკითხეს. კარგად რომ გათენდა, გზას გაუდგნენ.

ხიდიდან ნახევარი კილომეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, ყიჟინი მოესმათ. მათკენ ცხენებს მოაგელვებდნენ იარაღმომარჯვებული მილიციელები.

— ეპეი, თქვენ ვინა ხართ? — დაწინაურებულმა მილიციელმა შარზე მდგარი გახელებული ცხენით კინალამ გადათელა.

შეშინებული ბიჭები უსიტყვოდ მიაჩერდნენ თვალუბამღვრელ მილიციელს.

— არ გესმით? სადაურები ხართ?

— ხიდისთაველები, — ყველას მაგივრად დათო სიხარულიცემ გასცა პასუხი.

— სად ჯანაბაში მიდიხართ?

— ბაზარში, ბატონო, რა მოხდა ასეთი?

სხვებიც მოვარდნენ. ერთი მილიციელი ხიდისთაველი აღმოჩნდა.

— ესენი ჩემი მეზობლებია.

— ო, თქვენი დედაც... — შეივინა თვალებამღვრეულმა მილიციელმა, — თქვენს დევნაში ჭაჭები ჩამექცა. ჩელტებში რა გაქვთ?

— ნახეთ, ბატონო.

ყველაფერი ამოქექეს, მაგრამ რასაც დაეძებდნენ ვერ აღმოაჩინეს. რამდენიმემ ხილით აივსო ჯიბე.

ოცდაოთხი შაშხანა, უმთავრესად კარაბინები და ერთი ყუთი ვაზნა შეემატა უჯრედის არსენალს.

სანამ გვარდიელები და მილიციელები სოფლებს ჩხრეკდნენ, მელიტონმა იარაღი ჩხაკაურას ტყეში წინასწარ მომზადებულ გამოქვაბულში გადაამალვინა.

დაპატიმრებუბმა და დაკითხვებმა მთელ თვეს გასტანა, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია.

* * *

ოზურგეთიდან დაშიფრული ქალღლი მოვიდა, 9 ნოემბერს აჯანყება იყო დანიშნული. ხიდისთავს, წიფლიგვარასა და პაიჭესოულს ორმოცდაათი გაბედული და შეიარაღებული კაცი უნდა გამოეყვანა. დილის ცხრა საათზე დვაბუში უნდა შეკრებილიყო ჩოხატაურის, აკეთის, აცანის, ნაგომრის, დვაბუშისა და სხვა მახლობელი სოფლების რაზმები და წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით თორმეტ საათზე იერიში მიეტანათ ოზურგეთზე აღმოსავლეთის მხრიდან. ისინი დაიკავებდნენ რკინიგზის სადგურს, ფოსტას და მაზრის უფროსის შენობას. თუ საჭირო გახდებოდა, დაუხმარებოდნენ სხვა რაზმებს, რომლებიც ბრძოლას გაუმართავდნენ გვარდიელებსა და მილიციას.

უჯრედი ფარულმა მღელვარებამ შეიპყრო. დგებოდა ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი. საგულდაგულოდ შეარჩიეს ორმოცდაათი კაცი. საერთო ხელმძღვანელობა მელიტონს დაევალა. ჩამოიტანეს და ღამით დაარიგეს შაშხანები, ვაზნები, მოიმზადეს ორი დღის საჭმელი. შეკრების ადგილად დანიშნეს ჩოხატაურ-ნაგომრის გზაზე ძველი წისქვილი.

მელიტონმა დაყენებით მოითხოვა, ღამით ჩხაკაურას სამალავში გა-

ეგზავნათ ფქვილი, კვასები, ყველი, ღვინო, ჯამ-ჭურჭელი, ყველაფერი; რაც საკმაოდ მოზრდილ რაზმს გახიზვნის შემთხვევაში დასჭირდებოდა.

საღამომდე ცა ლეგა ღრუბლებით დაიტვირთა. ნაადრევად ჩამოხვლოდა. მთების მხარეს ზოგჯერ მკვეთრად გაიელვებდა და შემდეგ ისე დაიქუხებდა, რომ დედამიწა ზანზარებდა. პაერი გოგირდის სუნით გაიჟლინთა.

„ამინდი მტრულად გვემუქრება“, თავისთვის დაასკვნა მელიტონმა. ფანჯრიდან უსიამოვნოდ გახედა საავდროდ დამუხტულ დედამიწას. დედის შეუმჩნევლად მოამზადა იაჩალი. მთელი მისი გონება ხვალინდელი ამბებით იყო შეპყრობილი.

ნავახშმევს, თითქოს ცამ უბე გაიხსნაო, წვიმა ღვართქაფად დაეშვა დედამიწაზე. გაელვებაზე ნათლად მოჩანდა წყალში შეცურებული გარემო. ფერდობებში პატარა ნაკადულები ძალას იკრებდნენ და გზას იკაფავდნენ.

ასე გავიდა ერთი საათი. თავსხმა ოდნავადაც არ შეჩერებულა. ცა დაიქუხებდა და სახუჩავი ახალი ძალით ახმაურდებოდა, ზოგჯერ სეტყვა წამოუშენდა, მაშინ სიფრიფანა ყავრიდან ოთახში გაბმული გუგუნი ჩამოდიოდა. წვიმის შხუილს აზავებული მდინარეების ღრიალი უერთდებოდა.

„ასე რომ გაგრძელდეს, ხიდებს წალეკავს და სოფლები მოვწყდებით ერთმანეთს. გაგიჟებულ მდინარეს, ცხადია, ვერავინ გადმოლახავს, მაშინ ხომ ყველაფერი დაიღუპება? რაღაც უნდა ვიღონო, მაგრამ რა? ივლიანესთან ავიდე? მოვეთათბირო? იქ როგორ ავალწევ? ესეც არ იყოს, ნახევარი საათი მაინც დაიკარგება. უმჯობესია მეზობლები შევკრიბო, ხილზე გადავასწრო და გაღმა ჩვენებთან შევაფარო თავი“.

ცა რაკი არ დამშვიდდა, მელიტონმა ჩექმები ჩაიცვა, ლაბადა მოიხურა და გარეთ გაიჭრა. მოკლე დროში თხუთმეტამდე კაცი ფეხზე დააყენა.

სოფლის ცენტრში საცალფეხო ხიდს ადიდებული გუბაზეული ლოკავდა. მთელს ხეობაში ზათქი და დაგორებული ქვების ჭახანი ისმოდა. მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა, მთებიდან ღვართქაფი ჯერ მთლიანად არ მოვარდნილიყო, აშკარად ჩანდა, ხიდი წალეკვას ვერ გადაუჩრჩებოდა. ბიჭებს ბევრი აღარ უფიქრიათ, ხილზე აიჭრნენ და გაღმა ნაპირზე გავიდნენ. ღამე აკაკი სიხარულიძის სასიმიინდეში გატეხეს.

— გუბაზეული და ბახვისწყალი მთელს დაბლობს დატბორავს.

— იქნებ დილამდე დაიწრიტოს.

— არ დაიწრიტება.

— დეაბზუში წუხელ უნდა გადავსულიყავით.

— ვინ ელოდა ასეთ ამინდს.

განთიადზე წვიმამ ოდნავ იკლო.

გზას დაადგნენ.

პატარა ღელეებიც ისე აღიდებულებოდა, მთავარ გზამდე ძლიერ გაა-
დწიეს. წისქვილთან განაპირა ტყეში ოცდაექვსი ხიდისთაველი შეგროვ-
და. ამდენივე ჩამოვიდა ჩოხატაურიდან. ხალხის სიმრავლემ რაზმს ძალა
შემატა. ჩოხატაურის კომუნისტების საერთო ხელმძღვანელის ტარასი
მაგლობლიშვილის გამოჩენამ ყველა გაახალისა.

ჩამორჩენილთ ხუთი კაცი დაელოდა. მთავარი რაზმი ოზურგეთისა-
კენ დაიძრა.

გამოიძრა.

მდინარე გუბაზეულთან საშინელი სურათი გადაეშალათ, სადღა იყო
ხიდი. აზავთავებული მდინარე ველზე იშლებოდა, მთელი დაბლობი
წყალს დაეტბორა.

მდინარის მეორე მხარეს, გორაკზე შენიშნეს თხუთმეტამდე კაცი,
ყაბალახებს აფრიალებდნენ, რაღაცას ყვიროდნენ, მათ ხმას მდინარე ახ-
შობდა.

იცნეს გაღმელი ხიდისთაველები. მიხვდნენ, რომ ხიდი სოფელშიც
გატაცნა.

ითათბირეს. გადაწყვიტეს ორიოდე საათი წყლის დაცხრომას დალო-
დებოდნენ, მანამდე კი ტყეს შეეფარნენ.

ოქი საათი გავიდა, მაგრამ წყალი ოდნავადაც არ ჩამდგარა. გაღმა
გალწევაზე ფიქრი ზედმეტი იყო.

ისევ მოითათბირეს.

ერთი ნაწილი მოითხოვდა, საღამომდე ტყეში დარჩენილიყვნენ. და-
მით ან ოზურგეთში წასულიყვნენ, ან შეუმჩნევლად შინ დაბრუნებუ-
ლიყვნენ.

სხვებმა წინადადება წამოაყენეს ჩოხატაური აედოთ. რაკი აჯანყებ-
გადაწყდა, გულხელდაკრეფილნი აზრ ოზურგეთლები დარჩებოდნენ,
ჩოხატაურის აღება მათთვის თავისებური დახმარება იქნებოდა, ამტკი-
ცებდნენ.

მელიტონმა რაზმს ურჩია დალოდებოდნენ ოზურგეთიდან რაიმე
ცნობის მოსვლას და იმის მიხედვით ემოქმედათ.

წინადადებებს კენჭი უყარეს.

უმრავლესობამ გადაწყვიტა ჩოხატაური აედოთ. ისინი ბრძოლის უი-
ნით იყვნენ შეპყრობილნი და აღარ უნდოდათ უკან დაეხიათ.

ოპერატიული გეგმა შეადგინეს. რაზმებად დაიყვანეს.

მელიტონის ჯგუფს დაევალა გვარდიელთა და მილიციელთა სახლი ჩაეგდო ხელთ.

სუფსის ხიდთან სახაშეში ორ გვარდიელსა და სამ მილიციელს წააწყდნენ. ღამით მორიგეები ყოფილიყვნენ. სოფლებში ხიდები ყველგან წალეკილი იყო და სახლში ველარ დაბრუნდნენ. ახლა სახაშეში ჰკლავდნენ ღროს.

— მელიტონავ, რა არის ეს? — ნესტორს სიბრაზისაგან ნაიარევი სახე გადაულურჯდა.

— მშვიდად, ნესტორ, იარაღი ჩააბაჩე და ნერვებს გაუფრთხილდი, — უთხრა მელიტონმა.

— ოცდაათი კაციტ გინდა გადატრიალება მოახდინო?

— ჩოხატაურში ესეც კმარა. ოზურგეთში ათასი იბრძვის. თბილისში — ორმოცდაათი ათასი.

— კოვზი ნაცარში რომ ჩაგივარდეს, სად დამემალები?

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა გამოგყევი.

— სად, მელიტონავ, გიჯობს იარაღი დამიბრუნოთ და აქედან მოუსვით.

— კმარა! — ხმას აუწია მელიტონმა, — სავაჭროდ არ მოვსულვართ. ახლა სარდაფში ჩაჰკეტეთ, შემდეგ ვნახოთ, კომიტეტი რას გადაწყვეტს. ნესტორს ხელი წაავლეს და წინ გაიგდეს.

მილიციისა და გვარდიელთა სახლი უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში. შეჯახება ერობის სახლში მოხდა. ერობის თავმჯდომარემ შეიარაღებულნი ხალხი რომ დაინახა, მაუხერი იმიშვლა, მაგრამ დაასწრეს... მეტი მსხვერპლი არ ყოფილა.

მენშევიკების ხელმძღვანელი იმნაძე, გვარდიელები და მილიციელები, სულ თერთმეტი კაცი სარდაფებში ჩაჰკეტეს.

ბოლშევიკების გამოსვლის ამბავი ჩოხატაურს ელვის სისწრაფით მოედო. მენშევიკების ნაწილი ტყეში გაიხიზნა.

იმავე დღეს ლანჩხუთში კაცი აფრინეს.

ლანჩხუთიდან არასასიამოვნო ამბები მოვიდა. ოზურგეთში აჯანყებას წარმატება არ მოჰყოლია. წყალდიდობამ სოფლები ცენტრს მოწყვიტა და აჯანყებულთ ვერ მიეშველნენ. სამტრედიიაში, ქუთაისში, სამეგრელოში იარაღისთვის ხელი არც უხლიათ. თბილისში რევოლუციური შტაბის ჩავარდნამ და მთელი რიგი პარტიული კომიტეტების დარბევამ მაზრებში დაბნეულობა გამოიწვია.

მელიტონმა შეათვასა საქმის ვითარება და იმავე ღამით ჩხაკაურას სამალავში სურსათი გაგზავნა.

მეორე დღეს ლანჩხუთის სადგურზე ჯავშნოსანი მატარებელი გაჩერდა. ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერმა ყველაფერი გადაწვიტა. ბოლშევიკები სადღაც გაუჩინარდნენ.

ოზურგეთიდან დაძრულ ჯარის ნაწილებს, გვარდიელთა და მილიციელთა ჯაზმს ჩოხატაური დაცლილი დახვდა.

— მელიტონ ქორიძე, ახლა ჩემი ჯერია! — სარდაფიდან გამოსულმა ნესტორმა მუშტი მკერდზე მუქარით დაირტყა.

* * *

ხიდისთავის, წიფლიგვარასა და პაიჭესოულის კომუნისტთა უმრავლესობამ ტყეებს შეაფარა თავი. გაიხიზნენ სხვა სოფლების აჯანყებულებიც.

მაზრის ხელისუფლება აჯანყებულთ შეწყალებას შეპირდა, თუ ისინი იარაღს ჩააბარებდნენ და ხელწერილს დადებდნენ, რომ მთავრობის ერთგულნი იქნებოდნენ.

აჯანყებულთა ნაწილმა ძველი შაშხანები, სანადირო თოფები, ცივი იარაღები ჩააბარა და თავის ოჯახს დაუბრუნდა.

მელიტონი არ ენდო მენშევიკების სიტყვას. რაზმის ყველაზე აქტიურ მებრძოლთაგან პატარა ჯგუფი შექმნა და ტყეში დარჩა. ნაწილი სხვა მაზრებში გაიხიზნა. უმრავლესობამ აჭარას შეაფარა თავი.

სამი კვირა მშვიდობიანად გავიდა. ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩაღება, მენშევიკებმა თითქოს დაივიწყეს ოქტომბერში მომხდარი აჯანყება.

მაგრამ შუა რუსეთსა და ჩრდილო კავკასიაში, რაც უფრო რთულდებოდა მდგომარეობა, თავიანთ პოზიციებს რაც უფრო მეტად ჰკარგავდნენ თეთრგვარდიელები და ანტანტის ჯარები, მენშევიკები მეტ სიმკაცრეს იჩენდნენ.

ბანაკში დათო სიხარულიძემ შემაშფოთებელი ამბები ამოიტანა. ნოემბერში ოზურგეთის მაზრაში მენშევიკებმა ჩაატარეს „წითელი ოპერაცია“. ორმოცი აქტიური კომუნისტი დაიჭირეს და საპყრობილეში ჩაყარეს. ჩოხატაურელ კომუნისტებს დააბრალეს იარაღის გატაცება, მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყება, ერობის თავმჯდომარის მოკვლა. ტყიბუნაშვილმა ბერიძეს, სიხარულიძეს და გოგოლიშვილს დახვრეტა მიუსაჯა, თორღია, ბენდელიანი, თედორაძე, მამალაძეები მეტეხის ციხეში გადაგზავნეს.

— ხალხი რას ამბობს? — ჰკითხა მელიტონმა დათოს.

— შეშინებული არიან, თვალი ტყისაკენ უჭირავდ.

მელიტონს ტყე დროებით თავშესაფრად მიაჩნდა. ტყიდან შეიძლებოდა მასობრივი თავდასხმების მოწყობა, ტერორი, მტრის დაშინება.

ასეთი ეპიზოდური ღონისძიებები საქმეს ვერ შეუღოდა. იგი უმეზროდ სისხლისღვრას, საჭირო იყო ძალების შენარჩუნება და ახალი, უფრო გადამწყვეტი ბრძოლისათვის ხალხის მომზადება.

— დათო, დედაჩემი როგორ არის, ალბათ ჩემზე ფიქრით გული გადაელია.

— გაჭირვებამ გააკაჟა. ოღონდ ის ბიჭი კარგად იყოს და მე მტრის ჯინაზე ყველაფერს გავუძლებო, უთქვამს. მამამ შემოგითვალა, დედაშენზე ნუ იღარდებ, არაფერს მოვაკლებთო.

ოჰი დღე გავიდა, მაგრამ დათო სოფელში დაბრუნებას არ ჩქარობდა.

— შენ, რა, გაგიტკბა ტყეში ყოფნა? — გაკვირვებით ჰკითხა მელიტონმა.

— ვეჩვევი, იქნებ მეც დამჭირდეს.

მელიტონს მოეწონა ბიჭის პასუხი. ჰაბუკს შეგნებული ჰქონდა, რასაც აკეთებდა.

— დათო, ყველა ადამიანს, მით უფრო, ახალგაზრდას, თავისი ოცნება, ცხოვრებაში გარკვეული სამოქმედო მიზანი აქვს. შენ ჩას ფიქრობ, რა უნდა გამოხვიდე? — ჩაეძია მელიტონი.

— რა გამოვალ, არ ვიცი, — სიცილით გაუმხილა თავისი ოცნება, — დღეს ძალიან მინდა გენერალი ვიყო და არმია მყავდეს. ისეთ საქმეს დავატრიალებდი...

— მაინც, ჩას იზამდი?

— როგორ რას ვიზამდი. აქ, ჩხაკაურას ტყეში კი არ დავიმალებოდი, თბილისისაკენ დავიძრებოდი.

მელიტონს სახეზე სევდიანი ღიმილი გადაეფინა.

— არმია კი არა, დივიზიაც გვეყოფოდა, ჩემო დათო, მაგჩამ რომ არ გვყავს?

— რას ამბობთ, თხუთმეტი-ოცი ათასი მებრძოლი არ გამოვა ბოლშევიკების დასახმარებლად?

— ასი ათასიც გამოვა, თავსაც გასწირავენ, მაგჩამ ჯერჯერობით მათი ერთად დარაზმვა ვერ მოგვიხერხებია, ყველასთვის ხმა ვერ მიგვიწვდენია, საამისო იარაღი ვერ შეგვიგროვებია. აი, უკეთ მოვემზადებით, მთელს საქართველოში ეჭითიან დღეს დავნიშნავთ და მაშინ ნახონ.

დათოს თვალეში იმედის შუქი ჩაუდგა.

ღამით დათო გახიზნულებს წიგნს კოცონის შუქზე უკითხავდა. ორჯერ წააკითხეს აკაკის „ბაში-აჩუკი“. დღისით ზოგჯერ დასაზვერავდაც მიდიოდა. ლამაზად ამოგვირისტებული ქალამნებით მსუბუქად დახტოდა კლდე-ღრეში. ისე უაღერსებოდა კარაბინს, როგორც ცოცხალ არსებას.

დათოს წასვლის დღეს ბანაკში ახალი ცნობა მოვიდა. მაზრის უფ-

როსის დავალებით ნესტორმა გვარდიელებისაგან, მილიციელებისა და მოხალისე მენშევიკებისაგან დიდი რაზმი შეადგინა და საცაა თქვენს წინააღმდეგ დაიძვრებიანო.

მელიტონი მოწინააღმდეგეს ნაბელავში ჩაეგება და ძნელად მისადგომ ხეობაში ჩაუსაფრდა.

ცხენოსანი რაზმი ორი დღის შემდეგ გამოჩნდა. მშვიდად მოდიოდნენ, ეტყობოდათ, საფრთხეს არ მოელოდნენ. სათადარიგო ცხენებზე ხურჯინებით სურსათი და ტყვია-წამალი აეკიდათ.

მელიტონმა მოახლოება აცალა.

შაშხანის გასროლამ ხეობა გამოაფხიზლა. ტყვიამ წივილით გაჰყვეთა ჰაერი და მეწინავე ცხენოსანს გზა მოუჭრა.

შეშფოთებული რაზმი შედგა. მდინარის გაღმა მიუვალი კლდე შიშით შეათვალიერეს.

კლდის თავზე მელიტონი გადმოდგა.

— ნესტორავ, ორმოცდაათი კაციტ კი არა, ბატალიონი რომ გყავდეს, ვერაფერს დაგვაკლებ. ეგ ბრიყვები ახლავე უკან გარეკე, თანაც გაფრთხილებ, მეორედ აქეთ წამოსვლა არ გაბედოთ, თორემ რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალებთ. — გადმოსძახა ზემოდან.

დაბნეულმა ნესტორმა სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა, აშკარად ხედავდა, რომ ტაქტიკურად წააგო.

— ჯობს გავეცალოთ, — ჩურჩული ატყდა რაზმში.

— იქნებ მარტო არის, სირცხვილით თვალი სად გაეახილოთ?

— თუნდაც მარტოდ იყოს, სანამ გაღმა გავიდოდეთ, დაგვხოცავს.

დაბნეული რაზმი ვერც წინ მიდიოდა, ვერც უკან. უაზრო კამათში ჰკარგავდნენ დროს.

— ეჰეი, თქვენ, — კლდის თავზე ისევ გაისმა მელიტონის ხმა, — რაღას ელოდებით, თავი მოგძულდათ? მაშ, კარგი..

მელიტონი თვალს მიეფარა, იმავე წუთს, თითქოს ხეობა ჩამოიქცაო, სივრცე გუგუნით აივსო. ტყვია წეწავდა ხეებს, კივილით სხლტებოდა ლოდებზე, ბუღს აყენებდა რაზმის თავში და ბოლოში.

ყველაფერი უტბად დამთავრდა. რაზმმა პირი იბრუნა და დაღმართზე დაეშვა.

— რაკი ჩვენი ძალა იწვნიეს, მთისაკენ აღარ იზამენ პირს, — დაასკვნა მელიტონმა. საღამოს ბანაკში დაბრუნდნენ.

შემდეგ დღეებში მეკავშირეებს ზედიზედ მოჰქონდათ ახალი ამბები.

ნაბელავიდან დაბრუნებულმა დამსჯელებმა ღამით მელიტონისა და ორი სხვა აქტიური აჯანყებულის სახლი ცეცხლს მისცეს. ცად აჭრილი ალი სოფელს ანათებდა. სოფელში შესასვლელ გზებთან და ნესტორის

სახლკაზთან მილიციელები ჩასაფრეს. მოელოდნენ, რომ გახიზნულნი სამაგიეროს გადახდას შეეცდებოდნენ და ამით მახეში გააბამდნენ. მაგრამ ივლიანემ დროულად გააფრთხილა მელიტონი.

საგანგებო დაცვის მიუხედავად ნესტორის სახლს მაინც წაუჟიდეს ცეცხლი. ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა, ასე მოხერხებულად ჩალა პირში ვინ გამოავლო ჩასაფრებულ მილიციელებს. მელიტონს, ივლიანეს, თვით ნესტორსაც ეჭვი დათო სიხარულიძეზე ჰქონდათ, ხმებიც დაირხა, დათოს გარდა ვინ მოახერხებდაო.

ნესტორს სახლის დაწვა არ აკმარეს. ერთხელ ღამით დახვდნენ, იარაღი აჰყარეს და დაემუქრნენ. შენი სახლის დამწველის ძებნას, ჯაშუშობას თავი დაანებე, სოფელი მოასვენე, თორემ ყველაფერი ოხრად დაგრჩებაო.

ამის შემდეგ ნესტორი ღამით სახლში აღარ დაბრუნებულა. ყოველი ბუჩქის უკან ჩასაფრებული მოწინააღმდეგე ელანდებოდა. თუმც იმასაც გრძნობდა, რომ მისი სიცოცხლე მელიტონის ხელთ იყო და აქამდე მელიტონი რატომღაც გადამწყვეტი ნაბიჯისაგან თავს იკავებდა. სიფრთხილეს თავი არ სტკივავო, ნათქვამია, ნესტორმა ჩოხატაურში სახლი დაიქირავა და ცოლ-შვილი თან წაიყვანა. სოფელში ახალი სახლის მშენებლობას მოხუცი დედა მეთვალყურეობდა.

მელიტონის დედა ძმასთან არ გადავიდა, ფაცხაში დარჩა. შვილსა და ქმარს კერიას არ გაგუცივებო, თქვა. ქორიძეებს სახლის აშენების ნება არ მისცეს. რაც დაწვას გადაურჩა, იმასაც გაგინადგურებთო, დაემუქრნენ.

მარცხის შემდეგ დამსჯელებს აღარ უფიქრიათ ჩხაკაურას ტყის დალაშქვრა, ნაბელავის მხარეს ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ბედავდნენ.

* * *

მთაში აცივდა. თოვლით დაიბურა მახლობელი მწვერვალები. გამოქვაბულში ღღისით აკრძალული იყო ცეცხლის დანთება — კვამლზე შეიძლებოდა შეემჩნიათ ბანაკის ადგილ-სამყოფელი. ნაბდებში გახფუტნი ძლივს თბებოდნენ.

ზამთარში გახიზნულთა უმრავლესობა მელიტონმა აჭარაში გადაიყვანა და ბათუმის კომიტეტის დახმარებით ქედას შეეფარნენ. ზოგიც სამეგრელოსა და აფხაზეთში შეეკედლნენ ნაცნობ-ნათესავებს. სოფლებში ხმა დაარხიეს, აჯანყებულები ბახმაროში იზამთრებნო.

გაზაფხულზე მელიტონი თავისი რაზმით ჩხაკაურაში დაბრუნდა. მათი დასაწყისში ნესტორს ისევ დაავალეს გახიზნულებზე თავდასხმა.

ბრძოლაში დაიღუპა მოხალისე ბიკტორ სიხარულიძე და რამდენიმე მო-
ლიციელი. მსხვერპლი იყო გახიზნულთა მხრივაც. ბევრმა დედამ ჩაიცვა
შავი. მხარში მძიმედ დატრიალი მელიტონი ორი თვე მკურნალობდა ჩხა-
კურაში.

1920 წლის 28 აპრილს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გა-
მარჯვების ცნობამ ჩხაკურას ტყეში შუა მაისს მოაღწია. გახიზნულნი
იმედით აღივსნენ. წითელი არმია საქართველოს საზღვარს უახლოვდე-
ბოდა.

ცოტაც და მაცნემ კიდევ ერთი ახალი ცნობა მოიტანა. ივლიანე
იწერებოდა, რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ და საქართველოს მენ-
შევიკურმა მთავრობამ 7 მაისს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომ-
ლის ძალითაც საქართველოს მთავრობა ბოლშევიკური ორგანიზაციებს,
ბოლშევიკური პარტიის წევრებს თავისუფლებას ანიჭებსო, მრავალი
პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლეს და თავიანთ ოჯახებს დაუბრუნ-
დნენო.

გახიზნულებმა შვებით ამოისუნთქეს. უმრავლესობამ იარაღი გადამა-
ლა, ბარში ჩავიდა და თოხს მოჰკიდა ხელი. მელიტონი ოთხ ყველაზე
აქტიურ მებრძოლთან ერთად ჩხაკურაში დარჩა. ქოჩიძეებს ნება დარ-
თეს ახალი სახლი აეშენებიათ.

მელიტონს ელოდა კიდევ ერთი დიდი სიხარული. მამა ტყვეობიდან
დაბრუნდა.

მშვიდობა ხანმოკლე აღმოჩნდა. შემოდგომაზე მენშევიკური რეპრე-
სიები ხელახლა გაჩაღდა, აწიოკებდნენ რევოლუციურად განწყობილ
ოჯახებს, ვისაც იარაღს აღმოუჩენდნენ, ციხეში ყრიდნენ, აჯანყებაში
მონაწილეობის მიღებისათვის ბევრი დასაჯეს. ბოლშევიკთა უმრავლესო-
ბა ისევ ტყეებს შეეფარა.

1921 წლის მარტის დამდეგს ივლიანემ ჩხაკურაში მელიტონს ახა-
ლი ამბავი აცნობა: „წითელი არმიის დახმარებით 25 თებერვალს თბი-
ლისში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა. მენშევიკური მთავრობა ქუ-
თაისში გაიქცა. ჩქარა ჩოხატაურშიც ავაფრიალებთ წითელ დროშას“.

გახიზნულთ ცხენები ათხოვეს და გზა დაულოცეს.

ჩხაკურაში გაზაფხულის სუნთქვა იგრძნობოდა. დამძიმებული თო-
ვლი დნობას იწყებდა. თოვლში გატრიალი ბილიკები წყლით ივსებოდა და
ხეობაში ჩხრიალით ეშვებოდა. თოვლი უმზეო ადგილებს შემორჩენოდა.

მელიტონის ჯგუფი სიფრთხილეს არ კარგავდა. სულ შვიდნი იყვნენ.
სოფელში ღამით ჩავიდნენ. სიმშვიდე დახვდათ.

მილიციელები და გვარდიელები ერთი კვირაა არ გვინახავს, მენშე-
ვიკები ხმას არ იღებენ, თავისთვის ჯიანს გასუსტულნი, გრძნობენ, დიდი
დღე აღარ დარჩენიათო, უთხრეს.

მომღევნო დღეებში სიმშვიდე არ დარღვეულა. მძლავრ ტალღას, რომელიც ლიხს მოადგა, აშკარა იყო, წინ ვერაფერი აღუდგებოდა.

შუა მარტში, ქერქაძის სახლში ჩოხატაურის კომიტეტისა და კომუნისტური უჯრედების ხელმძღვანელები ფარულად შეიკრიბნენ. თათბირი ღამით გაიმართა.

კომიტეტი სადღეისო ამოცანებს იხილავდა, საბოლოო გამარჯვება ახლოვდებოდა.

მოულოდნელმა გასროლამ თათბირი შეწყვიტა. ლამპა ჩააქრეს, იარაღი მოიმარჯვეს. მელიტონმა ფანჯარა ფრთხილად გამოაღო და გუშაგებს დათქმული ნიშანი მისცა. საპასუხოდ ნესტორმა გადმოსძახა.

— ასი კაცი მახლავს, მთელი სახლი ალყაშია მოქცეული.

მოულოდნელმა ალყამ სახლში მყოფნი დააბნია.

— გავცვეს, — თქვა ივლიანე ლომთათიძემ.

— ასი კაცი ჟორდანიას არ ეყოლება, გვაშინებს.

— პატარა რაზმით ვერ მოხედავდა, — საუბარში ტარასი მაგლობლიშვილი ჩაერია.

მელიტონი ისევ ფანჯარასთან მივიდა და სიბნელეში გასძახა:

— რა გინდა, ნესტორავ?

— შენ და მაგლობლიშვილი ერობის თავმჯდომარესთან უნდა მიგიყვანოთ. გადაწყვიტეს, შუაგადად გაგაგზავნონ წითლებთან. ნებით თუ არ გამყვებით, ძალად წაგიყვანთ და ურჩობასაც განანებთ. მოფიქრებისათვის ათ წუთს გაძლევთ.

სახლში გამოკეტილნი ისევ ბჭობას მოჰყვნენ.

— მახეს გიგებენ.

— ახლა სისხლს აჩ დაღვრიან, მდგომარეობას არ გაართულებენ.

— პირიქით, განწირული მხეცი უფრო სახიფათოა.

— როგორ მოვიქცეთ?

— ალყა ბრძოლით გავარღვიოთ.

— სახლში ქალები და ბავშვები, დაიღუპებიან.

კამათში ათი წუთი შეუძინევლად გავიდა.

ჯოჯონეთურმა სროლამ იქაურობა გააყრუა. შაშხანის ტყვიები წივილით ფლეთდა სახლის სახურავსა და კედლებს. სროლის გუგუნს ოთახში გამომწყვდეული ქალებისა და ბავშვების შემადრწუნებელი კივილი შეუერთდა.

პირველი ბათქის შემდეგ სროლა შეწყდა. ეტყობოდა, რომ ალყა მტკიცედ იყო შეკრული.

— მელიტონავ, — ისევ გაისმა ნესტორის ხმა, — მშვიდობიანად გამოგყევი, თორემ სახლს ცეცხლს წავუკიდებთ.

ხუთი წუთის შემდეგ ქორიძე და მგალობლიშვილი ნესტორასთან
მა წაიყვანა.

ისინი რკინის გისოსებიან, ნესტიან და ბნელ სარდაფში ჩააგდეს, სა-
რდაფში არც სკამი იყო, არც ტახტი.

მეოთხე დღეს გვარდიელებმა, მილიციელებმა და მოხალისე მენშე-
ვიკებმა ჩოხატაურში ოცდაათამდე ბოლშევიკი დააპატიმრეს. ვინც გაქ-
ცევა მოასწრო, ტყვეს შეეფარა.

მგალობლიშვილი და ქორიძე არავის დაუკითხავს, ხელზე ბორკილე-
ბი დაადეს და მესამე დღეს, განთიადისას ოზურგეთის გზას გაუყენეს.
ამით თავიდან მოიშორეს ყველაზე სახიფათო მოწინააღმდეგე.

ნაგომრის ველზე მარტის გამჭოლავი ქარი ჰქროდა. ნესტიანი სუსხი
ძვლებამდე ატანდა. ზამთრისაგან გამძარცვული დაბლობი გარემოს სევდას
მატებდა. შორს, გურიის თოვლიანი მთები მოჩანდა.

რაზმი მდუმარედ მიდიოდა. ყველა თავის ფიქრს მისცემოდა.

„რას გვიბრუნებენ? მათი დღეები დათვლილია, საცაა ქარიშხალი წა-
ლეკავს ყველაფერს, ნუთუ აღსასრულის წინ ეცდებიან სისხლიანი კვალი
დატოვონ?“ ფიქრობდა მელიტონი.

ნასაკირალის აღმართს შეუდგნენ.

მდუმარე ტყე შეათვალიერა. ხუთი შეიარაღებული კაცი ცხვრებივით
გაფანტავდა რაზმს. ივლიანემ წინასწარ თუ გაიგო, იქნებ დაიხსნან.

შუა აღმართს მიაღწიეს, მაგრამ მხსნელი არსაით ჩანდა. ზოგჯერ
გნიასით დამფრთხალი შაშვი თუ მიატოვებდა საკენკს.

მყუდროება მელიტონმა დაარღვია.

— ჩვენი ურთიერთობიდან კარგი არაფერი გაგონდება, ნესტორავ?
— გადაულაპარაკა ორიოდ ნაბიჯით დაწინაურებულ ნესტორს.

— მელიტონ, მარტო არ ვართ, ენა დაიმოკლე, — გააფრთხილა ნეს-
ტორმა.

— ამბობენ, წითლები ლიხზე გადმოვიდნენო.

— მაგით შენ რა შეღავათი გაქვს?

— ახლოს არიან-მეთქი, სხვა არაფერი.

აღმართი აათავეს, მთელი სუფსის დაბლობი და ზღვისპირეთი თვა-
ლწინ გადაეშალათ.

დუმილი ისევ მელიტონმა დაარღვია.

— რომ გავიქცე, მართლა მესვრი, ბიჭო?

— ნაბრძანები მაქვს, გესროლო.

— ხომ შეიძლება გულდაგულ არ დამიმინო და ამაცდინო?

— მე კარგად ვისვრი.

— მერე დედაჩემს რას ეტყვი?

— თავი დამანებე, მელიტონ. მე პატარა კაცი ვარ, ბრძანებას ვასრულებ.

— ხომ იცი, ჩვენები შორს არ არიან, პასუხს მოგთხოვენ.

— დარწმუნებული ვარ, წითლები ოზურგეთში არ დაგვხვდებიან. იქაურ გვარდიელებს ჩაგაბარებ, შემდეგ შენ იცი და იმათ.

— მეზობელმა თუ არ დამინდე, სხვა რა ხერხს დამაყრის.

— ჩვენ ახლა მტრები ვართ და არა მეზობლები.

— შენი წილი სიკეთე აღაზ გინდა შემატო ამ ცოდვილ ქვეყანას?

— მელიტონავ, ნუ გადამრევ. — ნესტორმა ცხენს ქუსლები ამოჰკრა და რაზმს თავში ჩაუდგა.

* * *

ოზურგეთის ციხეში სამოცამდე პატიმარი იყო, სულ პოლიტიკურები. ციხეს ორი ტყვიამფრქვევით გვარდიელთა ოცეული იცავდა.

— ცუდ ღზოს ჩავარდნილხარ, მეგობარო, — მაზრის კომიტეტის წევრი გამოელაპარაკა მელიტონს, — ეს წყეულები ძველ და ახალ ანგარიშებს ერთად გვისწორებენ. სამხედრო ტრიბუნალი შუალამით იკრიბება, სასამართლოზე ორი-სამი პატიმარი გაჰყავთ, „მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, აჯანყებაში მონაწილეობისათვის, გვარდიელზე თავდასხმისათვის“, ან მსგავსი ფრაზებით ავსებენ ოქმს. განაჩენი — დახვრეტა, არც მეტი, არც ნაკლები. განაჩენის შემდეგ სიკვდილმისჯილი ცალკე საკანში გაჰყავთ. განთიადისას ვაშლნარში ან მოიდანახეს გადაღმა, მდინარე ნატანებთან ხვრუტენ. წუხელ მახარაძე და შევარდნაძე დახვრიტეს.

— სანამ დაელოდებით ასე გულხელდაკრეფილნი?

— ციხის დარაჯებს დავესხით თავს, მაგრამ ვერაფერს გავხდით, ოთხი კაცი შებრძოლების დროს დაიღუპა. ვერც გარედან გვეხმარებიან. მთელი ორგანიზაცია დაბნეულია.

რკინის ურდულები ახრჭიალდა. კარებში შეიარაღებული გვარდიელები გამოჩნდნენ. ლობიოს ნახარშით სავსე გამუხუთი ქვაბი და ყავარზე დაწყობილი, წვრილად დაჭრილი მჭადი კარებთან დადგეს.

— ჩხენკელმა გამოგზავნა თუ რამიშვილმა? — დაცინვით იკითხა ვილსამ.

— უკეთესს წითლები მოგიტანენ. — არ დაიბნა გვარდიელი.

— მოვლენ და დედასაც გიტირებენ.

— ზალაც არ ჩანან. — დარაჯმა გესლით ჩაიხითხითა და კარები ღრჭიალით გაიხურა.

ლობიოს ნახარშს არავინ გაჰკარებია.

შუალამით მგალობლიშვილი და ქორიძე გამოიძახეს.

— ასე ჩქარა? — ეტყობათ, ანგარიშს გიწევინ, — სიბნელეში თქვენი ვილაცამ.

მელიტონს ისე გაუძნელდა წამოდგომა, თითქოს მძიმე ტვირთი აწვა მხრებზე. მუხლებმაც უმტყუნა, ცივმა ჟრუანტელმა მთელ სხეულში დაუარა. ნუთუ ყველაფერი დამთავრდა? ალბათ! იმდენ ბრალდებას წამოუყენებენ, გრძელი ოქმის შედგენა მოუწევთ.

— ბიჭებო, მაგრად დახვდით! — მოაფხიზლა რამდენიმე ხმამ, ვილაცამ მხარზე უსიტყვოდ მოხვია ხელი.

მეორე საჩუთლზე აიყვანეს. მკრთალად განათებულ გრძელ მაგიდას სამნი უსხდნენ. მკაცრი, გაბოროტებული თვალებით შეათვალიერეს შემოსულნი.

— დასხდით! — ბრძანა მოსამართლემ.

მძიმე ტაბურეტის სკამმა მიიპყრო მელიტონის ყურადღება. გაჭირვების დროს ტაბურეტიც იარაღია. საქმე თუ წახდა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებს. ზურგსუკან ორი გვარდიელი დგას. მაგალობლი-შვილს შეუმჩნევლად გააგებინებს თავის განზრახვას. თუ გვარდიელებს სკამის პირველივე დარტყმით წააქცევს, უმაღლეს იარაღს აყრიან, შემდეგ კი... იქნებ გზაც გაიკაფონ.

სულ ახლოს, ქუჩის გადაღმა შაშხანამ იგზიალა. მელიტონი ფიქრებიდან გამოერკვა. ფანჯრის იქით წყვდიადს ცეცხლი ეკიდებოდა. საღდაც ტყვიამფრქვევი აკაკანდა, შემდეგ ხელყუმბარამ დაიგრიალა. ფანჯრის მინებმა დაიწკრიალეს. სივრცე უამრავი ცხენების ფეხის თქარუნმა აავსო. გვარდიელმა მღელვარებისაგან კარი შემოგლიჯა.

— წითლები! — მთელი ხმით დაიყვირა. 'შიშისაგან' შემოიღვინა დამსგავსებოდა.

მელიტონის ზურგსუკან მდგარი გვარდიელები დერეფანში გაიჭრნენ. ხელყუმბარების აფეთქებებისაგან შენობა ზანზარებდა.

* * *

დამით ქალაქში ცხენოსანთა ორი ასეული შემოიჭრა. განთიადზე მთელი ბატალიონი შემოვიდა.

მელიტონმა ბატალიონის მეთაური მოიკითხა.

ორდინარეცმა ციხის უფროსის კაბინეტზე მიუთითა.

— ეს წუთია ჩაიძინა, ნაბრძანები მაქვს ერთი საათის შემდეგ გავადვიდო.

მელიტონი ეზოში გამოვიდა. ალაყაფთან წითელარმიელები იდგნენ, მათ ბუშლატები და გრძელი შინელები ეცვათ. ეზო ტალახში ამოსვრილი ოთხთვალეებით იყო სავსე. დაღლილი ცხენები ზანტად ახრამუნებდნენ ტომრით თავზე აჭრულ შვრიას. ოთხთვალეებში ყუთები და ბარგი

უწყო, ბარგზე წითელარმიელები იწვნენ, შინელები წამოეხურათ და ღრმა ძილს მისცემოდნენ.

„განმათავისუფლებლეს ცოტა რომ დაეგვიანებიათ, ჩემი საქმე წასული იყო“. — თავისთვის ჩაილაპარაკა მელიტონმა. ალაყაფის კარებთან მდგარ წითელარმიელების ჯგუფს მიუახლოვდა და მიესალმა. უნდოდა ამ უცხო ხალხისათვის ზალაც განსაკუთრებული გაეკეთებინა, მაგრამ ახლა აღარაფერი შეეძლო.

ერთი საათის შემდეგ ციხიდან ბატალიონის მეთაური გამოვიდა. იგი ორმოც წელს იქნებოდა გადაცილებული, ახოვანი, ჩასკვნილი. ტყვეის ქუდი ეხურა და მოკლე ქურთუკი ეცვა. ნამძინარევე, დაქანცულ თვალებს მუშტით ისრესდა.

— მეგობარო, თქვენ გადამარჩინეთ, — მელიტონმა თავი ვერ შეიკავა და რუს ოფიცერს გადაეხვია.

ოფიცერს სახეზე ღიმილი გადაეფინა, აღელვებულ მელიტონს მხარზე ხელი მოუთათუნა.

— თქვენ პირველი არ ხართ.

ორდინარეცმა დოქით წყალი მოარბენინა. ოფიცერმა ქურთუკი გაიხადა და ქუდთან ერთად მელიტონს შინაურულად გაუწოდა. შემდეგ იქვე, შუა ეზოში ცივი წყლით ხელ-პირი დაიბანა.

— დიდი გზა გამოვიარეთ, ცარიცინიდან სულ ცხენით მოვდივართ, ზოგჯერ ხელყუმბარებიც დაგვჭირდა.

— ცხადია, დაიღლებოდით. — თანაგრძნობით უთხრა მელიტონმა.

ეზოში პარტიული კომიტეტის წევრები და ყოფილი პოლიტიკურნი პატიმრები შეგროვდნენ.

— ქალაქს მიხედეთ. ჩვენ ცოტა ხნის შემდეგ დავიძრებით — გამოელაპარაკა ბატალიონის მეთაური შეკრებილთ.

მელიტონმა ნახევარი დღით ოცეული სთხოვა.

— ჩოხატაურამდე ორი საათის სავალია.

— არ შემიძლია, ერთ ჯარისკაცსაც ვერ მოგცემთ. ნაბრძანები მაქვს. შუადღისას პოლკს ქობულეთში შევეუქრთდე, ბათუმიდან თურქები და მენშევიკები უნდა გავრეკოთ.

კომიტეტმა გადაწყვიტა იმავე დღეს სახალხო მილიცია ჩამოეყალიბებია და მოხალისეთა რაზმი შეექმნა. მეორე დღეს ჩოხატაურზე უნდა გაელაშქრათ. მაღლობლიშვილი ზაზამს დაელოდა. მელიტონმა ციხის საჯინიბოდან ცხენი გამოიყვანა, შეკაზმა და ჩოხატაურის გზას დაადგა.

იგი ჯერ კიდევ წინა ღამის განცდებით იყო შეპყრობილი. განწირული არ ყოფილა, ყველაფერი ზღაპარივით დასრულდა. თვალწინ დედის გატანჯული სახე წარმოუდგა, საცოდავი, ალბათ, მუხლმოდრეკით ღმერთს ევედრება.

— აბა, ჩემო ლურჯავ, — ცხენს გავაზე ალექსით დაუთათუნა ხელი, — ფრთები შეისხი, მოხუცს ვარამი შევუმსუბუქოთ.

ნასაკირალის აღმართამდე მთელი სისწრაფით მიაჭენებდა აღმართში ცხენი ნებაზე მიუშვა. დაქანცული ლურჯა ღრმად ქმინავდა და ნესტოებიდან ორთქლის ნაკადს უშვებდა.

დაღმართი რომ ჩაათავა, ლურჯა მდინარის ცივ წყალს დაეწაფა.

ზურგსუკან ცხენის ფეხის ხმა მოესმა, მიიხედა. დაღმართზე ნესტორი ეშვებოდა. მელიტონს მაშინ მოაგონდა, რომ იარაღი არ ჰქონდა. ციხეში შაშხანები უბატრონოდ ეყარა, წამოედო, ვინ რას ეტყოდა. გათავისუფლების სიხარულმა ყველაფერი გადაავიწყა. ახლა რაღა ჰქნას?

— მელიტონავ, ციხიდან გამოიქეცი? — ნესტორს სახეზე ჯერ გაკვირვება გამოეხატა, შემდეგ ღიმილი გადაეფინა.

— საიდან მოდიხარ, ნესტორავ? — მელიტონმა მშვიდად შეუბრუნა კითხვა.

— ბაღდადში ცოლოურს ვიყავი, ზედმეტი გადავკარი.

— ალბათ, ჩემი შესანდობარიც დალიე?

— მართალი გითხრა, არ მეგონა ცოცხალს თუ გნახავდი. აქ საიდან გაჩნდი?

საუბრით გზას დაადგნენ.

— გამათავისუფლეს.

— ჩვენებმა?

— არა, ოზურგეთში წითელი არმია შემოვიდა.

— აუ, რას ამბობ, კაცო, — ნესტორმა ცხენი გააჩერა და მელიტონს თვალებში ჩახედა. ამ დილით მითხრეს საღლაც ბომბების აფეთქება ისმოდაო, არ დავიჯერე. ვაი, ოჯახო.

— ოჯახს რა უშავს, ბიჭო.

— რავა რა უშავს, დავაქციე. თუ იცი, წითლებმა ჩოხატაურიც აიღეს?

— ალბათ, ნაშუადღევს ამოვლენ, — სცადა მოტყუებით დაებნია ნესტორი.

„ახლა რაღა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე?“ — თავისთავს ხმამაღლა ჰკითხა ნესტორმა.

— რა უნდა ჰქნა? სასჯელს მოიხდი და ოჯახს დაუბრუნდები.

— ბოლშევიკებს მოსვენებას არ ვაძლევდი, არ დამინდობენ, დამხვრეტენ.

— არა, ნესტორ, გამარჯვებული სულგრძელია. მოგიხჯიან, დაბრუნდები და ისევ კაცი დადგები.

— ციხეში ჯდომას სიკვდილი მირჩევნია. — ნესტორმა რევოლვერის ბოხჩა გახსნა.

მელიტონს ფეხი ეცვალა. გველი გველობას არ მოიშლისო, გაიფიქრა, ხუთიოდე ნაბიჯზე მყოფ მოწინააღმდეგეს თვალებში მიჰჩერდა.

— მელიტონავ, ძირს ჩამოდი! — ნესტორმა ნაგანი იშიშვლა.

— რამ გადაგრია, ბიჭო?

— ვაჭრობის დრო არ არის, ჩქარა ჩამოდი, თორემ ისეთ ჭკუაზე ვარ, შეიძლება შემომაკვდე.

სიტყვა „შეიძლება“ მელიტონი დააბნია. მოკვლას რომ მიპირებდეს, პირდაპირ მესროდა. ალბათ, ცხენი სჭირდება? ჯანდაბას ცხენი.

— ჩქარა, მელიტონავ! — ისტერიულად დაიყვირა ნესტორმა. მას ისეთივე გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც იმ გვარდიელს, მოსამართლის კარები რომ შემოგლიჯა.

მელიტონი ჩამოქვეითდა.

— ჩოხატაურში ასვლა უნდა დავასწორო. ცოლ-შვილის ნახვა თუ ვერ მოვახერხებ, რაც მოხდა, უთხარი. თუ გაუჭირდეთ, ჩემს ოჯახს დაეხმარე. მე მხეცი არ ვარ, ადამიანი ვარ. ოჯახი დამიქციეთ, მაგრამ ხომ ხედავ, სასიკვდილოდ მაინც ვერ გაგიმეტე.

მელიტონის ცხენს ტყვია შუბლში დაახალა. ცხენი ციბრუტივით დატრიალდა, ჯერ უკანა ფეხებმა უმტყუნეს, შემდეგ მუხლებში ჩაიკეცა და შუა შარაზე გაიშლათა. მელიტონმა მოსართავეები გაუხსნა, ცხენმა წამოდგომა სცადა, მაგრამ ძალა არ ეყო, ისევ დავარდა, ფეხები უღონოდ გაასავსავა, ადამიანის მსგავსად ერთი ღრმად ამოიხვნეშა და ღიად დარჩენილი თვალებიდან ცრემლები დასდინდა.

* * *

ნესტორი და ჩოხატაურის ჩამდენიმე ცნობილი მენშევიკი უკვალოდ გაჰქრნენ. ხმა დაირხა, თურქეთის საზღვარზე გადავიდნენო, ისიც თქვეს, რუსეთში გადაიხვეწნენო. მათი კვალი დაბეჯითებით არავის უძებნია.

ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ ჩოხატაურის სოფლებში ისევ გაისმა თოფის სროლა, გაქცეულები ერთად დაბრუნდნენ და გამარჯვებულთ ტყვია დაუშინეს.

მელიტონი მაშინ ოზურგეთის სამაზრო კომიტეტში პარტიული განყოფილების გამგედ მუშაობდა. ჩოხატაურიდან როგორც კი დარეკეს, მოგვეშველეთო, ცხენი შეკაზმა, იარაღი აისხა და სანამ რაზმი მოემზადებოდა, ჩოხატაურისაკენ გაქუსლა.

ხიდისთავთან ქალების გულშემოზარავი მოთქმა და გნიასი შემოესმა. ცხენი ააჩქარა. თევდორე სიხარულიძის ეზოში ხალხი შენიშნა.

„დათო?“ — უნებურად წამოიძახა, ძარღვებში ყინულივით ცივი რაღაც ჩაედგარა, მკერდის ჯიშში უცნაური ტკივილი იგრძნო, თითქოს

ტლანქი ხელი გულს უწურავდა. „არმიდან შვებულებით იყო ჩამოსული, ალბათ იმ არამზადების მსხვერპლი გახდა“. — ცხენი ჭიშკართან მიატრიალა, თვითონ ეზოში შეიჭრა.

— ხედავ, მელიტონ, ნესტორამ ოჯახი დამიქცია, ბაღანას შუკაში წააწყდა და ტყვია დაახალა, — ქვითინით აღმოხდა თევდორეს.

დათო ხალიჩაგადაფარებულ ფიცრულ ტახტზე ესვენა. ფერმიხდილ სახეზე მწვავე ტკივილის კვალი შერჩენოდა. სახედაკაწრული დედა შვილს მკერდზე გადამხოვოდა, თითქოს ეშინოდა არსად გაქცეოდა.

ჰგოდებდნენ ღები, დეიდები, მეზობლები. დიდი მწუხარება ფიცრულ სახლში ველარ ეტეოდა, მთელს სოფელს ეფინებოდა.

— შაშხანები ჩამოგვართვით, უკვე აღარ გჭირდებათო, ხომ ხედავთ, დაგვჭირდა. მათ ხელყუმბარებიც აქვთ, ჩვენ ფილთა თოფებით ველარ ვიცავთ თავს. — უსაყვედურეს მეზობლებმა ეზოში გამოსულ მელიტონს.

რაზმი ჩქარა ამოვიდა და იარაღიც ამოიტანა.

შფოთის მოთავეებმა სოფლები მიატოვეს და ტყეში გაიქცნენ, მაგრამ ხალხმა არც ტყეში გააჩერა ისინი. მელიტონმა თხუთმეტი კაცი შეარჩია და ნაბელლავს ზემოთ, ბახმაროს გზაზე ჩაუსაფრდა. ივარაუდეს — აჭარაზე გავლით თუჩქეთში გაქცევა თუ გადაწყვიტეს, ბახმაროდან, ან გომის მთიდან ეცდებიანო. მეორე რაზმი გომის მთაზე ჩაასაფრეს.

ორი დღის ლოდინს ამაოდ არ ჩაუვლია. განთიადზე ჩხაკაურასა და ნაბელლავს შორის, ხიდთან მოხდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

მზის ამოსვლამდე ბრძოლა დამთავრდა. ხიდთან რვა კაცი ნახეს დახოცილი. ერთი მდინარეს გაეტაცნა და ნაბელლავამდე ჩაეტანა. წყალწაღებულს ტყვია მხარში მოხვედროდა. ჭრილობა არ იყო სასიკვდილო, მაგრამ მისთვის მთის მდინარეს მოეღო ბოლო.

— ეს ნესტორაა? — იყვირა ვილცამ.

მელიტონი ახლოდან დააკვირდა გვამის გაუპარსავ, შეშუპებულ სახეს.

„იქნებ ჩემი ტყვიით დაიღუპა. ხიდზე შემოსულს პირველმა მე ვესროლე“, — ტანში ცივად გასცრა. გვამს თვალი მოარიდა და იჭაურობას გასცილდა.

ბ ჭ დ რ ბ

შავ ზღვას უხდება ლომის ფაფარი,
კიპარისს ყელზე ეხვევა სურო.
არც სამოთხეა და არც ზღაპარი,
მაინც რაც გასუზრდეს ინატრე სულო...

მწვანე კონცხია თუ მწვანე გემი.
ზღვა ნელა ღელავს, როგორც ჯეჯილი,
შორს ციხისძირი კიაფობს ჩემი,
ბრძოლებში კალთა ჩამოგლეჯილი.

წყარო კი არა მოქუხს მიწონი.
ქარი კი არა ლოცვა თამარის.
ზღვა და ზღაპრული სანაპირონი —
მამათა ჩვენთა ნაამაგარი.

ზ ლ ვ ბ

ვის რას ემდური,
ვის რას ემდური,
რად ვერ ეტევი საკუთარ ტანში.
წამოვარდები გაშმაგებულ
და სანაპიროს ტალღებით დაშლი.
ვერ ამოვხსენი შენი ანცობის,
შენი მიზნები ოქრო-ცურვილი,
მე ზომ ვარ შენი ძველი ნაცნობი, —

ზღვით, გამანდე ყველა სურვილი.
შენთვის არც დღეა
და არც ღამეა,
ყოველთვის დღევ,
ყოველთვის ბრახობ.
ხედავ რა ცაა,
რა მოკამკამე,
გავსილი მთვარე შენს სულში ნაზობს.
ვინ რა წაგართვა,
ვის რა ემართა,
სად გაგონილა ამდენი დავა.
მიუალერსე მიწას — ჩემს მამულს,
უთხარი: — შენი ერთგული და ვარ.

* * *

იყო პაპის პაპა...	ვინ საიდან მოდის,
იმის პაპის პაპა...	ვინ საითკენ მიდის,
შერე პაპა ჩემი,	ასე გეგონება —
შერე მამაჩემი,	ყველას პაპის პაპა,
შერე ჩემი შვილი,	ყველას დედის დედა,
შერე იმის შვილი.	ერთ სახლიდან მოდის,
ჰოდა, რომ დაფიქრდე,	მერე ნაწილდება.
კარგად დაუკვირდე,	

* * *

მირზა გელოვანს

ვიცი დაიწვა	გულშემზარავი,
ბევრი კარავი,	ომში სიკვდილი
ბევრი სასახლე	იყო პოეტის.
ეშხი მოედნის,	მაინც ყველაზე
მაინც ყველაზე	იყო დამწველი,

გაღარჩენილი
სიტყვის ნუგეში,
ლექსი
ბრძოლების

ქარში ნაწერად
და გამომწვარი
გნირის უბეშოდ



თექვსმეტი წელი

შენ ახლა დგახარ აპრილის კართან
და ველარ თოკავ, მოვარდნილ მიზნებს.
შენ ახლა ალბათ ყველაფერს ჰკარგავ,
ან იქნებ ახლა ყველაფერს იძენ.

* * *

მთები წაიკრავს ნისლის ყაბალახს,
მერე წამოვა შხაპუნა წვიმა.
გაწუწავს ვარდებს, თებს და ბალახს
და მაგნოლიას, მუდამ რომ სცივა.

წამოწლის ქარი ტირიფებს ნახებს,
შეარხევს ჭადრებს ბაღში ძლიერად.
წვიმასაც თავის აქვს სილამაზე,
მზეს კიდევ თავის შნო და იერი.



მე ისევ მოვალ

ჰვანა...

თოფიას ლამაზი კალო,
ჩვილნუკიანი შველი ჭალაში.
ნუ დაღონდები პატარა ქალო,
მე ისევ მალე მოვალ ჰვანაში.
ისევ ვეწვევი თქვენს სამოსახლოს,
სადაც ეს გული ვერ გავანელე.
ჯერ ფაცხას დავდგამ სადმე თქვენს ახლო,
მერე კი შენს თავს მოვთხოვ ჰვანელებს.
და თუ ძველებურ არ დავიწყნიათ
ხანჯლების ლესვა და კენწლაობა, —
ჩემშიც მღელვარე მთების სისხლია
და მომდგამს მათი ნათესაობა.
მოვიგდებ ნაბიჯად ღამეს თქვენებურს
და შემოვიხვევ ნისლს ყაბალახად.
ჩანჩქერს ჭიუნში გამოჰყენებულს,
როგორც გაშვებულ ცხენს საბალახოდ —
შევაფრინდები და მერე მორჩა,
ეძებონ მთებში ჩემი გზა-კვალი.
და თუ მიხსენონ სახელი გონჯად,
ან თუ დასწყევლონ შენი აკვანი —
მე სიყვარულის აღმურში გაგხვევ
და ცისარტყელას ვაქცევ ჰამაკად.

ოდონდ მწყალობდეს ეგ ტურფა სახე
და შენი უბის თეთრი ბარაქა...
კლდიდან ბროლივით იმსხვრევა წყარო,
ნუკრებს მოუხმობს შველი ჭალაში.
ნუ გათხოვდები პატარა ქალო,
მე ისევ მალე მოვალ ჭვანაში.

ზარიონ ხაჩაპური

„გიორგი ლონიძე“ საოქანო

I

მოულოდნელად გადაწყდა ექვსთვიანი შემოქმედებითი მივლინება გემზე, მეზღვაურებთან გამეტარებინა. მეცხოვრა და მემუშავა მათთან ერთად. გავცნობოდი ზღვაოსანთა ძნელ, ხიფათით აღსავსე საქმიანობას, რათა შეძლებისდაგვარად, შემდეგ მკითხველისათვის აღმეწერა ამ რომანტიკული და შფოთიანი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები.

როგორ შევასრულებ ჩემს ლიტერატურულ ვალდებულებებს, ამაზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ მთავარი ამბავი მოხდა, — მე გამამწესეს ახალ სატვირთო ხომალდზე ეკიპაჟის სრულუფლებიან წევრად, კიდევ უფრო მეტი — მე კაპიტნის პირველი თანამემწეობა დამეკისრა.

გემს რომ გავხედე და ოდნავ მის შინამეურნეობას გავეცანი, მართალი გითხრათ, შევშინდი. ჩემი მოვალეობის შესრულება მძიმე და ზოგჯერ საჭმელ მომეჩვენა. მით უმეტეს, გემი ახალი იყო და ყველაფერი მხოლოდ ახლა იწყებოდა.

მაგრამ თითქოს გულს მიმხნევებდა ის, რომ ხომალდს გიორგი ლეონიძის სახელი ჰქონდა მიკუთვნებული. მეგონა, პოეტის დიპაზონი და მისი კაცურ-კაცობის სილალე, მისი მეგობრული ხასიათის მიმზიდველობა რაღაც ზეგარდმო ძალით მის გემზეც გამეფდებოდა.

ახლა კი პირველი დიდი რეისის ამბავი.

ახლა, როცა გამოვლილია შავი და ხმელთაშუა ზღვები, ატლანტის, ინდოეთის და წყნარი ოკეანეები, კანარის კუნძულებზე და სინგაპურში შევლით, როცა ტვირთი უკვე დავცალეთ იაპონიის ოთხ ქალაქში და ჩვენს ვლადივოსტოკს მოვადექით, რათა აქედან მორიგი კურსი ავსტრალიისაკენ ავიღოთ, მე მაგონდება მხურვალე, დაუფიწყარო გამოცილება მშობლიურ ბათუმში.

ახალი ხომალდის ეკიპაჟს, ხომალდისა, რომელიც ოცდაცხრა ათასი ტონა ტვირთით, შორეულ რეისში წასასვლელად გამზადებული, რეიდზე იდგა ახალ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო დავალებათა შესასრულებლად, უკანასკნელ მითითებებს აძლევდნენ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი ანატოლი კაჭარავა და პარტიული კომიტეტის მდივანი ბიძინა მახარაძე.

დადგა გამოთხოვების მღელვარე წუთები.

ჩოგორც მშობლიურ სახლში, ისე მასპინძლობდნენ სტუმრებს გიორგი ლეონიძის ქალიშვილები და შვილიშვილები. გემზე მხიარულად ტრიალებდა გოგლას მშობლიური კუთხის შვილი, ჩვენი სახელოვანი პოეტი იოსებ ნონეშვილი, რომელიც საგანგებოდ ეწვია მამის „გიორგი ლეონიძეს“, რათა მისთვის ქართველი მწერლების სურვილები, საჩუქრები და საკუთარი სიყვარული გადაეცა.

მართალია, გემის ნამდვილი გასვლა მსოფლიო ოკეანეში ახლა იწყებოდა, მაგრამ მას უკვე გამოვლილი ჰქონდა რამდენიმე ასეული საზღვაო მილი. იგი პოლონელმა მეგობრებმა ააგეს ქალაქ შეცინში.

მშრალი ტვირთის ეს ლამაზი თანამედროვე ხომალდი ერთ-ერთი პირველთაგანია საბჭოთა სავაჭრო ფლოტში, რომლის მართვა მთლიანად ავტომატიზებულია. ეს კი, რა თქმა უნდა, ეკიპაჟის ყოველი წევრისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

გემის პრესტიჟს ისიც ამაღლებს, რომ მისი გამოცდის შედეგებით დაინტერესებულია არა მარტო საბჭოთა საზღვაო ფლოტის ორგანოები, არამედ მსოფლიოს მთელი რიგი პანელმწიფოების სანაოსნო საზოგადოებები.

II

დეკემბრის იმ ცივ საღამოს დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი და მძიმე რეისი. სალოცმანო კატერმა ნაპირისაკენ წაიყვანა უკანასკნელი გამცილებლები. გემმა ტრაპი მადლა ამოსწია და წელზე მიიკრა.

სამართავ პულტთან კაპიტანი ზუზაბ პატარაძე ტრიალებდა და მოკლე განკარგულებებს იძლეოდა.

დაბლა, სადღაც სიღრმეში, მძლავრი ძრავები გაბმით ძიგძიგებდნენ, ბრუნავდა სიჩქარის დიდფრთებიანი ბურღი და კიჩოს ქვეშ ზღვას აღულებდა.

გემმა დინჯად და მძიმედ მიაბრუნა ცხვირი დასავლეთისაკენ, დაადგა ზუსტ კურსს და სვლას უმატა.

ხომალდი უმაღლე ავტომატურ მართვაზე გადაიყვანეს. მორიგე მატროსი მხოლოდ ფორმალურად იდგა საჭესთან, თორემ ხელის მოკიდებაც

აღაფერს ჭირდებოდა, ავტომატი ჭკვიანურად და ზუსტად ასრულებდა მიცემულ დავალებას, — გემი განსაზღვრული კურსით და განსაზღვრული სიჩქარით მიდიოდა.

კაპიტანი ჩემთან გამოვიდა ერდოზე და ერთად დავუწყეთ ცქერა ლამპიონებით აციმციმებულ ბათუმს, რომელიც ჩაბინდულ უბეში თანდათან ღრმად იძირებოდა და პატაჰავდებოდა.

„გიორგი ლეონიძე“ ძალუმად და ლაღად სუნთქავდა. მისი ფოლადის ფერდები ჭიუტად მთარევედა ღამის ზღვას და დაფრქვეული ზებრთები თუთრი შხუილით ირგვლივ იღვრებოდა.

— იაპონიამდე ორმოცდაათამდე დღე დაგვჭირდება, — თქვა ზურაბმა. — ეს სუეცის გამო თორემ....

— კარგი, იაპონია. მერე? — ცნობისმოყვარეობა ვერ დავმალე მე.

— შემდეგ ალბათ უფრო შორს... ვნახოთ.

— შინ? — შიშით ვკითხე კაპიტანს.

სიბნელეში კარგად ვიგრძენი რა ეშმაკურად ჩაიღიმა კაპიტანმა, მაგრამ რა ვქნა, შეშფოთების გამომყდავებისა არ მრცხენია. ჩემი მეზღვაურული ცხოვრების დრო განსაზღვრულია. ჩემი შემოქმედებითი მივლინება მასში მთავრდება; თუმცა გულახდით რომ ვთქვა, მასი ძალიან შორსაა. ნუ თუ გავძლებ ამდენხანს გემზე, ზღვებზე, ოკეანეებში, შტორმებში, ახლობელთაგან შორს?

— შინაი ყველა ჩვენთაგანს მონატრება, ამას თქმა არ უნდა, მაგრამ რას იზამ, კაცი ყველაფერს ეჩვევა, — მშვიდად განმიმარტა პატარაძემ.

ჩემი კაპიტანი, უბრალოდ უნდა გითხრათ, კაოგი ბიჭია. ჩვენებურია. ბათუმელი. აქ დაამთავრა საზღვაოსნო სასწავლებელი. დაამთავრა წარმატებით. ძალიან უყვარდათ ზურაბი აღმზრდელ-პედაგოგებს. ყაიჩათიანი, მეოცნებე, წესიერი და შრომისმოყვარე, მეცადინე ყმაწვილი იყო.

ნაპირი უკვე აღარ ჩანდა. ქარმაც იმატა.

დაბლა, კაპიტნის კაიუტაში ჩავედი.

— ვერა გვაქვს კარგი ნავმისადგომები, — შემომჩივლა კაპიტანმა. — ფოთში მხოლოდ ნახევარი ჩავტვირთეთ. გემი დაჯდა, დანარჩენი ტვირთის ბარეებით ბათუმში ჩამოზიდვა და აქ დატვირთვა გავიწილა? ხარჯი ხარჯია, მაგრამ წვალება, დრო?

— იაპონიაში რამდენიმე სახის მადნეული მიგვაქვს: ძირითადია ქრომი და მარგანეცი. — თანდათან შეეყავდი საქმეში ზურაბს. — ეს გემისთვის კარგი ტვირთია, მაგრამ ისე მძიმეა, რომ ცხრავე ტრიუმი როდი გავივსია. სამი მათგანი სულ ცარიელია.

გემს ისე განიცდის კაპიტანი, როგორც საკუთარ სხეულს. ღელვის დროს ტრიუმთა სიცარიელე არ ვარგა. ანდა, საერთოდ, როგორ მოიქ-

ცევა ახალი ხომალდი ამ დიდ რეისში? როგორ იმუშავენ ავტომატი, და დეფექტი აღმოაჩნდება, როგორ გაართმევს თავს ეკიპაჟი დაკისრებულ რთულ ამოცანას. როგორ აითვისებენ ტექნიკურ სიახლეებს, რა შენიშვნები და წინადადებები დაგვიგროვდება, რას იტყვის ვლადივოსტოკში სახელმწიფო რეგისტრი, როცა ოცდაათათასამდე გავლილი მილის შემდეგ ჩვენს გემს გასინჯავს?

მიგვაკუთვნებს თუ არა „ა“ კლასის პირველი კატეგორიის ნიშანს?

გემს ერთი წლით თან ახლავს ორი პოლონელი სპეციალისტი, ე. წ. საგარანტიო მექანიკოსი და ინჟინერი. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მათი აქ ყოფნა. კარგად უნდა ავითვისოთ ავტომატური მართვა, კარგად მოვუაროთ ჩვენს ლამაზ გოლიათს, ვეცადოთ რეგისტრის მაღალი შეფასება დავიმსახუროთ.

ასეთი კითხვები, ასეთ ამოცანებზე ფიქრი არ ასვენებს კაპიტანს. ეს გასაგებიცაა.

უკვე გვიანი ღამე იყო, ზურაბი ვერ მშვიდდებოდა, ისევ იქ, ზემოთ მიუწევდა გული, სადაც მართვის პულტია, სადაც უამრავ ანთებულ ციფერბლატებზე გემის სიცოცხლის ყველა მომენტი ისახება, სადაც ესოდენი სიზუსტით გრძნობ და სინჯავ ხომალდის ყოველ მაჯისცემას, ლოკატორებში ხელისგულივით ხედავ ჩვეულებრივი თვალისათვის უხილავ გარესივრცეს, ხედავ ჯერ ისევ ხილვის არეში მოქცეულ მშობლიური მიწის დედეებით და ხევებით დასერილ ნაპირებს, რაც თითქოს მთვარის ზედაპირსაც ემსგავსება.

III

„გიორგი ლეონიძე“ ბოსფორში შედიოდა.

იყო საღამო, ბინდბუნდში სტამბოლის დაკლაკნილნაპირებიანი გარეუბნები ორივე მხრიდან ლამპიონების ციმციმით გვიახლოვდებოდა.

მე კარგად ვიცნობდი გოგლას, ამ წუთებში იგი თითქოს ჩვენს გვერდით იდგა, არა, ის თვითონ იყო ეს დიდი, ჭკვიანი და ნათელი ორგანიზმი, რომელსაც ასე პოეტურად, ზეიმურად გადავყავდით ურთი ზღვიდან მეორეში.

გაღმა-გამოღმა ნაპირებს სინათლეები ყვავილთა კონებივით მაღლა აწეულ ხელებში ეჭირათ და ისე გვესალმებოდნენ.

უყვარდა პოეტს მოზეიმე ხალხის დახვედრა, უყვარდა ადამიანებთან მისვლა, სიახლოვე. იცოდა უმაღლესი თამალობა.

მაგრამ ჩვენს ირგვლივ ამჯერად ყველაფერი თითქოს გაშეშებული, ცივი და უტყვი იყო.

ჩემი ფანტაზიისათვის უდიდესი რამ ხდებოდა, ჩემთვის ეს ნაწარმი
ნიშნავდა, — „გიორგი ლეონიძე“ ბოსფორში შედიოდა.

შედიოდა ამაყი და გამაჯვებული იერით, თან მიჰქონდა არა მარ-
ტო ძვირფასი ტვირთი, — სამშობლოს მზისა და წიადის მადლი, არამედ
მის შუბლზე თითქოს ქართული სიტყვის ჩრაღდანიც ენთო.

როცა უცხოეთის სრუტეებში, ბოლაზებსა და ყურეებში შედიხარ,
გემაყება შენი გემი პოეტის სახელს რომ ატარებს, და რანაირი მადლიე-
რების შეგნებით იმსჯელები იმათ მიმართ, ვისი ნებითაც ამგვარი ნათ-
ლობა მოხდა.

დასტურ სიმბოლურია, — ყოფილ მილიტარისტულ და მტრულ სა-
ხელმწიფოსაკენ, ვისთანაც საბჭოთა სამშობლომ ახლა დროით ნაკარნა-
ხევი სამშვიდობო კეთილმეზობლურა და ურთიერთსასარგებლო საქმიან-
ი ვითარება დაამყარა, მშვიდობის ტვირთი მიდის პოეზიის სახელთ.

ეს სახელი კი ქართველი პოეტისაა!

სრუტეში შესვლა დაიწყო, ეს პროცესი ყველაზე მღელვარე, დაძა-
ბული და საპასუხისმგებლოა ნაოსნობაში. ამ წუთებში მხოლოდ კაპიტან-
ია მდგომარეობის ბატონ-პატრონი. იგი პირადად დგება მართვის პულტ-
თან, ან იქვე ილუმინატორში დურბინდით გასცქერის, ხანაც გვერდით
ხიდურზე გადის, თვალთ ზომავს გემსაც, გარემოსაც, ისევ შიგ ბრუნ-
დება, ახალ განკარგულებას იძლევა... ერთ-ორჯერ მიკროფონში ინგ-
ლისურად ჩასძახა: — საბჭოთა გემი „გიორგი ლეონიძე“ ვარ!

— ხმას არ იღებენ, ლოცმანები არ სჩანან... — ჩაილაპარაკა თავის-
თვის ზურაბმა და იქვე რადიოტელეფონიდან გადმოღვრილ მრავალ ენა-
ზე გადმოქუხარე სიტყვათა ნაკადს მოუსმინა.

— ავიყვანოთ ლოცმანი? — ჰკითხა გვერდით მდგომ თავის ღუბლი-
ორს, კაპიტან რომან ჯიბლაძეს, რომელიც გემს გასაცნობად და ასათვი-
სებლად გამოჰყვა რეისში.

მაგრამ პასუხს აღარ დალოდებია ზურაბი და თვითონვე დაუმატა:

— სულ ზეპირად ვიცი აქაურობა, მაგრამ ჯანაბას, იყოს ლოცმანი,
ამჯერად ასე აჯობებს. ალო, სტამბოლო, ლოცმანო!..

— რუსულო გემო, რუსულო გემო! გხედავ, მოვდივარ... — გაისმა
პასუხი და ჩვენ დავინახეთ მარჯვენა მხრიდან ნელი სვლით მიმავალ ჩვენს
გემს როგორ უახლოვდებოდა სალოცმანო კატერი, რომლის ერდოზე ლა-
ბადამოსხმული კაცი იდგა, ხელში ტრანზისტორული რადიოტელეფონი
ეჭირა.

ერთ-ერთმა შტურმანმა ტრაპი ჩაუშვა და ლოცმანი გემზე ამოიყვანა.
იგი არც მისალმებია ჩვენს მეზღვაურს, გააღირა კისერი და პირდაპირ მა-
ღლა ხიდურზე ამოვიდა. მას მართვის პულტის მანქანობად დაუთმენ ად-

გილი, შტურმანებს მიმართულებას რუსულად უკარნახებდა. ძალიან ნელა მივიწვედით წინ.

ლამის სტამბოლმა თანდათან ფართოდ გაშალა თავისი სინათლეებით მოწინააღმდეგე კალთები.

წინ, ჰორიზონტზე თეთრ ცისარტყელასავით გამოიკვეთა ბოსფორზე ახალგახსნილი, მსოფლიოს უგრძესი ხიდი, რომელმაც ამ უძველესი ქალაქის ევროპული და აზიური ნაწილები პირველად შეუერთა ერთმანეთს.

— ჯეორჯი ლეონიდზე?... ჯეორჯი ლეონიდზე, ა?... — თქვა უცუპე ლოცმანმა.

— პოეტი, ქართველი საბჭოთა პოეტი, — აუხსნა კაპიტანმა.

— ოო, გურჯი? გურჯისტანი? ხოლოშო, ოჩენ, ხოლოშო! — ჩაიხვიჩვინა და გაჩუმდა ლოცმანი.

ამ დროს უკვე ხიდის ქვეშ გავდიოდით. მალე კატერი გამოითხოვა ლოცმანმა, გამოგვემშვიდობა და წავიდა.

ნაშუადღევს კი „გიორგი ლეონიძე“ დაზღანელში მარტოდმარტო გადიოდა.

IV

გიბრალტარი ისე ფართოა, რომ აქ უკვე ლოცმანები აღარავის ჭირდება. მაგრამ ინგლისის საზღვაო სამსახურის აგენტები, რომლებიც ძველ ფორტსა და მცირე მხელრიონთან ურთოდ ჯერ კიდევ ებლაუჭებიან ვიწრო კლდოვან უბანს ესპანურ ნაპირზე, აქ გამავალი გემებისაგან მაინც მოითხოვენ ერთგვარ თავაზიანობის ინფორმაციას.

სარუტეს აქაც ღამით მივაღებთ. გემსა და ნაპირს შორის საუბარი შეუქსიგნალებით გაიმართა. საჭირო პასუხი როგორც კი მიიღო, ინგლისელმა გაღმა ნაპირზე სასიგნალო შუქი გამორთო.

ოკეანე გაჯავრებული დაგვიხვდა.

მძლავრ ციკლონს გადაველო და დღევა ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო. ძლიერი მოკრივე რომ მოწინააღმდეგეს ზუსტ გარტყმებს უთავაზებს და ტორტმანს დააწყებინებს, ასე შეგვიბარბაცა ოკეანემ ეს ათეულ ათასობით ტონიანი ლითონის გიგანტი.

მაგრამ გემში ცხოვრება თავისი ჩვეული მშვიდი რიტმით მიდიოდა.

დილაადრიაანად გამოცდილი ძველი ბოცმანის მოედინ ბერიძის უნარიანი წინამძღოლობით მატროსები სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ. ზოგი გემბანზე იყო, ზოგი რანგოუტებთან დაფაცურობდა, ზოგი სამანქანო განყოფილებაში ჩადიოდა ვახტზე, ზოგიც ბაგირ-თოკების მორგებებს ამარბებდა, ზოგი კი ჟანგშეპარებულ კუჩხებს ხეხავდა, რათა ლითონის სხეულის ახალგახსნილ იარაზე საღებავის მალამო დაედო.

კაპიტანი ზურაბ პატარაძე გამუდმებით ხიდურზე იყო და მამისეულ
ჩაფიქრებული ახალგაზრდა გემის ყოფაქცევას აკვირდებოდა. სოფლის
ლეღვაში, თანაც შტურმანებს ახალ-ახალ მითითებებს აძლევდა.

იმ შფოთსა და წრიალში, გამჩნევი, უმრავლესობა ხშირად მე შე-
მომცქეროდა. ეკიპაჟში მე ყველაზე ახალბედა მეზღვაური ვიყავი და,
ბუნებრივია, შიშობდნენ პირველი ღელვის ატანა ძალიან არ გაუჭირდესო.

მაგრამ გიორგი ლეონიძე ოკეანეშიც ჩემთვის კეთილი მასპინძელი
აღმოჩნდა: — თავს მშვენიერად ვგრძნობდი.

ისე ჭი ეს უხეირო ფურთუნი რამდენიმე დღეს არ მიწყნარდა. ძალი-
ან გრძელი, ზორბა ტალღები ნელა, მაგრამ ჯიუტი თავგამოდებით ცალი
გვერდიდან ასკდებოდნენ კორპუსს და გემის ნორმალური ცურვა შე-
ფერხდა.

ამიტომ კაპიტანმა ოდნავ გადაუხვია ძირითად კურსს და ახლა უკვე
ზვირთებს პირდაპირ ხერხემალზე გჭრიდით, რამაც ხომალდის კილის
წინ-უკან საშიში გადახრები რამდენადმე შეამცირა.

კანარის კუნძულებს ამგვარად კონტინენტის მხრიდან შევეპარეთ.
აფრიკასა და კუნძულებს შორის დიდებული სიმშვიდე სუფევდა. მეორე
დღეს ლამაზ ესპანურ ქალაქ ლას-პალმასს მივადექით.

V

სანტა-კრუსი და ლას-პალმასი ორი მნიშვნელოვანი ქალაქი და ნავ-
სადგურია ამ კუნძულებზე. პორტებში ხშირად პროდუქტისა და საწვავის
მისაღებად შემოდინა საბჭოთა გემებიც. უფრო მეტად — ჩვენი მეფე-
ზეთა ფლოტილიის გემები, რომლებიც სარეწ თევზჭერას ატლანტიკის
ეკვატორულ წყლებში ეწევიან.

რეიდზე ახლაც რამდენიმე ჩვენებური ხომალდი ვიცანით.

ლას-პალმასის სანაპიროს მთავარი ქუჩები, მისი მთელი პირველი სა-
რთულები ჭრელ-ჭრელა მაღაზიებითაა ერთმანეთზე გადამხული.

ჩვენში უკვე ზამთრის ჭირვეული ამინდები იდგა, კანარის კუნძუ-
ლებთან კი თითქოს ჩვენგან ცოტა ხნის წინათ გაპარულ ზაფხულს დავე-
წიეთ.

მოვიმარაგეთ პროდუქტები, წყალი, მოვიარეთ ქალაქი და ისევ
ჩვენს გრძელ გზას გავუდექით.

გემზე უკვე იჭრებოდა ტროპიკების სიახლოვე, მატროსებმა მო-
ნახეს შორტები, ხალათებიც გამოიცვალეს, მუშაობა ცხელ მზის ქვეშ
გაჩაღდა.

დღიურ დავალებებს წარმატებით ასრულებდნენ მატროსები თენგიზ
გიგინეიშვილი, ანატოლი კოსოვი, ანზორ ვარშანიძე, პეტრე პეტროსიანი...

შინიდან შორს ყოფნის სიძნელეს გვინელებს მზარეულ მამია ბერიძის ხელოვნება. მართლაც, ამ მახინჯაურელმა ბიჭმა შორეულ ოკეანეებში ტკბილი ქართული ოჯახური ლუკმა არ მოგვაკლო.

ხაშს, გემზე გამომცხვარ ლავაშსა და აჭარულ ხაჭაპურს ხანდახან ლობიო და ჭადიც კარგად მოუხდა.

მაგრამ თუ გულახდით ვიტყვით, გემზე მუშაობა და ცხოვრება საინტერესო რთულდებოდა. კაპიტანი დაძაბული მღელვარებით შემოივლიდა ხოლმე სამანქანო, საავტომატო, სატვირთო მეურნეობას. პირველი შედეგები ცუდი არ იყო, მაგრამ რეისი გრძელი და მძიმე გველოდა. ამიტომ ყოველი მცირე დეფექტის შემჩნევა და აღმოფხვრა სელის დროს აუცილებელია.

აგრეგატებისა და ძრავების მუშაობაში რამდენიმე არასასურველი სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ იგი ტექნიკოსებმა და მემანქანებმა დროზე გამოასწორეს.

მოხდა მოულოდნელი შემთხვევაც. ერთ საღამოს მძიმე ავად შეიქნა პოლონელი საგარანტიო ინჟინერი ხორომანსკი. მდგომარეობა ისე გაართულდა, რომ ღამით გემმა კურსი იცვალა და პორტ დაკარისაკენ გადაუხვია.

სასწრაფო დახმარება საკმარისი არ აღმოჩნდა და იძულებული შევიქმენით ავადმყოფი დაკარის ჰოსპიტალში დაგვეტოვებინა. იგი რამდენიმე დღეში განიკურნა და შეეძლო კუიბტაუნში დაგვეწოდოდა, მაგრამ, როგორც შეგვატყობინეს, სამხრეთ აფრიკელ რასისტებს სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქისათვის ქვეყანაში შესვლის უფლება არ მიუციათ და ხორომანსკი სამშობლოში გაფრენილიყო.

ოცდათხუთმეტდღიანი ცურვის შემდეგ დაღლილ-დაქანცულებმა, მიწის ნახვას დანატრებულებმა ღუზა სინგაპურთან ჩავუშვით. ეს ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც, არც ისე უსაფუძვლოდ, აღმოსავლეთის ბაზილონს უწოდებენ, ხელგაშლილი შეგვხვდა. აქ რეიდზე ყოველდღე აბოებით გემი დგას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის აღმით. ჩვენს საზღვაო-კომერციულ წარმომადგენლობასა და საელჩოში, სადაც მე და კაპიტანი წარვდექით, გვითხრეს, ეს პირველი გემია სინგაპურში საქართველოს სანაოსნოდანო.

ქალაქში უცნაური კონტრასტებია არა მარტო ძველისა და ახლის, სიღარიბისა და სიმდიდრის, არამედ აღმოსავლურისა და დასავლურის, მალაიურის, ჩინურის, ინგლისურის, ინდოურის.

ღია ჩინურ-მალაიურ ბაზრებში ზვინებად დგას ზაფხულის ბოსტნული და ხილი, მაგრამ ყველაფერი მეზობელი ქვეყნებიდან შემოაქვთ. ამ სახელმწიფოს საკუთარი სოფლის მეურნეობა არ გააჩნია. აქ ყოველ ნაბიჯზე გეტყვიან და აგისხნიან: — ისე, როგორც ბევრ სხვა ყოფილ კო-

ლონიურ ქვეყნებში, აქაც რთულია ენის პრობლემა. სინგაპურში ყველაზე მეტი მალაელი და ჩინელი ცხოვრობს. ოფიციალურ ენად გამოცხადებულია ინგლისური. გაზეთები ინგლისურად და ჩინურად გამოდის.

საზღვაო სამსახურის აგენტებმა როგორც იქნა მოახერხეს ჩვენი მომარაგება სამანქანო ზეთით, სასმელი წყლით, პროდუქტებით და „გიორგი ლეონიძე“ აქედან პირდაპირ იაპონიისაკენ გაემართა.

ეს იყო ჩვენი რეისის ყველაზე ძნელი და პასუხსაგები მონაკვეთი, ხოსოსიმა, ტოიამა, საკატო და ხატინოხე ნაკლებად ცნობილი ქალაქებია, მაგრამ ეტყობა, იაპონიის სამრეწველო ცენტრებთან ახლო მყოფი მნიშვნელოვანი პორტებია. მთელი ტვირთის ოთხ ადგილას გადმოცლამ, მაშინ როცა დანიშნულების ადგილები ან უკიდურეს სამხრეთში, ან უკიდურეს ჩრდილოეთში და აღმოსავლეთშია, რა თქმა უნდა, ბევრი სიძნელე შექმნა.

მაგრამ „გიორგი ლეონიძე“ და მისმა ეკიპაჟმა პირველი დიდი გამოცდა კარგად ჩააბარა. გვმა უკან მოიტოვა ოცდაათი ათასამდე საზღვაო მილი და სულ ექსპლოატაციაში გაშვებიდან დღემდე სამოცდახუთ ათასი ტონა ტვირთი გადაიტანა.

ახლა საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის პორტში ახალი დიდი რეისისათვის ვემზადებით. კაპიტანი საშტურმანო ჯიხურში რუკებს ჩაჰკირკიტებს. მალე კურსს ავსტრალიისაკენ ავიღებთ.

ბათუმი-იაპონია-ვლადივოსტოკი.

დეკემბერი — 1973 წ. მარტი — 1974 წ.

გაგანა

ს ი მ დ ე რ ბ

მზეზე სიმღერა მოსწყინდა ბაგეს,
შენზე სიმღერას გული კვლავ ითხოვს.
ჩემი საათის ისრები დადგნენ,
დრომ რომ არასდროს გაგვთოშოს, მიტომ.

იქნებ მომწყინდეს პლანეტის ცქერა,
შენი მხერა კი არ მომწყინდება.
მაგ თვალთა შუქი იღვრება ჩქერად,
შენ რომ არა ხარ, ირგვლივ ბინდდება.

ივლისის ღამით პატარა სოფელს
ესმოდა ჩემი ფანდურის კენესა.
სახლში მოგბრუნდი შორეთში მყოფი,
რადგანაც ცრემლებს ვხედავდი შენსას.

ალერსითა და ზრუნვით გავათბე
ლექსი, რომელიც გიხმობდა შორით.
მელანი ისე ჩანდა ქალაღზე,
იას რომ აჩენს აპრილის თოვლი.

როცა გშორდები — შორს ვარ თუ ახლოს,
თან ცრემლის ღვარი ღამდის, თან ვმღერი —
ასეა მთაში — მზე რომ თოვლს ალღობს,
მაშინ წამოვა ხოლმე ლანჩერი.

თუნდა ითოვოს, იწვიმოს თუნდა.
გულს არც ღრუბლებით დავიღონებდი —
ვიცი, რომ დამღლის მზის ხმოზა მუდამ,
შენ მოუღლელად გიხმობ ყოველთვის.

* * *

მუჰამედმა თქვა:

„ერთია ღმერთი!“

ხოლო მე ვამბობ:

„ერთია ღედა!...“

ლოდინით ღამეს არვინ ტეხს ჩემთვის
გზის ბოლოს — სახლთან ვერავის ვხედავ.
ღევს ხელუხლებლად კრიალოსანი,
მარტომყოფი რომ მაჩვენებდა იგი,
როს იდგა ღამე, ვით შაოსანი
და როცა დილის ცვიოდა ფიფქი.
ბუხარში ტეცხლი ვინღა შემინთოს,
თოვლში ნავალი გავცივდე როცა,
გადამცდარს ცოდვა ვინღა შემინდოს,
ვინღა აღმივლენს მხურვალე ლოცვას?
მე გადავფუტლე ყურანის გვერდი,
მის წინ დამხოვილ იმამებს ვხედავ.
ყურანი ამბობს:


„ერთია ღმერთი!“

ხოლო მე ვამბობ:

„ერთია ღედა!...“

* * *

მე სამი რამის ნატვრას ვუნდები,
სამივე ნატვრა ახდენას ითხოვს —
მოდო, ერთ ქალსაც ჩავეხუტები
და ამის მეჩე რაც იყოს — იყოს.
პირთამდე სავსეს ერთ ყანწსაც ავწევ,
არ იზამს ღმერთი — არ განმიკითხოს,



 ე. წ. ნ. ბ. ბ.

 ე. წ. ნ. ბ. ბ.

სიყვარულისთვის ერთ ლექსსაც დავწერ
 და ამის მერე რაც იყოს — იყოს.
 მაგრამ როდესაც ქალს ჩავეგონე,
 ვიგრძენი — გული არ მიმდიოდა,
 ღვინოს ვსვამდი და ძმარი მეგონა
 და ლექსშიც ცეცხლი აღარ ღვინოდა.
 ლამის ამაყი ვაჟკაცი შევრცხვი —
 გზაში მოფინეს ჭორი ვეჩხანი,
 თითქოსდა გულში ჩამიქრა ცეცხლი
 და დამიკოჭლდა თითქოს მერანი.
 ყურს არ დავუგდებ მოლაყბეს მოცლილს,
 მანამ ვერავინ ვერ დამიბრიყვოს,
 ვიდრე ერთ ქალსაც არ გადავკოცნი
 და ამის მერე რაც იყოს — იყოს.
 კიდევ ვცდი ყანწის ბოლომდე დაცლას,
 მოვსინჯავ ლექსში სიწმინდეს ხმისას,
 ისევ მოვზიდავ შვილდისაღს ნაცადს,
 ოქროს ბეჭედში გავაძვრენ ისარს.
 ლექსებში ვარსკვლავს ავანთებ ლამაზს,
 არასოდეს რომ არ გაირიყოს,
 რომ გაიკვიროთ: „უყურეთ ამას!“
 და ამის მერე რაც იყოს — იყოს.

* * *

ბალიშს ბუმბულით ნუ ავსებ ბანზე,
 ღრუბლების ზემოთ რომ ატყორცნილა,
 ღე იყოს ჩემი სიზმრებით სავსე,
 ცისკრის ნათლით რომ ჩემთან მოფრინავს.
 სამაჯურს, ჯერ რომ არა აქვს არვის,
 ჩემი სტრიქონი გამოსჭედს მარდად
 და ჩემი სუნთქვა, ვით ფეიქარი
 შენი კაბისთვის ზღაპრულ ძაფს დართავს.
 ჩემი სიმღერის უსმინე ბგერებს
 და მოგართმევინ საყურეს მბზინავს,
 მგონის ცრემლები აჰკინდე მერე
 და გედურ ყელზე ატარე მძივად.
 შენი ნებაა ჯადოსნურ კლიტით

გააღო, როცა გაგიწევს გული,
ზარდახში, სავსე თვალ-მარგილიტით,
მკერდში იდუმლად გადანახული.
ამის სანაცვლოდ ფასს ჭრას დავლებ
სვებედნიერი აწ და მარადის,
ცისკრის ვარსკვლავად ოღონდ შენ მყავდე
და ღამისფერი მქონდეს ნაბადი.

კ ე რ დ ხ თ ა ნ

მშობლიურ ღუმელს ველარ ვეცლები,
ლიაა კარი, ცეცხლი მიწელდა.
იჩხევა ალი და ნაკვერცხლები
ჰგვანან ვარსკვლავებს მოციმციმეთა.
ბრწყინვენ, ვით ცაზე ვრსკვლავთა წყება,
ისევ ბავშვურად მკერდი მიღელავს,
თითქოსდა მამა ზღაპარსა ჰყვება
და თითქოს მესმის დედის სიმღერა.
შუალამეა. ღუმელი ქრება,
არც კვამლი, აღარც ცეცხლის ფაფარი.
გული ნათდება და გული თბება
დედის ნანით და მამის ზღაპარით.

* * *

ნეტა შემეძლოს ფიქრი გულისა
ვაქციო ლექსთა მწყობრ სტრიქონებად,
შევქმნიდი დიდ წიგნს სიყვარულისას,
რომლის ბადალი აზი იზოვება.
მაგრამ ჯერ იგი არ არის დიდი,
მოუცლელი ვარ რადგანაც მეტად —
არ მემეტება, ძვირფასო, მისთვის
ის დრო, ღომელსაც ვატარებ შენთან.

თარგმნა გიორგი სალუშვაძემ.

შოთა შაჩიძე

ანტონ ფურცელაძე და დიმიტრი პისარევი

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობას, მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებს სამი წყარო ასაზრდოებდა: ქართული, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა და მეცნიერება. ჯერ კიდევ ორიოლის კადეტთა კორპუსში მან მშვენივრად შეისწავლა რუსული ენა, რამაც ხელი შეუწყო ღრმად გასცნობოდა რუსულ ლიტერატურასა და მეცნიერებას. რუსული ენის შემწეობითვე გაეცნო იგი მსოფლიო ლიტერატურას და საქვეყნოდ ცნობილ მოაზროვნეთა ნაშრომებს. თავისთავად იგულისხმება, რომ მშობლიურ ქართულ მწერლობას ანტონი ბავშვობის წლებიდანვე დაეწაფა, საბედნიეროდ, მისი მშობლები სწავლა-განათლების დიდი ტრფიალი ყოფილან და შვილსაც ჩაუ-

ნებრეს წიგნის, ცოდნის სიყვარული.

ამ სამი ძირითადი წყაროდან ა. ფურცელაძის მსოფლმხედველობის, მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსულმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა ლიტერატურამ და მოწინავე მეცნიერებამ. ა. ფურცელაძის ახლო მეგობარი, ცნობილი ქართველი მწერალი ს. მაგლობლიშვილი ამის თაობაზე წერდა: „ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, გერცენი, ლავროვი გატაცებით უყვარდა და აშკარად ქადაგებდა მოსწავლე ახალგაზრდობასა და მუშებში მათ აზრებსა“. მაჩათა-ლია, აქ მოხსენიებული არ არის ბ. ბელინსკი, მაგრამ ეს, ალბათ, კალმის ლაფსუსია. თვითონ ა. ფურცელაძე ერთ-ერთ სტატიაში,

რუსული ლიტერატურის ზოგადი
რომ განსაზღვრავდა, ხაზგასმით
აღნიშნავდა ბ. ბელინსკის უდი-
დეს დამსახურებას და წერდა:
„თუ იყო ვისიმე გავლენა ამ
მხრივ ჩვენზე — ეს ბელინსკისა“.
და ასეც იყო. დიდმა რუსმა კრი-
ტიკოსმა მართლაც მეტად თვალ-
საჩინო გავლენა მოახდინა რო-
გორც ა. ფურცელადის, ისე მთე-
ლი მოწინავე ქართველი ახალგა-
ზრდობის მსოფლმხედველობის,
იდეური პროფილის ჩამოყალიბე-
ბაზე.

და მაინც, ისე მოხდა, რომ ა.
ფურცელადის სახელი მჭიდროდ
დაუკავშირდა არა ბელინსკის,
არამედ პისარევს. ქართულ ლი-
ტერატურულ აზროვნებაში თან-
დათან გავრცელდა აზრი, რომ ა.
ფურცელადემ ყველაზე ძლიერად
განიცადა სწორედ დ. პისარევის
იდეური ზეგავლენა და თითქოს
იგი ე. წ. პისარევისეული ნიჭი-
ლიზმის ერთადერთი ორთოდოქ-
სალური მიმდევარი იყო საქათ-
ველოში.

სწორია თუ არა ეს შეხედუ-
ლება?

ამ საკითხის ობიექტურ, სამარ-
თლიან განხილვას დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს როგორც თვით ა. ფუ-
რცელადის ლიტერატურულ-კრი-
ტიკული მემკვიდრეობის შეფასე-
ბისათვის, ისე საერთოდ ქართუ-
ლი ლიტერატურული კრიტიკის
ისტორიაში.

ნიპილიზმი საკმაოდ გავრცელ-
ებული მოვლენა იყო გასული სა-

უკუნის სამოციანი წლების ქა-
თულ ლიტერატურულ კრიტიკაში
და მისი ელემენტები შეინიშნე-
ბოდა არა მარტო ა. ფურცელადის
ლიტერატურულ-კრიტიკულ სტა-
ტიებში. ჩვენ საესეებით ვიზი-
რებთ პროფ. მიხ. ზანდუკელის
მოსაზრებას, რომ „პისარევსაც
ჰყავდა თავისი მიმდევარი ჩვენს
თერგდალეულებში“.¹ გავიხსე-
ნოთ, როგორ მიწასთან გაასწორა
ილია ჭავჭავაძემ რუსთაველის
ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი პო-
ეტი ჩახრუხაძე. „ჩვენში, ქართვე-
ლებში, დიდი მწერლის სახელი
აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა,
— წერდა ილია ჭავჭავაძე თავის
ანრველსავე კრიტიკულ სტატია-
ში კოზლოვის „შეშლილის“ თარ-
გმანზე, — მაგრამ არამც თუ დი-
დი, პატარაც არა ბრძანდება ის
კურთხეული. მისი თამარის ქება
მთელი მოთხრობის ოდენაა, ზედ-
შესრულით დაიწყობა და თითქ-
მის ზედშესრულით თავდება...
არც აზრი, არც სურათი, არც
მშვენიერება, არც ჭკუა, არც გუ-
ლი, არაფრისთანა არაფერი, გარ-
და ზედშესრულების რახა-რუხი-
სა“.²

ასეთივე გამანადგურებელი შე-
ფასება მისცა აკაკი წერეთელმა
მეორე გამოჩენილი ქართველი
პოეტის ბესიკის შემოქმედებას.

1 მიხ. ზანდუკელი, ახალი ქართული
ლიტერატურა, ტ. II, 1954 წ., გვ. 218
(შენიშვნა).

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, 1953 წ.,
გვ. 10-11.

სტატიაში „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგულის“ შესახებ“ (1865 წ.) აკაკი წერდა: „დრო იყო, რომ მის „ტანო ტატანოს“, „შავნი შავნი“ და „სევდის ბაღს შეველ“ აღტაცებაში მოჰყავდა ხოლმე და ახლა, ვერ დავფარამ მე, რომ ის ლექსები მოცლილი კაცის სასმენელს ატკბობენ ხოლმე“. შემდეგ აკაკის მოაქვს ბესიკის ლექსის ამონაწერი და დაასკვნის: „ეს ბუღბუღლის ტიუ! ტიუ! ტია! ტია! არ არის, აბა რა არის? ცარიელი სტვენა არ არის?!.. კიდევ განვიმეორებ, როგორც ის ჩიტები, ისე არ მომყავს ეგენი (ბესიკი და მისი „ჰამქრები“, მიმღევრები — შ. ქ.) მწერლების რიცხში“.³

ასე ჩამოაქვეითეს, ძირს დასცეს ილიამ და აკაკიმ ძველი ქართული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლები ჩახრუხაძე და ბესიკი. სადავო არ შეიძლება იყოს, რომ არც ბესიკი, არც ჩახრუხაძე არ იმსახურებდა ასეთ მკაცრ განაჩენს — ორივე ისინი იყვნენ და რჩებიან სახელოვან, დიდებულ პოეტებად. ასევე უდავოა, რომ აქ თავი იჩინა ე. წ. პისარევისეულმა ნიჰილიზმმა. ამ ფაქტს არ უარყოფდა არც აკაკი წერეთელი, რომელიც უფრო გვიან (1899 წ.) სტატიაში „საგულისხმო“ აღიარებდა, რომ „მესამოცე წლებში რომ რუსეთიდან დავბრუნდი, ნიგილისტობის საფუარი ცოტა-

ოდნავ ჩვენიც მოდებული გვექონდა“.⁴

თუ კი ასე იყო, თუ კი „ნიგილისტობის საფუარი ცოტა-ოდნავ“ თითქმის ყველა სამოციანელ მოღვაწეს ჰქონდა მოდებული, მაშინ რატომ მაინც და მაინც ა. ფურცელაძეს შეარქვეს ნიჰილისტი, რატომ მაინც და მაინც იგი გამოაცხადეს პისარევისეული ნიჰილიზმის დამამკვიდრებლად, მის ერთადერთ წარმომადგენლად საქართველოში? ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ ხომ მას „ქართველი პისარევიც“ კი უწოდა. ეს მეტსახელი ა. ფურცელაძეს დიდხანს შერჩა. ასე, მაგალითად, უკვე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაზეთ „ლომისში“ პანი წერდა: „ანტონ ფურცელაძემ მოიმარჯვა რუსეთის ნილილიზმის უკიდურესი ფრთის თვალსაზრისი და შეუდგა ჩვენი ცხოვრების და მწერლობის ერთიანად გაქაჩებას და უარყოფას... მან არც აცია, არც აცხელა, — ყოველგვარი კულტურული ღირსებულება „საზოგადოების სარგებლობის“ სასწორზე გაიტანა და რაც ამ გამიშვლებულ, ვიწროდ გაგებულ საჩაგებლიანობის პრინციპს არ უდგებოდა, მოინდომა ყოველივე იმის გაბიაბურება და გადაგდება“.⁵ უფრო გვიან პროფ. ვ. კოტეტიშვი-

4 ა. წერეთელი, თხზ., ტ. XIII, 1961 წ., გვ. 384.

5 გაზ. „ლომისი“, 1923 წ., № 3-4, გვ. 31.

3 ა. წერეთელი, თხზ., ტ. XI, 1960 წ., გვ. 21.

ლი წერდა: „მას (ა. ფურცელაძეს — შ. ქ.) ახასიათებდა ნილიზმი სალიტერატურო აზროვნებაში... პისარევის მსგავსად, ანტონ ფურცელაძეც ეკვეთა ნ. ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს და სხვებს, უარყო მათი პოეზია და უსაქმურობად გამოაცხადა“.⁶ ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებაა. ა. ფურცელაძემ უარყო არა ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის მთელი პოეზია, არამედ მათ მხოლოდ ცალკეული ნაწარმოებები. იგი არ შესდგომია არც მთელი ქართული მწერლობის „ერთიან გაქიპებას და უარყოფას“.

ამ რამდენიმე წლის წინათ სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება წამოაყენა პროფ. გ. მეგრელიშვილმა. „ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში, — წერს მკვლევარი, — დამკვიდრებულია აზრი, რომ ა. ფურცელაძე ესთეტიკის სფეროში გვევლინებოდა ნიპილიზმის თეორეტიკოსად. ეს ცილისწამებაა“.⁷ ასე მკვეთრად და ასე გადაჭრით ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში არავის არ უარუყვია ა. ფურცელაძის ნიპილიზტობა. მაგრამ, სამწუხაროდ, პროფ. გ. მეგრელიშვილი აყალი-

ბებს მხოლოდ თეზისს და არა მოაქვს სათანადო არგუმენტები ან სტატიის ხასიათის გამო, ან იმის იმედით, რომ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია შესაბამისი არგუმენტაცია იპოვოს იმ მკვლევართა ნაშრომებში, რომლებიც მეტ-ნაკლებად უარყოფენ ა. ფურცელაძის უმჭიდროეს კავშირს დიმიტრი პისარევთან, კერძოდ, მის ლიტერატურულ ნიპილიზმთან.

რა შეიძლება ითქვას ამ დებულების შესახებ?

ჯერ ერთი, პროფ. გ. მეგრელიშვილი ცდება, როცა ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებულად მიაჩნია შეხედულება, რომლის მიხედვითაც ა. ფურცელაძე „ესთეტიკის სფეროში გვევლინებოდა ნიპილიზმის თეორეტიკოსად“. პირიქით, დღეს მკვლევართა დიდი უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ა. ფურცელაძე არასოდეს არ ყოფილა ნიპილიზმის ჩამოყალიბებული, ორთოდოქსალური და ბოლომდე ერთგული მიმდევარი. ასე, მაგალითად, პროფ. გ. ჯიბლაძე, რომელმაც გრცლად განიხილა პისარევისა და ფურცელაძის დამოკიდებულების პრობლემა კიბა აბაშიძის ცნობილი სტატიის „მოამბის“ მორალისტები“ გამო, წერს: „მის (ა. ფურცელაძის — შ. ქ.) კრიტიკულ შეხედულებებში აშკარად შეინიშნება მკვეთრად გამოხატული ნიპილიზმი, თუმცა ჩვენ მას ჩამოყალიბებულ ნიპი-

6 გ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959 წ., გვ. 448-449.

7 გ. მეგრელიშვილი, ანტონ ფურცელაძის სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა (ყურნალი „მნათობი“, 1960 წ., № 2).

ლისტად მაინც ვერ გამოვაცხადებთ, და ვერ გავუთოლებთ ნიპილისტებს — პი-საჩევესა თუ ზაიცევეს. კიტა აბაშიძე კი აცხადებდა და ჩვენ ამითაც განვს-ხვავდებით მისგან.⁸ ასე-თი შეხედულება დღეს გაბატონე-ბულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მას იზიარებს თითქმის ყველა მკვლევარი, ოღონდ იმ განსხვავე-ბით, რომ ზოგი მათგანი ფურცე-ლაძის კრიტიკულ მემკვიდრეობა-ში ვერ ხედავს „მკვეთრად გამო-ხატულ ნიპილიზმს“ და მიაჩნია, რომ მისი ნიპილიზმი წარმავალი და ეპიზოდური იყო.

პროფ. შ. რადიანის მტკიცებით, მაგალითად, ლიბერალურ-ბურ-ჟუაზიული კრიტიკა ყოველთვის მიკერძოებით აშუქებდა ა. ფურ-ცელაძის ესთეტიკურ შეხედულე-ბებს, მეტისმეტად აზვიადებდა მის აღრინდელ ცალკეულ შეც-დომებს, რომლებიც მერე კრიტი-კოსმა თვითონვე უარყო და ასე შექმნა „ტენდენციური სახე ნი-პილისტური დოქტრინის ფანატი-კოსისა“. ნამდვილად კი ა. ფურ-ცელაძის მთელი ნიპილისტობა, მკვლევარის აზრით, იმით ამოი-წურებოდა, რომ „ზოგჯერ იგი ზედმეტად გადაღუნავდა ჯოხს, მიდიოდა სიმკვეთრემდე, უკიდუ-რესობამდე თავის გამოთქმებში... ამ უკიდურეს მსჯელობათა საფუ-

ძველზე იქმნებოდა წარმოდგენა თითქოს ა. ფურცელაძე იყო „ნი-პილისტი“.⁹

დოც. ვ. ვახანias აგრეთვე მია-ჩნია, რომ ა. ფურცელაძის ნიპი-ლიზმმა თავი იჩინა მარტო ორ სტატიაში ერთნაირი სათაურით „ქართული ლიტერატურა“, რო-მლებშიც ნიპილისტურად შეაფასა ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავა-ძის რამდენიმე ლექსი. „ამიტო-მაც, — წერს ვ. ვახანია, — „ნი-პილიზმზე“ მსჯელობა მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში თუ შეიძლება გამართლებულად ჩაი-თვალოს. თვით ტერმინი „ნიპი-ლიზმი“ ასეთ შემთხვევაში ყოვე-ლთვის წინწყლებში უნდა ვიხმა-როთ“.¹⁰

ა. ფურცელაძე თანამიმდევარ ნიპილისტად არ მიაჩნია არც რუ-სული ლიტერატურის ისტორიის ცნობილ მკვლევარს პროფ. ა. ნი-კოლაძეს. „უნდა ითქვას, — წერს იგი, — რომ ნიპილიზმი არ არის ანტონ ფურცელაძის ესთეტიკის მაგისტრალური ხაზი, ძირითადად იგი რეალისტური კრიტიკისა და ესთეტიკის იდეების დაუღალავი მქადაგებელი იყო საქართველო-ში“.¹¹

9 შ. რადიანი, ახალი ქართული ლი-ტერატურა, წიგნი II, 1953 წ., გვ. 114, 117.

10 ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958 წ., გვ. 254.

11 ა. ნიკოლაძე, რუსი რევოლუციო-ნერ-დემოკრატები და ქართული ლიტე-რატურა, 1954 წ., გვ. 197-199.

8 გ. ჯიბლაძე, „ხელოვნება და სინამ-დვილე, I, 1955 წ., გვ. 519 (ხაზგასმა ჩემია — შ. ქ.).

როგორც ვხედავთ, თანამედროვე მკვლევარები, არ უარყოფენ ან პისარევის ერთგვარ გავლენას ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ნააზრევზე, მაინც არ სთვლიან მას ჩამოყალიბებულ, ორთოდოქსალურ ნიჰილისტად. მაშასადამე, დებულება, რომ ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში თითქოს დამკვიდრებულია აზრი, რომ „ა. ფურცელაძე ესთეტიკის სფეროში გვევლინებოდა ნიჰილიზმის თეორეტიკოსად“, მეტი რომ არ ვთქვათ, არ გამოხატავს ფაქტიურ მდგომარეობას.

მეორეც, შეუძლებელია (თუ, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ დავამახინჯებთ) უარყოთ ნიჰილიზმის უდავო და საკმაოდ ძლიერი გავლენა ა. ფურცელაძის კრიტიკულ შეხედულებებზე. ამიტენდენცია კი მეტ-ნაკლებად შეინიშნება ა. ფურცელაძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევის არაერთი ცნობილი მკვლევარის შრომაში. ყველა ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნიჰილისტური მიდრეკილება ა. ფურცელაძემ გამოამჟღავნა თითქოს მხოლოდ 1863 წელს „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ დაწერილ ორ სტატიაში ერთნაირი სათაურით „ქართული ლიტერატურა“, როდესაც დაიწუნა ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის ლექსები, შემდეგ კი თვითონ შეიგნო თავისი შეცდომა, გამოასწორა იგი და მუდამ ცდილობდა მოეცილებინა

„ნიჰილისტისა“ და „ქაროველი პისარევის“ მეტსახელი“.

აი რას წერს, მაგალითად, ჩვენთუკის საინტერესო საკითხის გარშემო ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი პროფ. შ. რადიანი: „აღსანიშნავია, რომ უფრო მოგვიანებით ა. ფურცელაძემ თვითონვე შეიგნო თავის მკვეთრ მსჯელობათა მცდარობა. ეს მკაცრი თვალსაზრისი და მსჯელობა აღნიშნულ მწერალთა (ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის — შ. ქ.) მიმართ ა. ფურცელაძეს არ გაჰყოლია ბოლომდე“.¹²

არსებითად ამავე შეხედულებას იცავს დოც. ვ. ვახანია. „საბედნიეროდ, — წერს იგი, — ლიტერატურულ ნაწარმოებთა მიმართ „ნიჰილისტური“ ტონი ა. ფურცელაძეს დიდხანს არ გაჰყოლია. ა. ფურცელაძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან სულ მალე შეიგნო თავის მკვეთრ მსჯელობათა მცდარობა და უკვე მომდევნო, 1864 წლიდანვე კვლავ ზომიერ პოზიციებზე დადგა“.¹³ ამ დებულებას სავსებით ბუნებრივად მოსდევს მისგან გამომდინარე სხვა დებულება, რომ ამის გამო ა. ფურცელაძე თითქოს ყოველთვის უარყოფდა თავის იდეურ კავშირს დიმიტრი პისარევთან, კერძოდ, მის ნიჰილიზმთან. „ან-

12 შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, II, 1953 წ., გვ. 118.

13 ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958 წ., გვ. 182.

ტონ ფურცელადე, — წერს ცნობილი ქართველი კრიტიკოსი პროფ. ს. ჭილაია, — მის სიცოცხლეშივე ნიჰილისტად მონათლეს და პისარევის მიმდევრად გამოაცხადეს... თვით ანტონ ფურცელადემ კიტა აბაშიძესთან კამათში სავსებით სამართლიანად უარყო ეს აზრი“.¹⁴ მკვლევარი ვ. ვახანიაც ამ აზრისა და გულისტყვივით წერს: „სამწუხაროდ, უშედეგო აღმოჩნდა ა. ფურცელადის გულწრფელი ცდა მოეცილებინა ლიბერალურ-ბუერჟუაზიული კრიტიკის მიერ უსამართლოდ მიკეჩებული იარლიყი — ნიჰილისტისა“.¹⁵

ეს მტკიცებანი ჩვენ მართებულად არ გვეჩვენება. საქმე ისაა, რომ ა. ფურცელადეს არსად და არასდროს არ უცდია გამიჯნოდა პისარევს და არასდროს სათაკილოდ არ მიუჩნევია მასთან იდეური ნათესაობა. პირიქით, საამაყოფ თვლიდა, თუ კი შეძლებდა და შესაძლებლად პისარევის როლს ქართული კრიტიკისა და ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში. „მე დიდად სასახელოდ ჩავთლიდი, — წერდა იგი კიტა აბაშიძის პასუხად, — თუ პისარევის აზრდილობაც არის შემძლებოდა ჩემს სამშობლო ქვეყანაში, სადაც სწორედ პისა-

რევის მსგავსი აზრისანი არიან საჭირო, რომ გამოაფხიზლონ და გამოარკვიონ ჩვენი ხალხი, ჩვენი საზოგადოება ძილიდამ“. ა. ფურცელადის ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი აშკარა სიმპათიით ეკიდებოდა დიდ რუს კრიტიკოსს და მის მოძღვრებას არა მარტო მისაღებად, არამედ აუცილებლადც სთვლიდა, მით უმეტეს საქართველოში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი აზროვნება, მისი აზრით, ჯერ კიდევ არ იყო ისე სისხლჭარბი, ისე მჩქეთარე, როგორც დრო მოითხოვდა.

კიტა აბაშიძესთან კამათში ა. ფურცელადემ უარყო არა იდეური ნათესაობა დიდ რუს რევოლუციონერ მოაზროვნესთან, არამედ პისარევის მიმბაძველობა, იმის მტკიცება, რომ იგი თითქოს „პისარევის ბაძით, მის გავლენის ქვეშ“ წერდა. „მე მიწოდებს (კიტა აბაშიძე — შ. ჭ.) ქართველ პისარევათ, ეს იმას ნიშნავს, რომ მე ვსწეხ პისარევის ბაძით, მის გავლენის ქვეშ... ჩემი პისარეობა იწყება იმ დროიდან, როდესაც არამც თუ აქ, თვით რუსეთშიაც ნაკლებ იცნობდნენ პისარევს. სტატია, რომლისა და წერის გამოც კიტა პისარევს მიწოდებს, არის დაწერილი 1863 წ. მარტში, როდესაც არც კი გაგვეგონა აქ პისარევი ვინ იყო“. დღეს, რასაკვირველია, ძნელია, ვირწმუნოთ ა. ფურცელადის ეს განცხადება, რადგან 1863 წლისა-

14 ს. ჭილაია, ანტონ ფურცელადე (ა. ფურცელადე, რჩეული ნაწერები, 1951 წ., გვ. 544).

15 ვ. ვახანია, ანტონ ფურცელადის მსოფლმხედველობა, 1958 წ., გვ. 255.

თვის პისარევი უკვე იყო რამდენიმე გახმაურებული სტატიის ავტორი და აქტიური თანამშრომელი ჟურნალისა „რუსსკოე სლოვო“. ცხადია, ამ შემთხვევაში ა. ფურცელაძე იცავს თავის იდეურ დამოუკიდებლობას, აზროვნების ორიგინალობას, სურს დაამტკიცოს, რომ დამოუკიდებლად მივიდა იმავე იდეებამდე, რომლებსაც უკვე შემდგომ ავითარებდა დიმიტრი პისარევი. მართალია, ს. მგალობლიშვილის დახასიათებით, საკმაოდ გავრცელებული სენი — განდიდების შანია „სჭირდა ანტონსაც“, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამჯერად ა. ფურცელაძეს იმდენად საკუთარი პერსონის წინ წამოწევა და განდიდება კი არ აინტერესებდა, რამდენადაც იმის ცხადყოფა, რომ პისარევისეული იდეები, რომლებსაც ხშირად ვხვდებით მის ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში, აღმოცენდა საკუთრივ ქართულ ნიადაგზე და არა წიგნების, თუნდაც პისარევის თხზულებათა მეშვეობით. ცხოვრებამ მოითხოვა და ა. ფურცელაძემაც „დაიწყო პისარეობა“, გახდა „ქართველი პისარევი“, მაგრამ პისარევისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ საზოგადოებას ესაჭიროებოდა „სწორედ პისარევის მსგავსი მწერალნი“.

ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია აგრეთვე მტკიცება, ვითომც ა. ფურცელაძის ნიპილიზმი სწრაფმავალი, ფრიად ხანმოკლე იყო

და თითქოს ამოიწურებოდა ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ლექსის დაწუნებით. ან კიდევ ცალკეული მკვეთრი და ზეიდურესი გამოთქმებით. ასეთ შეხედულებას ჩვეულებრივ იმით ასაბუთებენ, რომ ა. ფურცელაძემ უკვე 1864 წელს შეაქო ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია ადამიანი?“. ხოლო ცოტა უფრო გვიან ასევე შეაქო ბარათაშვილისა და ჭავჭავაძის პოეზია. ასე, მაგალითად, დოც. ვ. ვახანიას სიტყვით, უკვე 1864 წელს ა. ფურცელაძემ ჟურნალ „ლიტერატურნი ლისტოკის“ ფურცლებზე მაღალი შეფასება მისცა მოთხრობას „კაცია ადამიანი?“, ნაწარმოებს, „რომელიც თერგდალეულთა იდეური ბელადის ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნოდა და რომელიც დაიბეჭდა ერთი წლის წინათ მის მიერ ასე მკაცრად გაკრიტიკებულ ჟურნალში“.¹⁶

ვნახოთ ახლა ნამდვილად რას წერდა ა. ფურცელაძე თავის ვრცელ კრიტიკულ სტატიაში ამ მოთხრობასა და საერთოდ ილია ჭავჭავაძეზე.

სტატიის დასაწყისშივე ა. ფურცელაძე აცხადებს, რომ ილია ჭავჭავაძე პოპულარული გახდა „გლახის ნაამბობმა“ და დაუფარავი ირონიით შენიშნავს: „ამ მოთხრობით გატაცება იქამდე მივიდა, რომ ბევრი იქახდა—„გლახის ნაამბობის“ ავტორთან შედ-

16 ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958 წ., გვ. 252.

რეზიონ რუსთაველი არაფერია, რომ „კაცია-ადამიანს“ მსოფლიო მნიშვნელობა აქვსო და სხვა ამგვარი“. შემდეგ კრიტიკოსი ახასიათებს ქართული ლიტერატურის მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული პროზა ჯერ კიდევ ღარიბია, რომ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი გაისმოდა „არა უფრო გააზრებულ პროზაულ ფორმაში“, არამედ მხოლოდ ლექსებში (გარდა „სურამის ციხისა“). ყველაფერი ეს ა. ფურცელაძეს იმისათვის დასჭირდა, რომ ეთქვა — როცა მზე არ ანათებს, მაშინ სანთელიც სინათლეაო და ამით აეხსნა ი. ჭავჭავაძის პოპულარობა. „ამიტომ, — დაასკვნიდა იგი, — საოცარი არ არის, რომ ზოგიერთ ვაჟბატონს, რომელიც სხვისი ჭკუითა და თავისი სწრაფად აღგზნებადი წარმოსახვითა ცხოვრობს, — ადამიანებს, რომელთაც ან ცოტა, ან სულ არა წაუკითხავთ რა და რომელნიც არაფერს თვალყურს არ ადევნებენ, მ. ჯიმ-შერიძის (ი. ჭავჭავაძის — შ. ქ.) მოთხრობა „კაცია, ადამიანი“ გენიალურ ნაწარმოებად მოეჩვენათ“.

მაშასადამე, ილია ჭავჭავაძის მოთხრობა ძლიერ მოიწონეს იმ ადამიანებმა, რომლებიც ან სხვისი ჭკუით ცხოვრობენ, ან კიდევ სრულიად უმეცარი არიან ლიტერატურაში. მეორე მხრივ, ა. ფურცელაძე წინააღმდეგია მისი მეთქმეტი ძაგებისა და თავისი კრიტიკული სტატიის ამოცანას ასე

აყალიბებს: „ამ წერილში მე ვაპირებ ვაჩვენო უკიდურესობანი და ზოგიერთი ამგვარი შეხედულების უაზრობაც კი“. გამოდის, რომ „კაცია ადამიანი?!“ უკეთეს შემთხვევაში ყოფილა საშუალო ღირსების ნაწარმოები. ეს არის ილია ჭავჭავაძის ამ მართლაც გენიალური თხზულების მაღალი შეფასება?

შემდეგ ა. ფურცელაძე, მართალია, იწონებს მოთხრობის თემას, იდეას, მიზანდასახულობას, მთელრიგ ხასიათებს, მაგრამ ძლიერ უარყოფითად ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს, როგორც მხატვარს. საკმარისია ითქვას, რომ იგი აქ ისევე იმეორებს სტატიის „ქართული ლიტერატურა“ ძირითად დებულებებს, რომ ილია ჭავჭავაძე თითქმის მიმბაძველი იყო და უნარი არ შესწევდა ერყვნებინა პერსონაჟის შინაგანი სამყარო.

ვფიქრობთ, ეს მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ 1864 წელსაც ა. ფურცელაძე არ გამოსთხოვებია ნიპილიზმს, რომ იგი საკმაოდ ნიპილისტურად ეკიდებოდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას.

განვავრძოთ:

დოც. ვ. ვახანias მტკიცებით, „შეიგნო რა თავის ადრინდელ ცალმხრივ მსჯელობათა მცდარობა, ა. ფურცელაძე შეუდგა მის გასწორებას“. ¹⁷ ამის დასადასტურებლად იგი იშველიებს ა. ფურ-

17 ვ. ვახანია, ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა, 1958 წ., გვ. 253.

ცელაძის საჯარო განცხადებებს—
ჯერ 1872 წელს, ხოლო შემდეგ
1879 წელს ილია ჭავჭავაძისთან
თავისი დამოკიდებულების თა-
ბაზე. მკვლევარს მოაქვს სათანა-
დო ამონაწერიც ა. ფურცელაძის
სტატიიდან „აკაკი წერეთელს“:
„დღეს რომ ჭავჭავაძეზე წერა შე-
მხვდეს... მაშინ ბევრათ სხვა კი-
ლოზე ვილაპარაკებდი“. ეს სიტყ-
ვები თითქოს მაშთლაც მოწმობენ
პოზიციის ცვლილებას, მაგრამ სა-
ქმე ისაა, რომ ისინი წინადადების
მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ
და ფრაზის შეკვეცის გამო ზუს-
ტად ვერ გადმოგვცემენ კრიტი-
კოსის აზრს. ამიტომ, გასაგები
რომ გახდეს ა. ფურცელაძის ნა-
მდვილი პოზიცია, ჩვენ სრუ-
ლად მოვიტანთ მკვლევარის მიერ
შეკვეცილ წინადადებას. აი რას
წერდა იგი: „დღეს რომ ჭავჭავა-
ძეზედ წერა შემხვდეს, — საზო-
გადოთ შეუდარებლათ კი არა, —
შემხვდეს წერა შედარებითა, მა-
შინ ბევრათ უფრო სხვა კილო-
ზედ ვილაპარაკებდი, ესე იგი,
იმას შედარებით სხვებთან, მეტა-
დრე როგორც პოეტს, არავიზედ,
თუ არ წინ, უკან არ დავაყენებ-
დი“. სხვანაირად რომ ვთქვათ,
ა. ფურცელაძე ამბობს, ილია ჭავ-
ჭავაძე სხვა ქართველ პოეტებთან
შედარებით კარგია, მაგრამ საზო-
გადოდ კი არაა. ამასვე წერდა
იგი სტატიაში „ქართული ლიტე-
რატურა“ 1863 წელს. მკაცრად
გააკრიტიკა და დაიწუნა რა ილია
ჭავჭავაძის მთელი რიგი ლექსები,
ა. ფურცელაძე დაასკვნიდა: „ჩვენ

ამის მოქმელნი მაინც არა გვართ,
რომ ჭავჭავაძის ლექსები არა
სჯობდეს ბევრის სხვებისას“. რო-
გორც ვხედავთ, ა. ფურცელაძე
1879 წელსაც იმასვე წერდა, რა-
საც 1863 წელს.

ესეც რომ არ იყოს, განა ა. ფუ-
რცელაძის ნიპილიზმი მართო
ნ. ბარათაშვილის ან ი. ჭავჭავაძის
პოეზიისადმი დამოკიდებულებით
ამოიწურებოდა? ა. ფურცელაძე
არ იყო, 1887 წელს დაწერილ,
მაგრამ დღემდე გამოუქვეყნებელ
სტატიაში „შექსპირი ჰამლეტში“
მიწასთან რომ გაასწორა დიდი ინ-
გლისელი დრამატურგი შექსპირი,
ეს სიამაყე მთელი კაცობრიობი-
სა? იგი არ იყო 1882 წელს და-
წერილ და აგრეთვე გამოუქვეყ-
ნებელ გ. ურისთავის თხზულება-
თა კრებულისათვის განკუთვნილ
„წინასიტყვაობაში“ ასევე მიწას-
თან რომ გაასწორა და „მსწრაფლ
დავიწყებულ“, „პირისაგან ყოვ-
ლის ქვეყნისა“ გამქრალ მწერალ-
თა რიგებში მოაქცია გამოჩენილი
ფრანგი მწერალი ალექსანდრე
დიუმა, რომლის ნაწერები დღე-
საც ხელიდან ხელში გადადის?

როგორ შეიძლება დავივიწყოთ
ა. ფურცელაძის სრული ნიპილის-
ტური დამოკიდებულება ზუსტ-
ული პოეზიის მზის — პუშკინის
შემოქმედებისადმი? ოთხმოციანი
წლების დამდეგს, ილია ჭავჭავა-
ძისთან კამათის დროს, მან არა
მარტო მხარი დაუჭირა პისარევს
პუშკინის წინააღმდეგ, არამედ
უფლება მისცა თავის თავს განე-
ცხადებინა, თითქოს პისარევის

შეხედულება „ისე დამკვიდრდა რუსეთის დაწინაურებულ საზოგადოებასა და მწერლობაში, რომ ველარავინ ამოჰკვეთს, და იქამდის მიაღწია, რომ პისარევი ლაპარაკობდა მაინც ამაზედ (პუშკინზე — შ. ქ.) და ბოლოს მწერალნი დაწინაურებული საზოგადოებისა, ლაპარაკის ღირსათაც არა ჰხდიან პუშკინს“. შემდეგ იგი აცხადებდა: „უკეთეს რუსეთში ამის (პუშკინის — შ. ქ.) პოეზია აღარ არის ყურადღების ღირსი“, მით უმეტეს უსაზრებლოა იგი ჩვენთვის, ქართველებისათვისო, — ჩვენ „სრულიად არა გვეჭიკჭიკ - პუშკინ - პოეზიება-რა!“

ასეთი, ყალბი, ნიჰილისტური დებულება ემყარებოდა სავსებით უსაფუძვლო და შეუწყნარებელ შეხედულებას, რომ პუშკინი თითქოს ქადაგებდა თეოზიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომ მისი პოეზია თითქოს შორს იდგა ხალხის საჭიროებისაგან. ა. ფურცელაძე ამას პირდაპირ წერდა შავით თეთრზე. ილია ჭავჭავაძის შენიშვნას, პისარევმა პუშკინიც კი უარყო, იგი უპასუხებდა: „მე ეს ასე მეყურება, რომ რაკი „მიმოხილვის“ დამწერი (ე. ი. ილია ჭავჭავაძე — შ. ქ.) პუშკინის უარყოფას ასე ცოდვათა თვლის, ის უნდა თანაუგრძნობდეს პუშკინის პოეზიის ხასიათს, — ანუ, უფრო უკეთეს სიტყვათ, იმ პოეზიას, რომელიც

უქცევს გზას საზოგადოკითხვათა, და ჭიკჭიკებს ვითარცა აშიკი ბუღბუღი ახალთა კოკორთა ზედა გაზაფხულის ვარდისათა“. როგორც ვხედავთ, ა. ფურცელაძემ არა მარტო პუშკინი, ილია ჭავჭავაძეც გამოაცხადა თეორიის „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მიმდევრად და ამის დამტკიცებას სერიოზულად შეეცადა კიდევაც თავის გამოუქვეყნებელ სტატიაში „შექსპირი ჰამლეტში“.

არა, ა. ფურცელაძის ნიჰილიზმი მოჩვენებითი ნიჰილიზმი არ იყო, იგი არ ყოფილა არც ზერელე და არც ხანმოკლე!

ისიც ხომ სიმპტომატურია, რომ ა. ფურცელაძე პირველი გამოეხმაურა „ივერიის“ 1881 წლის მაისის „შინაური მიმოხილვას“, რომლის ცალკე თავი სპეციალურად პისარევისეულ უარყოფელობას ეხებოდა. ჩანს, პისარევის იმ „ჩვენებურ“ მიმდევრებში, „შინგამომცხვარ ლიბერალებში“, რომლებმაც „მიმოხილვის“ ავტორის სიტყვით (სტატია ხელმოუწერლად დაიბეჭდა, მაგრამ მისი ავტორი ილია ჭავჭავაძე იყო), ენაზე დაიკერეს „მეტად სხარტე და ნიჭიერი მწერლის“ პისარევის რამდენიმე ნიჰილისტური ფრაზა და „დღეს-აქამომდე აწიოწოს იძახიან“, ¹⁸ ა. ფურცელაძემ თავისი თავი იცნო. ვფიქრობთ, ამ შემთხ-

18 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1955 წ., გვ. 92, 95.

ვევაში იგი არც შემცდარა. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ პროფ. მ. დუდუჩავას მოსაზრებას, რომ ილია ჭავჭავაძე ამ „შინ-გამომცხვარ ლიბერალთა“ შორის „პატრულ რიგში ა. ფურცელაძეს გულისხმობს“.¹⁹

იგრძნო რა დარტყმის სიმწვავე, ა. ფურცელაძე, როგორც გამოცდილი პოლემისტი, შეეცადა ლიტერატურული ნიპილიზმიდან ყურადღება გადაეტანა პისარევის მოძღვრების სოციალურ-პოლიტიკურ, რევოლუციურ მხარეზე, საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ილია ჭავჭავაძე ილაშქრებდა სახელოვანი რუსი მოაზროვნის თვით რევოლუციური სულისკვეთების წინააღმდეგ, და ამით მოეგო ბრძოლა. აი რა მიზანს ისახავდა იგი, როცა წერდა: „რომ ჩავაკვირდეთ კაცთა ცხოვრებას და მეტადრე ჩვენსა და იმ ხალხისას, რომელსაც პისარევი ეკუთვნოდა, ნუთუ ბევრს რასმე ვიპოვნით, რომელიც არ იყოს უარსაყოფელი და ბოლო მოსაღები? რა არ იყო უარ საყოფელი: საზოგადო წყობილება? სარწმუნოება? სახელმწიფო წყობილება? კანონები? ეკონომიური წყობილება?.. სიტყვით, რას გვიჩვენებთ ისეთსა, რომელიც არ იყოს უარ საყოფელი და შესაცვლელი?“ ეს სრული სიმართლე იყო, მაგრამ მას ილია ჭავჭავაძეც ხომ აღიარებდა და, როცა პისა-

რევის შეცდომებზე ლაპარაკობდა, მხოლოდ მის ლიტერატურულ ნიპილიზმზე მიუთითა. „ამ გადაჭარბებულმა უარყოფამა იქამდე მიუშვა სადავე, — წერდა დიდი ილია, — რომ უარპყო თვით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა“.²⁰

პისარევი რომ თავს დაესხა პუშკინს, მაშინ რეალიზმის მტრები დიდ რუს პოეტს, მიიჩნევდნენ რა „წმინდა ხელოვნების“ წარმომადგენლად, შეგნებულად უპირისპირებდნენ გოგოლს, ე. ი. რეალისტურ მიმართულებას. პისარევი ვერ გაერკვა ბრძოლის წყალქვეშა მდინარებაში და, რაკი პუშკინს ჩაეჭიდნენ როგორც „წმინდა ხელოვნების“ დროშას, მოინდომა ძირს დაეცა ეს დროშა, რათა ამით გზა გაეკაფა რეალიზმისათვის რუსულ ლიტერატურაში. ამდენად, პისარევის ლაშქრობას პუშკინის წინააღმდეგ ჰქონდა ერთგვარი გამართლება თუ არა ახსნა მაინც. სრულიად სხვა მდგომარეობა იყო საქართველოში ოთხმოციანი წლების დამდეგს და ამიტომ ა. ფურცელაძის პოზიციას ძნელია რაიმე სხვა ახსნა მოვუძებნოთ, თუ არა ის, რომ თანამოაზრეებთან ერთად, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლავ იმ აზრებს ებლაუჭებოდა, რომლებმაც „კარგა ხანია თავისი

19 მ. დუდუჩავა, ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა, 1960 წ., გვ. 205.

20 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1955 წ., გვ. 92.

დრო და უამი მოიჭამეს, თავისი ჰქმნეს და ჩაილულის წყალი დალიეს“. ²¹

გაცილებით უფრო სწორი პოზიცია ეკავა ანტონ ფურცელაძეს კიტა აბაშიძესთან პოლემიკის დროს. ²² ვრცლად განიხილავს რა ამ პოლემიკას, პროფ. გ. ჯიბლაძე შეჯამებული სახით ასე წარმოგვიდგენს მის არსს: როგორც რევოლუციონერ დემოკრატს, ა. ფურცელაძეს „სრული უფლება ჰქონდა ეთქვა კიტა აბაშიძისათვის: თქვენ მისტიკი ხართ, სანდალა — რეალისტი არის, ამიტომ თქვენ რომ ის გასაკიცხად, საზიზღრად მივაჩნიათ, ეგ „აგრეც უნდა იყოსო“. სანდალა ბურჟეს გმირების გარყვნილების მიზეზს „მოსძებნიდა დღევანდელს სოციალურსა და ეკონომიურს ყოფაში და დაგიყენებდათ მოჩაღს, რომელიც თქვენ ასე გიყვართ: შესცვალეთ ეს გარემოებანი, და გაჰქრებიან ის ბოროტებანიცო... ისევ და ისევ მეცნიერებაში და არა სხვა რაშიმე ეძებთ შვება და ღზენა კაცობრიობისა... „ან მეცნიერების სახელით ანტონ ფურცელაძემ იქვე მკაცრად გააკრიტიკა აგრეთვე რუსული იდეალისტური ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და მისტიკოსი ვოლინსკი“. ა. ფურცელაძის საპასუხო სტა-

ტიის უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ კიტა აბაშიძესთან კამათში მან მშვენივრად დაიცვა პისარევის მოძღვრების რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთება, მატერიალისტურ - რეალისტური შეხედულებანი და პროფ. ა. ნიკოლაძესთან ერთად მიგვაჩნია, რომ მისი „ანტიკრიტიკა“ „რევოლუციურ-დემოკრატიული კრიტიკის შესანიშნავი ნიმუშია“. ²³


ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ ა. ფურცელაძის ლიტერატურულ კრიტიკაში საკმაოდ ძლიერია ნიჰილიზმის ნაკადი, რომ იგი „თავისი „ნილილიზმით“ ხშირად ბრმად გამყოლია პისარევის იდეებისა“. მიუხედავად ამისა, კიტა აბაშიძისაგან განსხვავებით, მას „ჩამოყალიბებულ ნიჰილისტად მაინც ვერ გამოვაცხადებთ“, ნიჰილიზმს ვერ მივიჩნევთ მისი ლიტერატურული კრიტიკის მაგისტრალურ ხაზად, უმთავრესად იმიტომ, რომ იგი ერთმანეთს არ უპირისპირებდა მეცნიერებასა და ხელოვნებას, მთელ რიგ შემთხვევებში ძლევდა ნიჰილისტურ სულისკვეთებას და დაწერა არაერთი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია, რომლებშიც ნიჰილიზმის ნასახიც კი არ არის.

ასეთია, ჩვენი აზრით, ანტონ ფურცელაძისა და დიმიტრი პისარევის იდეური კავშირის ობიექტური სურათი.

21 ი. ჯავახიძე, თხზ., ტ. V, 1955 წ. 88-94

22 ამ პოლემიკის შესახებ დაწვრილებით იხ. პროფ. გ. ჯიბლაძის წიგნი „ხელოვნება და სინამდვილე, ტ. I, 1955 წ., გვ. 516-521.

23 ა. ნიკოლაძე, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, 1954 წ., გვ. 204.



ჟოკა სოკრიძე

სიტყვათა მყარი შენაერთის სტრუქტურის ძირითადი საკითხები

გაბმული მეტყველებისას ადამიანი თავისი ნაფიქრ-ნააზრების გადმოსაცემად ხშირად მიმართავს ისეთ ფრაზებს, რომელთა სემანტიკური შეცნობადობა სრულებითაც არ არის დამოკიდებული მასში შემავალი ცალკეული კომპონენტების კონკრეტულ მნიშვნელობათა ჯამზე. სწორედ აქ ხდება ფრაზაში შემავალი წევრების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან განზოგადებული შინაარსის (მხედველობაში გვაქვს ფრაზეოლოგიური წინადადება — უ. ს.) მიღება, რაც კონკრეტული სინამდვილის მხოლოდ ფორმობრივ გადააზრებას გულისხმობს. ამგვარი, მხოლოდ ფორმობრივად გადააზრებული ფრაზები სიტყვიერი მასალით სულ სხვა საგანზე თუ საგნების ურთიერთმოქმედებაზე მიუთითებს, ვიდრე მათი ლექსიკური მხარე. სხვა სიტყვე-

ბით რომ ვთქვათ, ვამბობთ ეჭოს და ვგულისხმობთ მეორეს.

„ვინ იცის სადამდის მივიღოდა კუჩერის ზრდილობიანი ბაასი, რომ ახალი პასაჟერი არ მოჰმატებოდა მარცხენა ფეხზე ამდგარი ეტლის პატრონს“. (ე. გაბაშვილი).

ამ წინადადებაში „მარცხენა ფეხზე ამდგარი“ არის სიტყვათა მყარი შენაერთი, რომლის სემანტიკურ ეკვივალენტს „მარცხიანი“ წარმოადგენს. როცა საუბრისას მოუბარმა თქვა „მარცხენა ფეხზე ამდგარი“ პატრონო, მაშინ მსმენელმა იგი მართლაცდა „მარცხენა ფეხზე ამდგარი“ ადამიანად კი არ მიიჩნია, არამედ ისეთ ადამიანად, რომელსაც მთელი დღე მაჩივნი“ მოსდის რაღაც მიზეზების გამო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსმენელმა მოუბრის სიტყ-

ვიერი მასალისაგან ფორმალურად სულ სხვა მოქმედების გამომხატველი შინაარსი აღიქვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფრაზის ლექსიკურად სწორი შეცნობის ნიადაგზე მიხვდა იმას, რასაც თვით მოუხბარი გულისხმობდა თავის ნათქვამში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ფრაზაში შემავალი სიტყვების მხოლოდ და მხოლოდ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის გათვალისწინებით მსმენელი წარმოიდგენდა ისეთ ადამიანს, რომელმაც დილას ადგომისას პირველად მარცხენა ფეხი დაადგა ძირს, რაც აზრის დამახინჯებას გამოიწვევდა.

მოვიტანოთ რამდენიმე საილუსტრაციო წინადადება:

„ვისაც ეს ქვეყანა ანებივრებს, ვინც ოქრო - ვერცხლში სცურავს, მან გამოიმეტოს თავი, სამაგიერო მიუზღოს მეფეს და ქვეყანასო“.¹

„ეს მთლიანად ყელის გამოჭრა იქნებოდა ფარნაზისათვის.“

„პატარა შაქრომ სიყვარულით და მინდობით გაჰკრა თავილი გაიოზს“.

გაბმული მეტყველებისას ამგვარ ფრაზებს მოუხბარი მიმართავს იმისათვის, რომ გამოსახატავი შინაარსი გადმოსცეს ჩაც შეიძლება სხარტად, ლაკონურად და ექსპრესიულად. რა თქმა უნდა, ამგვარი განზოგადებული მნიშვნე-

ლობით ნახმარი სიტყვათშენაერთის ხმარების არე ძალზე დიდია, მას ფართო გამოყენება აქვს ცოცხალ მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

ცალკეული სიტყვა-სახელები-საგან გახსხვავებით, სიტყვათა მყარი შენაერთი ყოველგვარი დიფერენცირების გარეშე გაქვავებულ სიტყვიერ ფორმულას წარმოადგენს და ლექსიკურად აღიქმება როგორც ერთი მთლიანი აზრობრივი ერთეული.

თუკი სიტყვათა მყარ შენაერთს შემოაღნიშნული განსაზღვრების მიხედვით განვიხილავთ, მაშინ მასში შემავალი სიტყვების რიგი მყარი და თანაც ერთმანეთისაგან გააუქმებელი უნდა იყოს. კიდევ მეტი, სიტყვიერი ეკვივალენტი ყოველთვის უნდა გააჩნდეს. სიტყვათა მყარი შენაერთის ჩვენს ენულ გაგებას მტკიცედ უჭერს მხარს ხმელინინის ერთ-ერთი შრომა², რომლის მიხედვით ფრაზეოლოგია უნდა ეწოდოს მეტყველების მყარ ქცევათა ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია ენისათვის. მაგრამ, მიუხედავად მტკიცების კატეგორიულობისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დავსვათ ასეთი კითხვა:

შეიძლება თუ არა მყარ შენაერთში სიტყვათა რიგის შეცვლა? ან კიდევ: როგორ გავიგოთ ტერ-

1 მაგალითები აღებულია ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებიდან.

2. Хмелинин, Фразеология ранных фельетонов А. М. Горького

მინი სიტყვათა მყარი შენაერთი?
პასუხისათვის მივმართოთ შე-
მდეგ მაგალითს:

„ოცდასამ წელს რომ მიაბჯენს
ქალი, მერე საქმროს კ ბ ი ლ ს ა რ
უ ს ი ნ ჯ ა ვ ს... — გესლიანობდა
დედაბერი“.

ახლა მყარ შენაერთში „კბილს
არ უსინჯავს“ სიტყვათა რიგი ასე
შევცვალოთ:

— ოცდასამ წელს რომ მიაბ-
ჯენს ქალი, მერე საქმროს არ
უ ს ი ნ ჯ ა ვ ს კ ბ ი ლ ს... — გეს-
ლიანობდა დედაბერი.

როგორც ჩანს, ორივე შემთხ-
ვევაში, მიუხედავად სიტყვათა
რიგის ნებისმიერი შეცვლისა, მა-
თში შემავალმა კომპონენტებმა
ფორმოვრებიდან სხვადასხვა, მაგ-
რამ ლექსიკურად ერთი და იმავე
შინაარსის პირობითად ამსახველი
ცნება („არ იწუნებს“) გამოხატა.

არის შემთხვევა, როცა სიტყ-
ვათა მყარი შენაერთი ფორმოვ-
რივად მართლაცდა მყარია, ე. ი.
სიტყვათა რიგი გაქცევებულია,
სტაბილურია. მათი შეცვლა არ
შეიძლება.

„მავანი რა ისეთი წითელი
კვერცხია, რომ ვეფუროთ!“

ამ წინადადებაში „წითელი
კვერცხი“ საზღვრითი მყარი
შენაერთია, რომლის ინვერსიუ-
ლი წყობით წარმოდგენა ყოვ-
ლად დაუშვებელია, ვინაიდან მისი
შებრუნებული ფორმა თანამედ-
როვე ქართული სასაუბრო მეტყ-
ველებისათვის ენობრივ-სტილის-

ტიკური თვალსაზრისით შეუძლებელი იქნება.

საუბრისას ადამიანი სიტყვებს
ხშირად ხმარობს არაძირითადი
ლექსიკური მნიშვნელობით, რი-
თაც ხდება ამა თუ იმ კონკრე-
ტული სინამდვილის მიმართ შე-
მუშავებული კონკრეტული ცნე-
ბის მხოლოდ ფორმოვრები გან-
ზოგადება, რომელიც სემანტიკუ-
რად იმავე კონკრეტულ სინამდ-
ვილეს გულისხმობს. მაგალითად,
როცა ვამბობთ „პეტრემ პავლეს
თავზე ლაფი გადაას-
ხაო“, ნაშინ ამ განზოგადებული
მსჯელობის ანალოგიით (ე. ი. ას-
ოციაციით) წარმოვიდგენთ ისეთ
პავლეს, რომელიც პეტრემ „შეა-
რცხვინა“. სხვა სიტყვებით რომ
ვთქვათ, ამ ფრაზის — „თავზე
ლაფი გადაასხა“ — საფუძ-
ველზე მოუბრის თუ მსმენელის
ცნობიერებაში თითქმის მისდა-
უნებურად თავს იჩენს „შეარც-
ხვინა“ სიტყვის შინაარსის შემც-
ველი აზრი, როგორც პირველის
მიმართ სემანტიკურად ფარდი
ერთეულით.

შეიძლება თუ არა შედგენილი
ტერმინების მიახლოება სიტყვათა
მყარ შენაერთთან?

საკითხის გასარკვევად მივმარ-
თოთ შემდეგ მაგალითს: „გუშინ
ჩემმა ამხანაგმა ბრმანაწლავის
ოპერაცია გაიკეთა“.

ამ წინადადებაში „ბრმა ნაწლავი“ არის შედგენილი ტერმინი,
ვინაიდან სიტყვა „ბრმა“ იმდენა-
დაა უშუალოდ დაკავშირებული

„ნაწლავთან“ და სიტყვა „ნაწლავი“ კი „ბრმასთან“, რამდენადაც ცალცალკე იმ შინაარსს ვერ გადმოსცემენ, ჩასაც ეს ორი სიტყვა ერთად.

იმისათვის რომ ახალი შინაარსი მივიღოთ, აუცილებელია მათი დაწყვილება და ერთად ხმარება. ამგვარი სემანტიკურად ერთმანეთისაგან განუშორებელი წყვილის ცალეულები ადამიანის ცნობიერებაში სტაბილურად აღიქმება. ვინაიდან სიტყვა „ბრმა“ ასოციაციით გვიჩნდება წარმოდგენა „ნაწლავის“ კონკრეტულ სახეობაზე (ე. ი. „ბრმა“ უშუალოდ უკავშირდება მხოლოდ „ნაწლავს“ და სხვა მეტს (აზაფერს), ამიტომ ამ ორი ერთეულის ამგვარი დაწყვილებით ავსახავთ წარმოსადგენ კონკრეტულ სინამდვილეს.

როგორც ჩანს, განსხვავებით სიტყვათა მყარი შენაერთისაგან, სინტაქსურ წყვილში შემავალ სიტყვებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ძირითადი ლექსიკური მნიშვნელობა და, პირველისაგან ოდნავი განსხვავებით, აღიქმებიან როგორც რომელიმე კონკრეტული სინამდვილის გამომხატველი ერთი მთლიანი აზრობრივი ერთეული. ოდნავი განსხვავებითო, ვამბობთ იმიტომ, რომ წყვილში შემავალი ცალეული „ბრმა“ მიუთითებს იმაზე, რომ ლაპარაკია მხოლოდ ბრმა ნაწლავზე და არა, ვთქვათ, თორმეტგოჯა ნაწლავზე. სხვაგვარად

რომ ვთქვათ, იგი, ერთი მხრივ, კონკრეტულ სინამდვილეს ასახავს, ხოლო მეორე მხრივ, ამ კონკრეტულ სინამდვილეს განსაზღვრავს რაიმე ნიშნის თუ ნიშნების მიხედვით, ჩასაც სიტყვათა მყარი შენაერთი მოკლებულია. ე. ი. ამგვარად შედგენილი ტერმინი ასახელებს კონკრეტულ სინამდვილეს მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, შედგენილი ანუ რთული ტერმინი, ჩვენი აზრით, ფრაზეოლოგიური, ანუ სიტყვათა მყარი შენაერთი არ იქნება, ვინაიდან იგი მოკლებულია არაძირითად ლექსიკური მნიშვნელობით ხმაზებას. თუმცა ისინი (მხედველობაშია „ბრმა ნაწლავი“ და მისი მსგავსი მაგალითები), როგორც პროფ. ლ. კვაჭაძე¹ აღნიშნავს, რამდენადმე უახლოვდებიან იდიომებს (ფართო გაგებით ფრაზეოლოგიზმს).

მსგავსად სიტყვათა მყარი შენაერთისა, შედგენილ ტერმინში შემავალი სიტყვები ერთმანეთთან გარკვეული სინტაქსური კავშირით არიან გაერთიანებული და თანაც საჭიროებისდამიხედვით შეუძლიათ გრამატიკულად ფორმა იცვალონ.

1 ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, ლექსიკა, ფონეტიკა, გრაფიკა, მორფოლოგია მართლწერის საკითხებითურთ, თბ., 1961, გვ. 8.

შედგენილი, ანუ რთული ტერმინი მიღებულია მასში შემავალი წევრების ცალ-ცალკე თავისუფალი შესიტყვება-გაფორმებით და აღნიშნავს რეალურად არსებულ საგანს, რომლის მიმართ იგი დასახელებას წარმოადგენს და აზრობრივად მთლიანია. აქ მთელის მნიშვნელობა არ უტოლდება მასში შემავალი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შედგენილი ტერმინის საერთო აზრი დამოკიდებულია მასში შემავალი წევრების არა მნიშვნელობათა ჯამზე, არამედ მათ მტკიცე სინტაქსურ კავშირზე. ამიტომ ვამბობთ „ორი ლენინის ორდენი“ და სხვ.

ქართულ კაზმულსიტყვაობაში გვხვდება შემთხვევები, როცა შესიტყვება (ფრაზა) წინადადების ამა თუ იმ როლში გამოდის:

1. შემასმენელი (მარტივი ან შედგენილი) გადმოცემა უნდა ფრაზეოლოგიზმით:

მაღლობა გამჩენს, რომ გადამარჩინეო! — ჩუმაღ სთქვა დედამ და სული განუტევა.

სული განუტევა = მოკვდა.

გაჩუმდი, ვინმე ყურს მოკრავს. ყურს მოკრავს = გაიგებს.

II. ქვემდებარე გადმოცემულია ფრაზეოლოგიზმით:

არა, ზედმეტჯერ თვალში შეჩხირება მაინც არ ვარგა.

თვალში შეჩხირება = ნახვა, შეხვედრა.

III განსაზღვრება (ატრაბუტული) გადმოცემულია ფრაზეოლოგიზმით:


არც შენ მყავხარ ნეკის მლოკავი გოგონა.

ნეკის მლოკავი = პატარა.

ამათ (და სხვა მსგავს მაგალითებს), რომლებიც რაღაც გარკვეული ნიუანსებით განსხვავდებიან წინადადების ბუნებრივი წევრებისაგან, ჩვენი აზრით, უნდა ეწოდოს წინადადების ფრაზეოლოგიური წევრები. თუკი ამ მოსაზრებას მხარს დავუჭერდით, მაშინ გვექნებოდა: „ფრაზეოლოგიური შემასმენელი“, „ფრაზეოლოგიური ქვემდებარე“ „ფრაზეოლოგიური დამატება“, „ფრაზეოლოგიური განსაზღვრება“ და „ფრაზეოლოგიური გარემოება“. სიტყვათა მყარი შენაერთის ჩვენეულ გაგებას მტკიცედ უჭერს მხარს ჩვეულებრივი სინტაქსური ერთეულებისა და სინტაგმებისაგან განსხვავების აუცილებლობა, რაც მისი ფორმირივი მხრითაა გამოწვეული. ეს იწინავს იმას, რომ ფრაზეოლოგიური წევრის სახით წარმოდგენილი სიტყვათა მყარი შენაერთის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა რამდენადმე იჩრდილება. ერთმანეთში ღრმად იჭრებიან და ადამიანის ცნობიერებაში აღიქმებიან, როგორც აზრობრივად ერთი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა. ამიტომ შენაერთში შემავალი ცე-

ლკეული ფორმების დანაწევრებული სახით გაგება ეს-ესაა თითქოსდა თვალწინ ვგეკარგება და ამის გამო ჩვენს ცნობიერებაში იჭრება მათი შესაბამისი ტოლფარდი. ამ გარემოებით სარგებლობს ერთსიტყვიანი ეკვივალენტი (ჩვენს შემთხვევაში) და ასახავს იმ რეალურ სინამდვილეს, რომელსაც სიტყვათა მყარი შენაერთი გულისხმობს. სხვა სიტყვე-

ბით რომ ვთქვათ, ერთსიტყვიანი ეკვივალენტს აღქმის ძალა ტემა იმდენად, რამდენადაც მისი ფარდი სიტყვათა მყარი შენაერთის ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობა იჩრდილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთსიტყვიანი ეკვივალენტის ხმარება გამოირიცხული იქნება და სიტყვისიტყვითი მნიშვნელობისაგან განზოგადებულ აზრს ვერ მივიღებთ.



ამ წერილებს ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა

თითქმის ერთი საუკუნე გავიდა რუსეთ - თურქეთის 1877-1878 წლების ომიდან და მხოლოდ ახლა გამოიცა ცალკე წიგნად ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი წერეთლის პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც ასახულია ამ ომის მიმდინარეობა, დასავლეთ საქართველოს, უმთავრესად შავი ზღვის სანაპირო ზოლის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა, მაშინდელი პოლიტიკური ვითარება.

ამ წერილების უმეტესობა დაწერილია უშუალოდ ფრონტის ხაზზე, სადაც გ. წერეთელი გულდასმით ადევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას, ბრძ-

გიორგი წერეთელი, პუბლიცისტიკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1973. წერილები შეკრიბეს, თარგმნეს და გამოსაცემად მოამზადეს შ. მეგრელიძემ და შ. ხანთაძემ.

ოლის პერიპეტეებს, როგორც პეტერბურგის ლიბერალურ გაზეთ „გოლოსის“ სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი.

ეს წერილები წარმოადგენს არა მარტო ისტორიულ მასალას, რომელიც შექსა ჰყენს კერძოდ ჩვენთვის, ქართველებისათვის დიდად საინტერესო საკითხებს, არამედ თვით ავტორის სოციალურ და ეროვნულ შეხედულებებსაც, მის ოპიენტაციას საქართველოს მომავლის განსაზღვრაში. გ. წერეთელი იმთავითვე რუსეთს თვლიდა იმ ერთადერთ რეალურ ძალად, რომელსაც შეეძლო თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებული ჩვენი მიწების შემოერთება და ამ გზით ქართველი ხალხის ეროვნული სხეულის გამოვლენა. იგი მრავალმხრივ აშუქებს დაპირისპირებულ ძალთა შესაძლებლობებს, მხედველობაში იღებს მათ ეროვნულ წარმოშობას,

ლკეული ფორმების დანაწევრებული სახით გაგება ეს-ესაა თითქოსდა თვალწინ ვვეკარგება და ამის გამო ჩვენს ცნობიერებაში იჭრება მათი შესაბამისი ტოლფარდი. ამ გარემოებით სარგებლობს ერთსიტყვიანი ეკვივალენტი (ჩვენს შემთხვევაში) და ასახავს იმ რეალურ სინამდვილეს, რომელსაც სიტყვათა მყარი შენაერთი გულისხმობს. სხვა სიტყვე-

ბით რომ ვთქვათ, ერთსიტყვიან ეკვივალენტს აღქმის ძალა ემატება იმდენად, რამდენადაც მისი ფარდი სიტყვათა მყარი შენაერთის ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობა იჩრდილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთსიტყვიანი ეკვივალენტის ხმარება გამოირიცხული იქნება და სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან განზოგადებულ აზრს ვერ მივიღებთ.



ამ წერილზეს ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა

თითქმის ერთი საუკუნე გავიდა რუსეთ - თურქეთის 1877-1878 წლების ომიდან და მხოლოდ ახლა გამოიცა ცალკე წიგნად ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი წერეთლის პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც ასახულია ამ ომის მიმდინარეობა, დასავლეთ საქართველოს, უმთავრესად შავი ზღვის სანაპირო ზოლის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა, მაშინდელი პოლიტიკური ვითარება.

ამ წერილების უმეტესობა დაწერილია უშუალოდ ფრონტის ხაზზე, სადაც გ. წერეთელი გულდასმით აღევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას, ბრძ-

ოლის პერიპეტიებს, როგორც პეტერბურგის ლიბერალურ გაზეთ „გოლოსის“ სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი.

ეს წერილები წარმოადგენს არა მარტო ისტორიულ მასალას, რომელიც შექსა ჰყენს კერძოდ ჩვენთვის, ქართველებისათვის დიდად საინტერესო საკითხებს, არამედ თვით ავტორის სოციალურ და ეროვნულ შეხედულებებსაც, მის ორიენტაციას საქართველოს მომავლის განსაზღვრაში. გ. წერეთელი იმთავითვე რუსეთს თვლიდა იმ ერთადერთ რეალურ ძალად, რომელსაც შეეძლო თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებული ჩვენი მიწების შემოერთება და ამ გზით ქართველი ხალხის ეროვნული სხეულის გამოვლენა. იგი მრავალმხრივ აშუქებს დაპირისპირებულ ძალთა შესაძლებლობებს, მხედველობაში იღებს მათ ეროვნულ წარმოშობას,

გიორგი წერეთელი, პუბლიცისტიკა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1973. წერილები შეკრიბეს, თარგმნეს და გამოსაცემად მოამზადეს შ. მეგრელიძემ და შ. ხანთაძემ.

სარწმუნოებას, სოციალურ მდგომარეობას და ყველაფრის აწონდაწონვის შემდეგ განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგიანობას. ასე, მაგალითად, 1878 წლის 18 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში იგი აღნიშნავს, რომ „არც აჭარლებს და არც ქობულეთლებს, არც ლაზებს არსებითად არ შეუძლიათ რუსეთის რაიმე საწინააღმდეგო ჰქონდეთ“... (გვ. 202). ეს მოტივი წითელ ზოლად გასდევს სარუცენში კრებულში მოთავსებულ კოჩესკონდენციებს, რომლებიც მოიცავს 1877 წლის ივნისიდან მომდევნო წლის აგვისტომდე განვლილი პერიოდის ამბებს, აგრეთვე დამატებად მიცემულ, გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილებს: „ბულგარია“, „აღმოსავლეთის პოლიტიკური აზრი“, „არეულობის მიზეზი აჭარა-ლივანაში“, „მიეშველეთ ქობულეთლებს“, „ბულგარია განთავისუფლებულია“, „ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა“.

წიგნის შესავალში აღნიშნულია, რომ თურქთა ბატონობისაგან სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებას ჩვენი ხალხი თავის სისხლხორცეულ საქმედ თვლიდა. ამიერკავკასიის ფრონტზე რუსეთის ჯარების მხარდამხარ იბრძოდა 22 ათასამდე ქართველი მილიციელი. ომის მსვლელობაში ცალკე გამოიყო ბათუმის მიმართულებით მოქმედი რაზმი, რომელსაც ჯერ ოზურგეთის, შემდეგ კი ქობულეთის რაზ-

მი ეწოდებოდა. ამ რაზმს საქმე ჰქონდა თურქეთის ქართველებთან, რომლებიც დიდად გააზარა თურქეთისათვის ომის გამოცხადებამ. ისინი, გ. წერეთლის მოწმობით, ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს კითხულობდნენ: თუკი „იარაღს აღმარავედნენ თურქების წინააღმდეგ, რუსეთის მთავრობა მიიღებდა თუ არა თავის მფარველობაში და შეუერთებდა თუ არა მათ რუსეთის ქართველებს?“ (გვ. 57).

ომის გამოცხადების შემდეგაც თურქეთის ქართველები რუსთა მხედრობასა და ქართველთა მილიციას დიდხანს სთავაზობდნენ სამსახურს, იწვევდნენ „გაურჯელად დაეკავებინათ ციხისძირი და ბათუმი“, მაგრამ ეს ხელსაყრელი მომენტი რატომღაც ხელიდან გაუშვა სარდლობამ და აღმოჩნდა დერვიშ-ფაშას ჯარების პირაპირ. გ. წერეთელი ასაბუთებს, რომ „ამ მხარეში ომისათვის თურქები სრულიად მოუმზადებელი იყვნენ. ციხისძირის სიმაგრეები სრულიად შეუიარაღებელი იყო, არავითარი თავდაცვითი სამუშაოები იქ დამატებით არ ჩატარებულა; თურქეთის ჯარი ბათუმის რაიონში ტრაპიზონამდე მთლიანად იტვირთა ითვლიდა 14 ბატალიონ რედიფს, დაახლოებით რვა ათას კაცამდე. მაგრამ არც ეს ძალები იყვნენ სათანადო საბრძოლო მდგომარეობაში. ომისათვის მათი მოუმზადებლობა იმდენად დიდი

იყო, რომ მთელი ქობულეთის ოლქი წინააღმდეგობის გარეშე დაგვითმეს. უკვე ყველა აღიარებს იმ ფაქტს, რომ ვიდრე ჩვენი ჯარები არ მიადგნენ კვირიკეს სიმაღლეებს, მათ თურქეთის რეგულარული ჯარი თვალითაც არ უნახავთ. ქობულეთის სანჯაყის მოსახლეობის ჩვენდამი აშკარად კეთილგანწყობის ვითარებაში... რაზმისათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა, თუ კი უნარს გამოიჩენდა, ესარგებლა შემთხვევით და დასაწყისშივე, მნიშვნელოვანი ძალებით, თითქმის გასტროლის გარეშე, კვირიკეს სიმაღლემდე მისულიყო, შემდეგ ერთი დარტყმით ბოლო მოეღო ციხისძირის სიმაგრეებისათვის, ბათუმში შეჭრილიყო და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ თურქეთის ჯავშნოსნებისათვის ეჭრათადერთი საოპერაციო ნავსადგური წაერთმია“ (გვ. 41-42). ეს საკმაოდ ვრცელი ამონაწერი მოწმობს, რომ გ. წერეთელი კარგად იცნობდა საომარი მოქმედების რაიონს, მოწინააღმდეგის ძალებს, მოსახლეობის განწყობილებას და ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მტერზე გამარჯვების ყველაზე უფრო რაციონალური, ეფექტური გზა.

ქობულეთის რაზმის უმოქმედობა რამდენადმე განსაზღვრავს უგზოობამ. გზები „პირველყოფილ მდგომარეობაშია“, წერს „გოლოსის“ კორესპონდენტი,

ოზურგეთიდან მუხანგატისკენ მიმავალ გზაზე მუხლამდე ტალახში მოგვიხდაო სიარული. ცხენებს თურმე მუცლამდე წვდებოდა ტალახი. ახალი წლის პირველ დღეებში საჩალვადრო ცხენები ტვირთით ხუტუბნისკენ გაუზგიოთ და ოთხი მათგანი ტალახში ჩაფლულა და დამხრჩვალა.

ვინც ახლანდელ ხუტუბანს იცნობს, ალბათ ვერ წარმოიდგენს, რომ 1878 წელს აქ თვით იმ სახლშიც კი, სადაც გენერალი შელემეტიევი იდგა, ფანჯრებში შუშის მაგიერ ჩაწებებული იყო ქონით გაყდენილი ქაღალდები. მწვავედ განიცდიდნენ სურსათ-სანოვავის ნაკლებობას, არ იყო მარილი, თივას ვერ შოულობდნენ. ამ სიდუხჭირით სარგებლობდნენ ყველა ჯურის არამზადები და ჯიბეს ისქელებდნენ. ასე, მაგალითად, მოიჯარე ჩალვადრებისგან ცხენს დაიჭირავენდა თვეში 18 მანეთად, ხაზინიდან კი საამისოდ 28-35 მანეთს იღებდა; საუენ შემას ყიდულობდა 18 მანეთად, სახელმწიფო სალაროდან კი გამოჰქონდა 28 მანეთი; ცენტნერი სიმინდი ღირდა 4 მანეთი, ის კი 7 მანეთს იწოდებდა.

გ. წერეთელი 13 იანვრით დათარიღებულ კორესპონდენციაში აღწერს ერთ კურობულ შემთხვევას. ობერკონტროლიორს შეუმოწმებია საჩალვადრო ცხენების რაოდენობა. დებულების თანახმად ქობულეთის რაზმს უნდა

ჰყოლოდა შვიდასი ცხენი, ჰყოლია კი მხოლოდ ოთხასი. ამ მდგომარეობიდან თავის დასაძვრენად პირველად გადათვლილი ასი ცხენი იქვე ახლოს ხრამში ჩაუყვანიათ და გარშემოსავლელი გზით კვლავ გამოუყვანიათ მოედანზე. ასე მოქცეულან კიდევ ორჯერ და ოთხასი ცხენი შვიდასად გაუსაღებიათ. ასეთი მაქინაციებით მდიდრდებოდნენ სინდისგარეცხილი ადამიანები, მაშინ, როცა პატრიოტები სისხლისღვრიდნენ და სიცოცხლეს სწირავდნენ ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნების განხორციელებას.

დერვიშ-ფაშას არმიასთან ბრძოლაში ბევრი რუსი მხედარი და ქართველი მილიციელი დაიღუპა, ბევრიც დაიჭრა. გ. წერეთელი მოგვითხრობს „თურქეთის აღმშოფოთებელ სისასტიკეზე ჩვენი დაჭრილების მიმართ“. იმ საშინელ ამინდში, თოვასა და ყინვაში დაჭრილებს ჩექმასა და ფორმას ხდიდნენ და თითქმის დედამობილა ტოვებდნენ მინდორში, ოღნავი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი კლავდნენ.

გ. წერეთელს არც ღირსება დაუფუარავს მოწინააღმდეგისა: „ჩვენ როგორც გვეგონა, ისეთი ველური ურდოები არ ყოფილან ოსმალს ჯარები. იმათ სალდათს სცო-

დნია დისციპლინა და ევროპული თოფის ხმარება. იმათ მხედართმთავრებს უდევნებიათ თვალ-ყური ევროპის სწავლა-განათლებაზე. გულდასმით უსწავლიათ ევროპული სამხედრო წესი და სამხედრო მეცნიერება.

მართლაც და ძალიან გამაგრდნენ ოსმალები. როგორც გვეგონა, ისე ადვილად ველარ დავრიეთ ხელი, ვერ გამოვდევნეთ ისინი მიწის სანგრებიდან, ძალიან გავვიჭირდა იმათი გატეხა. ორი თვის მაგიერად ერთ წელზე მეტი გაგრძელდა იმათთან ბრძოლა. ბევრი სისხლი დავღვარეთ ამ ბრძოლაში, ბევრი ხარჯი გავსწიეთ, ბევრი სახელგანთქმული საქართველოს წარჩინებული ვაჟკაცი დაეცა უდროოდ ბრძოლის ველზე“ (გვ. 218-219).

მაგრამ ამ ომის შედეგით ხარობდა მთელი საქართველო: აჭარა კვლავ დაუბრუნდა დედასამშობლოს და ამიერიდან საიმედოდ ეზმებოდა საერთო ეროვნულ ფეხხულში.

როგორც შესავალი წერილის ავტორები აღნიშნავენ, სარეცენზიო კრებულში მოთავსებული კორესპონდენციები ჩვენი მეცნიერებისათვის სრულიად უცნობ მასალას არ წარმოადგენს, მაგრამ გაზეთ „გოლოსის“ ბიბლიოგრაფიული იშვიათობის გამო ეს კორესპონდენციები მკითხველისათვის ადვილი ხელმისაწვდომი არაა. სწორედ ამ მიზეზით ჩვენ

საშუალება არ მოგვეცა თარგმანი შეგვეჩერებინა დედანთან. ამიტომაც მათს ადეკვატურობაზე არაფერს ვამბობთ, ოღონდ გვინდა აღვნიშნოთ ქართულ ტექსტში შემჩნეული ზოგიერთი უხერხულობა.

წიგნის 141-ე გვერდზე ვკითხულობთ: „თანამგზავრი ქარი ძლიერ ბერავდა ფელუკის აფრას, და ჩვენც როგორც შურდული, ისე მივექანებოდით ზღვის სარკისებურ ზედაპირზე.“ აქ რამდენი სიტყვაც არის, თითქმის იმდენივე უხერხულობაა: „თანამგზავრი ქარი“ ალბათ ზუზუგის ქარია (попугайный ветер), რომელიც კი არ „ბერავს ფელუკის აფრას“ (ჩეზინის ბალიში ან ბურთი ხომ არ არის!), არამედ დაბერავს („ჩემს გემის აფრას სამშვიდობო ქარი დაბერავს“ — ივ. მაჩაბელი). არც ამდენი ფუჭი მრავალსიტყვაობა იყო საჭირო: „როგორც შურდული, ისე...“ შეიძლებოდა გამოგვეხატა ერთი სიტყვით — შურდულივით. „სარკისებურ ზედაპირზე მივექანებოდით“ — ესეც ძალდატანებული ფრაზაა.

იმავე გვერდზე, ცოტა ქვემოთ წერია: „ზღვიდან შესაძლებელი იყო მათ შორის დიდებული ფოთლოვანი და გიგანტური ტყით დაფარული ხეობების შემჩნევა“. აქ ძნელია გაარკვიო, რომელია დიდებული და გიგანტური, ტყე თუ ხეობა. გიგანტური არც ტყეს მოერგება და არც ხეობას. ასეთ

ენობრივ გამოცანას მკითხველი ამ წიგნში არაერთგან შეხვდება.

აი, ზოგი მათგანი:

„მისი გამობრაძმედილი, შავგვრემანი, ხანში შესული სახე შემკული იყო თეთრი, როგორც მთვარე, ჭაღარა წვერით“ (გვ. 164).

„როგორც ღაღლა, სიფრთხილედ გადავიქეცი და საკუთარი პიროვნებისადმი ყურადღებაში ჩავეფლე“ (გვ. 169).

„ბოც-თეფეს პლატოდან ბრწყინვალე ხედი იშლება ქალაქ ტრაპიზონზე, რომელიც ზღვის უსაზღვრო სივრცეზე თავისი ბაღების მდიდარ მწვანეშია ჩაფლული“ (გვ. 183).

„ასეთი ზრუნვა და დიდი ხარჯები ქრისტიანული სასაფლაოს მოწყობაზე მიზნად ისახავს დაიცვას მათი მიცვალებულები მაჰმადიანი ყაჩაღების მძარცველური თავდასხმებისაგან, რომელთა მიერ არაერთხელ გაითხარა საფლავები, გაიძარცვა მიცვალებულები ძვირფასი ვერცხლის და ოქროს ნივთებისაგან, ხშირად ტანსაცმელისაგანც კი“ (გვ. 189-190).

გ. წერეთელი ქართულად ზულუბრალოდ იტყოდა — მეშვიდე დღეა ცხელი კერძი არ მიჭამიაო, მთარგმნელები კი მას ასე ალაპარაკებენ: „მეშვიდე დღეა ცხელი საჭმელის გარეშე ვარ“ (გვ. 112). ასეთივე უხერხულობა გვხვდება 209-ე გვერდზე: „იმედი მაქვს რედაქცია ამ წერილსაც არ დატოვებს პასუხის გარეშე“.

მთარგმნელებს სხვა ენის ფორმები პირდაპირ აქვთ მექანიკურად გადმოღებული: „იალლუთი თურქული საჭმელია, დამზადებული თავლსა და კარაქზე“; „იგი მინბაშის ჩინში იყო“, „ჩაცმული მეტად არასახარბიელო ფორმაში, გაცვეთილ ფეხსაცმელებსა და შალის ჭრელ წინდებში“; „იმპროვიზირებული“ (იმპროვიზებულის ნაცვლად), „მაცივილიზირებელი“ (ნაცვლად მაცივილიზებელისა) და სხვ.

ზოგი გეოგრაფიული და სხვა სახელიც ქართულად სწორად არ არის გადმოტანილი. რამდენიმე ადგილას შეგვხვდა „ჩახათის მთები“ (ჭახათის მთები), „გამხმარი ხილი“ (ხმელი ხილი — сушеные продукты), „ზაპტიები“ (ზაფთიები), „ფესკა“ (ფესი).

დედანთან შედარება, ალბათ, უფრო მეტ ხარვეზებს გამოავლენს.

კარგი იქნებოდა, წიგნს დართოდა ზოგიერთი განმარტება ცალკეული ისტორიული წყაროების, გეოგრაფიული სახელებისა და პიროვნებათა შესახებ. ეს დღევანდელ მკითხველს გაუადვილებდა გ. წერეთლის მიერ მოწოდებული ცნობებისა თუ შენიშვნების სწორად გაგებას.

ერთგან გ. წერეთელს მოაქვს ქსენოფონტეს ცნობა იმ ქართველი ტომების შესახებ, რომლებთანაც მას ბოძოლა მოუხდა მცირე აზიიდან ათი ათასი ბერძენის უკან დახევის დროს. იგი წერს,

რომ ბერძნებმა მდინარე ფაზისის ნაპირებს მიაღწიესო. ამ ადგილას (გვ. 160) გ. წერეთელს სქოლიოში აღნიშნავს, რომ აქ იგულისხმება მდინარე ჭოროხი, რომელიც ძველი გეოგრაფებისათვის ცნობილია ბოასის ან ფაზისის სახელწოდებითო. აქ ნამდვილად საჭირო იყო მკითხველის გარკვევა, რომ ძველი გეოგრაფების ცნობები „ფაზისის არმენიიდან მომდინარეობის“, „მოსხიის მთებიდან გადმონთხევის“ შესახებ არ არის მართებული, რომ ყველა ძველი გეოგრაფი არ იხსენიებდა ჭოროხს ფაზისის სახელით. ფილოსოფოს არისტოტელესთვისაც კი გარკვეული იყო, რომ ფაზისი (რიონი) მოდის კავკასიის მთებიდან და ამიტომ არ შეიძლება ის იყოს ჭოროხი.

ასევე განმარტებას მოითხოვს საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის ურთიერთობის, თურქეთისადმი „ფისკალური მორჩილების“, „სტამბოლის რეგოლაციისა“ და „მიდპატ-ფაშას კონსტიტუციის“, „ოსმალეთის საბრძანებლოში სარწმუნოებითი გარჩევის“ აკრძალვის, ბულგარეთის მიმართ ინგლისის მთავრობის „დიდი თანაგრძნობის“ და სხვა საკითხები. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ამ კრებული კომენტარებული გამოცემა.

ახლანდელ გამოცემას იმდენი ხარვეზი აქვს და ამასთან მისი ტირაჟიც ისე მცირეა (ათასი ცა-

ლი მარტო აჭარის ქალაქებსა და რაიონებს არ ეყოფოდა, საქწიგნის განყოფილებას კი ერთი უგზემპლარიც არ მიუღია), რომ აქედანვე უნდა ვიზრუნოთ ახალ გამოცემაზე.

დასასრულ გამომცემლობის ყურადღება გვინდა მივაქციოთ თანამემამულეთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში იმავე რუსულ გაზეთ „გოლოსში“

გამოქვეყნებულ წერილებს, რომელთა ავტორია გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი. ეს წერილები უკვე შეკრებილია და ინახება აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმში. სასურველია მათი დასაბეჭდად მომზადება და სამზეოზე გამოტანა. ამ წერილებსაც ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა.

ა. ფუტბარაძე.

კეთილი სიტყვა სიკეთის მთესველზე

ამ ნაშრომს* რომ ვეცნობოდით, უნებლიეთ გაგვახსენდა გამოჩენილი ქართველი პოეტის ალექსანდრე აბაშელის სიტყვები ლექსიდან „ახალგაზრდებს“: „მოდით, თქვენს ჩირაღდნებთან ჩემი ჭრაქიც ავანთო, იქნებ მეც გავანათო მიწის ერთი ნაჭერი“.

ხარიტონ (ხასან) კომახიძის, ამ უსწავლელი, მაგრამ ნიჭიერი კაცის პოეტური სიტყვა ერთბაშად არ აბრიალებულა და არ გადაუნათებია სივრცეები. იგი „მიწის ერთ ნაჭერზე“ გარკვეული სიციხილური წრის ადამიანებს სულში

ცეცხლს უნთებდა, გონებას უნათებდა და საბჭოური ცხოვრების, ახალი საზოგადოების დამკვიდრებას ემსახურებოდა.

შეიძლება პარადოქსადაც კი მოგვეჩვენოს, რომ ხ. კომახიძე ოცნას წლებში თავისი პრიმიტიული ლექსებით უფრო უკეთ უბამდა მხარს ახალ ცხოვრებას, ვიდრე ახლანდელ სალექსო ტექნიკაზედმიწევნით დაუფლებული ზოგი ჩვენი ახალგაზრდა პოეტი თანამედროვეობას, ამასთან რაოდენ მოკრძალებული, თავაზიანი და უპრეტენზიო იყო, ბოდის უხდიდა მკითხველს — უსწავლელი ვარ და თუ რამე ისე ვერ ვთქვი,

გ. ბაბილოძე, ხარიტონ (ხასან) კომახიძე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1973.

როგორც ამ ხანას ეკუთვნის, მო-
მიტევო.

ახალმა ხანამ ახალი ამოცანები
დააყენა ხელოვნების, კერძოდ
მწერლობის, წინაშე და მათ გა-
დასაწყვეტად ახალ ძალებს მოუ-
ხმო, ფართო შემოქმედებით სარ-
ბიელზე გამოიყვანა ხალხის წილ-
ში ფესვგადგმული ნიჭიერი ადა-
მიანები, რომლებსაც მხატვრული
ლიტერატურა მიაჩნდათ საზოგა-
დოებრივი ყოფის გარდაქმნის
მნიშვნელოვან საშუალებად და
წინა პლანზე აყენებდნენ მოქალა-
ქეობრივ მოტივებს, დიდი აკაკის
ენით რომ ვთქვათ, გულით ეწა-
დათ „კაცობა და არა ბუღბუღო-
ბა“.

სწორედ ამგვარ „კაცობას“ ელ-
ტვოდა ხ. კომახიძე და თავის ლე-
ქსებში ხალხის გულისთქმას გვა-
მცნობდა, მის სატიკვარსა და საზ-
რუნავს გვიმხელდა. იგი კარგად
გრძნობდა, რომ აჭარას ისტორი-
ული ბედუქუდმართობის გამო
საქართველოს სხვა კუთხეებისა-
გან განსხვავებული კირვარამიც
აწუხებდა და ამას უსათუოდ უნ-
და ეჩინა თავი პოეტურ სიტყვა-
ში.

თურქთა ბატონობისაგან განთა-
ვისუფლების შემდეგაც ცარიზმის
მოხელეები აჭარის მოსახლეობას
არ აძლევდნენ იმის უფლებას,
რომ სწავლა-განათლება ქართულ
ენაზე მიეღოთ: „თქვენ თურქები
ხართ და თუ გინდათ თურქულ

სკოლებს გაგიხსნითო“. ერთგუ-
ლი გრძნობის ამგვარი შელახვა,
სარწმუნოებრივი განსხვავე ბის
ნიადაგზე აღმოცენებული ყო-
ველგვარი უსიამოვნება, რა-
საც საფუძვლად ედო უშეც-
რება, დიდად აღონებდა ხ. კო-
მახიძეს და თავისი სიტყვის
მახვილს სწორედ ამ უშეცრების
წინააღმდეგ მიმართავდა, სწავლა-
განათლებას თვლიდა სარწმუნო-
ებრივი განკერძოებულობისა და
უნდობლობის აღმოფხვრის, ადა-
მიანთა შორის მეგობრული ურ-
თიერთობის, სიყვარულის, პატი-
ვისცემის დამკვიდრების, სამშო-
ბლოს ეკონომიური და კულტუ-
რული აღორძინების მძლავრ სა-
შუალებად.

მან აღასრულა ის, რის აღსრუ-
ლებაც ძალუძდა; ხალხური შაი-
ირით ემუსაიფებოდა ფუხარა
ხალხს ძალიან უბრალოდ, მარტი-
ვად, გასაგებად და ამით გაიკვლია
გზა მკითხველის გულისკენ. 1928
წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა
მისი ლექსები და მოთხრობები.
ამ კრებულის წინასიტყვაობაში
ნათქვამია, რომ ხ. კომახიძის წი-
გნში ბევრად მეტია ფუხარული
სიაზაბე და მხურვალეობა, ვინა-
ფ დიდსა და ხელოვან მგოსნის ფი-
რუზოვან სიტყვებშიო... იგი მხა-
ტვრული ლიტერატურის სარბიე-
ლზე ერთ-ერთი წინააკაცია, რომე-
მელმაც უფრო წელმაგარი ახალი

თაობისთვის ნიადაგი უნდა შე-
მზადდეს.

უფრო მოგვიანებით კრიტიკოს-
მა შოთა ქურიძემ თავის ნაშრომ-
ში „მხატვრული სიტყვის განვი-
რება აჭარაში“ მოგვცა ხ. კომა-
ხიძის საკმაოდ სრული და მკა-
ფიო ლიტერატურული პორტრე-
ტი.

ახლაჩან გამომცემლობა „მეც-
ნიერებაჲ“ მკითხველს მიაწოდა
გრიგოლ ბაბილოძის ნაშრომი,
რომელშიც განხილულია ხ. კომა-
ხიძის პედაგოგიური შეხედულე-
ბები.

სარეცენზიო წიგნის ავტორი
ხ. კომახიძის ლექსებსა და მოთხ-
რობებში პოულობს საღ აზრებს
მშრომელი მასების, განსაკუთრე-
ბით კი ახალგაზრდობის კომუნის-
ტური სულისკვეთებით აღზრ-
დის, სწავლა-განათლების, მასე-
ბის პოლიტიკური გათვითცნობი-
ერების შესახებ, და ასევე, რომ
იგი გვევლინება როგორც წინათ
დაბეჩავებული ხალხის გონებრი-
ვი აღზევების დაუცხრომელი მქა-
დაგებელი, „ცოდნისა და სიკეთის
უანგარო მთესველი, ახალი ადა-
მიანის სულიერი სამყაროს ჩამო-
ყალიბებისათვის დაუღალავი მე-
ბრძოლი და პედაგოგიური მოაზ-
როვნე“. (გვ. 5).

ხ. კომახიძის იდეალი იყო
ცრურწმენისაგან თავისუფალი,

შრომისმოყვარე, ყოველმხრივ გან-
ვითარებული, სულით მდიდარი
პიროვნება. იგი სიტყვით თუ სა-
ქმით შეუპოვრად იბრძოდა ძველი
ყოფის მავნე გადმონაშთების წი-
ნალმდეგ, დაუნდობლად ამხელ-
და ბნელეთის მოციქულთა ანტი-
ხალხურ საქმიანობას და რელი-
გიური ფანატიზმის აღმოფხვრის
უტყუარ საშუალებად მიაჩნდა
ფართო მასების კულტურული
ღონის ამალგება, ხალხში მეც-
ნიერული ცოდნის შეტანა. ამ
იდეით იყო შთაგონებული მისი
პრაქტიკული მოღვაწეობაც აჭა-
რის ასსრ განათლების სახალხო
კომისარიატში სასკოლო ინსპექ-
ტორის პოსტზე.

გ. ბაბილოძე აღნიშნავს, რომ
ხ. კომახიძეს, როგორც განსახყო-
მის ინსპექტორს, მოვლილი ჰქო-
ნდა აჭარის თითქმის ყველა სო-
ფელი. სადაც კი ფეხს შეადგამდა,
ყველგან შეჰქონდა საქმისადმი
სიყვარული და პასუხისმგებლო-
ბის გრძნობა, მშობლიური სიტბო,
ადამიანებისადმი პატივისცემა...
მას მოსახლეობა ნდობით ეპყრო-
ბოდა, უსმენდა და უჯერებდა,
რასაც გარკვეული მნიშვნელობა
ჰქონდა სასკოლო საქმის წარმა-
ტებისათვის.

ხ. კომახიძის ლიტერატურული
და პედაგოგიური მოღვაწეობა გა-
მსჭვალულია ადამიანისადმი
რწმენით, მაღალი ზნეობრივი იდე-
ალებით, ოპტიმისტური სულის-
კვეთებით. და ამას წიგნის ავტო-

რი ცხადყოფს კონკრეტული ლიტერატურული მასალის ანალიზით, მისი ცხოვრებიდან აღებული ფაქტებით.

ცას ღრუბელი ჩამოშორდა,
გადაერთყა ცის-სარტყელი,
ხალხმა თოფი მოიშორა,
წიგნს მოჰკიდა ყველამ ხელი.

წიგნის წვეთებში მზის სხივების გარდატეხას, ფერთა უმშვენიერეს გამას აღარებდა გლეხი პოეტი ხალხის ყოფაცხოვრებაში წიგნის დამკვიდრებას და ამაში ხედავდა შემდგომი ეკონომიური და კულტურული წინსვლის საწინდარს, მომავლის იმედს. თვითონ

ნაც ხომ წიგნით ცხოვრობდა ნამწყემსარი, სკოლის კარები რომ არ უნახავს ისეთი კაცი, და საბოლოოდაც წიგნმა გადაარჩინა დავიწყებას.

გ. ბაბილოძის ნაშრომი ყოველთვის შეიძლება გამოდგეს იმის მკაფიო მაგალითად, რომ მაღლიერი საზოგადოება არასდროს არ ივიწყებს ამაგდარ აღამიანებს, არავის, ვისაც კი თუნდაც ჭრებით გაუჩინებია „მიწის ერთი ნაჭერი“ და საცალფეხო ბილიკი გაუკვალავს.

კ. ზანიძე.

87/01

საქართველოს
საბჭოთაო კავშირი

ფან 40 კპპ.

**ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

„ЧОРОХИ“

**ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ**

ИНДЕКС 78118